ალია

N12 /3328/ 27 იანვარი 2016 წ PRESS ფასი 1 ლარი

ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE

## აი, ეს გაიკრას კედელზე „შუსუსუში“ იმან, ვინც მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვაზე „ჩალიჩობს“ 2

„მოკლულს მუჭში ქაღალდის ნაჭერი ედო...“ — ბიძინა კუჭავას სკანდალური საქმის დეტალები



2

რას ნიშნავს ლავროვის გზავნილები და რას უნდა ველოდოთ?



5

რა გააპროტესტეს არასამთავრობოებმა პრემიერთან შეხვედრისას?



11

„ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებას ქურდული სამყაროს წევრებთან კავშირში ამხელს



6

რას ამბობს ვიკა სანიკიძე მისი და სოფო ნიჟარაძის რომანის შესახებ ჭორზე



10

# გამოსავალი, რომლითაც სახელმწიფოს ბანკის მევალეების ხსნა შეუძლია 3



„ახლახან აზერბაიჯანში იქაური მანათი რომ გაუფასურდა, „ვითიბი ბანკი აზერბაიჯანმა“, საკუთარი ინიციატივით, მომხმარებელს, ზოგს საპროცენტო განაკვეთები და ყოველთვიური შენატანი შეუმცირა, ზოგს კრედიტის ვადა საკმაო ხნით გადაუვადა. საქართველოშიც ფუნქციონირებს „ვითიბი ბანკის“ ქართული ფილიალი, მაგრამ მათ აზრად არ მოსვლიათ ხალხისთვის მცირე შეღავათის გაწევა მაინც, ისევე, როგორც სხვა ბანკებს. მოდი და ამის შემდეგ ნუ იტყვი, რომ ქართველი ბანკირები სიხარბით დაბრმავებულნი არიან, ხელისუფლებას კი ხალხი ფეხებზე ჰკიდია, ოღონდ თავად არაფერი მოაკლდეთ“

## ყოფილი პოლიტპატიმრები ანგარიშსწორებით იმუქრებიან

„ჩვენი ქვეყნისთვის საქმე გვიკეთებია და ვინც არ უნდა იყოს, ჩვენი ღირსების დასაცავად თავს შევაკლავთ“ 9

## რატომ აქიანურებს პროკურატურა უცხოელ გეი-წყვილებზე ქართველი ჩვილების გაშვილების საქმეს? 7



რას პასუხობენ „ალიას“ მთავარ პროკურატურაში?

### ლეონარდო დიკაპრიო შესაძლოა, რუსეთის კულტურის მინისტრი გახდეს



12

### აფრიკელ მოსწავლეებს ქალიშვილობის შენარჩუნების სანაცვლოდ სტიპენდიას სთავაზობენ



13

### მეცნიერებმა დაადგინეს, რატომ არ გამოდიან უცხოპლანეტელები კავშირზე



13

### ბრიტანელი ვალდებულია, სექსუალური აქტის წინ პოლიცია გამოიძახოს



13

# H1N1 – გამყრელიძე სასწავლო პროცესის შეწყვეტას ითხოვს



დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორი სასწავლო პროცესის შეწყვეტის ინიციატივით გამოდის. ამირან გამყრელიძემ სპეციალურ ბრიფინგზე გრიპის ვირუსთან დაკავშირებით ისაუბრა და განაცხადა, რომ H1N1-ის ტიპის ვირუსის ზომიერი მატება ძირითადად მცირეწლოვნებში შეინიშნება. გამყრელიძის თქმით, ეს ღონისძიება პრევენციული ხასიათისაა და საბოლოო გადაწყვეტილება განათლების სამინისტრომ უნდა მიიღოს. გამყრელიძის ინიციატივით, სწავლის პროცესი 2 დღით უნდა შეჩერდეს:

– იქიდან გამომდინარე, რომ არის ზომიერი მატება და ეს განსაკუთრებით კონცენტრირდება ბავშვთა ასაკში, მივიღეთ გადაწყვეტილება, ჩვენ რეგულარულად გვაქვს კონტაქტი განათლების სამინისტროსთან, ვცვლით ინფორმაციებს, პირველი ჩვენი რეკომენდაცია იყო, რომ დაწესებულიყო მონიტორინგი სკოლებში, ხომ არ აცდებოდა გაცდენების რაოდენობა 20 პროცენტს და ამ შემთხვევაში ინფორმირებული ვყოფილიყავით ჩვენ... გვქონდა კონსულტაციები და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ გამოვიდეთ რეკომენდაციით და მივმართოთ სასკოლო და ზოგადად, სააღმზრდელო დაწესებულებებს – ბაგებსა და ბაღებს, რომ გამომდინარე სიტუაციიდან, თუ მათ სკოლაში ან ბაგა-ბაღში 20 პროცენტს სცილდება გაცდენების მაჩვენებელი, პრევენციულად მინიმუმ 3 სამუშაო დღით შეწყდეს სწავლა და ბავშვების მიყვანა ბაგა-ბაღებში და შემდგომ ამ იზოლირების გაგრძელება გადაწყვეტილი იქნეს შემდგომი კონსულტაციებით, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

რეკომენდაციების საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, მომდევნო სამი დღის განმავლობაში სასწავლო პროცესის შეჩერებაზე იმ კონკრეტულ დაწესებულებაში, სადაც გაცდენათა რაოდენობა აღემატება 20 პროცენტს.

სამინისტრო აგროვებს ინფორმაციას მოსწავლეთა დასწრებაზე როგორც დილის, ასევე მეორე ცვლის მოსწავლეებთან დაკავშირებით. დასწრების მაჩვენებელი მეორე ცვლაში, რომელ პერიოდშიც ძირითადად დაწყებითი კლასების მოსწავლეები სწავლობენ, რიგ სკოლებში 20-პროცენტიან ნორმას აჭარბებს. მთელი საქართველოს მასშტაბით, ასეთი 180 საჯარო სკოლაა, მათ შორის თბილისში – ასეთი სულ 48 სკოლაა.

შესაბამისად, სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება ამ სკოლებში სამი დღით სასწავლო პროცესის შეჩერებაზე. გაცდენილი საათები კი, შაბათი დღეების ხარჯზე ანაზღაურდება. (პირველი რადიო, ნიუსპოსტი)

# „მოკლულს მუჭში ქაღალდის ნაჭერი ედო...“ – ბიძინა კუჭავას სკანდალური საქმის დეტალები



პროკურორ ვახტანგ ქირის მკვლელობაში ბრალდებულ ბიძინა კუჭავას საქმეში ახალი დეტალები ჩნდება.

საქმე ეხება 2009 წელს 67 წლის გენერალ თამაზ ნინუასა და მისი მეუღლის 64 წლის ეთერ ნინუას მკვლელობას. აღნიშნული დანაშაულისთვის სამართალდამცავებმა 27 ნოემბერს, ყოფილი ფეხბურთელი 60 წლის თამაზ გოგია დააკავეს.

აღსანიშნავია, რომ დაკავებული დანაშაულს არ აღიარებს. მისი ოჯახის წევრები კი არ გამორიცხავენ, რომ საქმეში ბიძინა კუჭავა ფიგურირებდეს.

საქმის მასალების მიხედვით, ნინუები თავისივე ბინაში მოკლეს.

– ტყუილად ზის ეს კაცი ციხეში, – ამბობს მოკლული გენერლის ქალიშვილი.

**გახმაურებული საქმის ირგვლივ ლაშა გოგიასაც ვესაუბრეთ:**

– შს მინისტრის მოადგილემ და შემდეგ მთავარმა პროკურატურამ არ გამორიცხა, რომ საქმეს გამოძიებაში დააბრუნებენ. მაქვს იმედი, რომ, ბოლოს და ბოლოს, საქმეს გამოიძიებენ, – აღნიშნა ლაშა გოგიამ.

კითხვაზე, რატომ აკეთებს დაკავებულის ოჯახი განცხადებებს მას შემდეგ, რაც ბიძინა კუჭავამ თავი მოიკლა, თამაზ გოგიას ვაჟმა აღნიშნა, რომ მათ ყველა ინსტანცია გავლილი აქვთ, ბიძინა კუჭავას დაკითხვაც მოითხოვე, თუმცა მაშინ ეს უკანასკნელი სასამართლოზე არ გამოცხადდა.

– როდესაც დაცვის მხარეს გვინდოდა ბიძინა კუჭავას დაკითხვა, ის არ გამოცხადდა.

**— რა დაასახელა გამოძიებამ 2009 წელს გახმაურებული მკვლელობის მთავარ მტკიცებულებად?**

– არსებობს საქმეში მოწმე, რომელიღაცა შპს-ს დარაჯი, რომელმაც თქვა, რომ თითქოს მამას და თამაზ ნინუას საერთო წილი ჰქონდათ არაოფიციალურად. ამას არც ჩვენ და არც მოკლულის ოჯახის წევრები არ ადასტურებენ. მეორე სამხილი იყო უნიტაზიდან ამოღებული სიგარეტის ნამწვი, თუმცა აქაც ამ სიგარეტზე მამაჩემის დეენემი არ აღმოჩნდა, მაგრამ გამოჩნდა მოწმე, რომელმაც თქვა, რომ ერთი წლის წინათ დაინახა, როგორ იყიდა თამაზ გოგიამ სამი კოლოფი წვრილი „პარლამენტი“.

**— როგორც ვიცი, დენთის კვალიც აღმოაჩნდა თამაზ გოგიას...**

– ხელზე აღმოაჩნდა დენთის წვის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი, რომელიც შეიძლება ყველას ჰქონდეს, მას საპონი, სარეცხი საშუალებები, პარფიუმერია და სხვა სამომხმარებლო საშუალებები შეიცავს.

**— ხედავთ თუ არ ბიზნესმენ მაღალდაძისა და გენერალ ნინუას მკვლელობებს შორის კავშირს?**

– ნინუების მკვლელობაშიც აბსოლუტურად იგივე ხელწერა იყო, როგორიც მაღალდაძის მკვლელობის შემთხვევაში. სამივე ადამიანი იდენტური იარაღით იყო მოკლული. შემთხვევიდან ამოღებული მასრიდან ირკვევა, რომ ორივე მკვლელობა რუსული წარმოშობის იარაღიდან განხორციელდა. ორივე შემთხვევაში შემთხვევის ადგილზე მოყრილი იყო დაფქული წიწაკა.

**— ბიძინა კუჭავასა და მოკლულ ნინუას მეგობრობა აკავშირებდათ?**

– ჩემი ინფორმაციით, ისინი ერთმანეთს იცნობდნენ, კუჭავა მოკლულის მეზობელი იყო. ნინუამ ამერიკაში „ჰამერის“ ჯიპი შეიძინა და მას შემდეგ, რაც მისი ჩამოყვანა გაჭიანურდა, დახმარება ბიძინას სთხოვა. როგორც მოგვიანებით გავარკვიეთ, მოკლულს მუჭში ედო ქაღალდის ნაგლეჯი, სადაც ეწერა „ჰამერი“ – 40 600, თუმცა მაშინ ეს გარემოება საერთოდ არ განხილულა.

შეგახსენებთ, რომ ნინუების მკვლელობა არ არის ერთადერთი, სადაც ბიძინა კუჭავას სახელმა გაიჟღერა.

მისი მეგობრის მამუკა გუგეშაშვილის ინფორმაციით, კუჭავას მაღალდაძის ვალი ჰქონდა.

– ყველაზე დიდი ეჭვი მქონდა ბიძინა კუჭავაზე. თვითონ თუ არა, მაგის დაკვეთით მოკლა ვიღაცამ. ამას ზუსტად ვერ ვამბობდი, მაგრამ ყოველთვის ასე ვფიქრობდი. გაოგნებული ვარ გუშინდელის შემდეგ, – განაცხადა გუგეშაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, მაღალდაძის მკვლელობის საქმეზე გამოძიების ფარგლებში კუჭავა არაერთხელ დაკითხეს.

– გამოძიებამ დაადგინა, რომ მკვლელობა განხორციელდა რუსული ტიპის იარაღით – მასზე იყო წიწაკა მოყრილი და ვერ იღებდნენ სუნს. შემდეგ, როდესაც გენერალი ნინუა მოკლეს, სავარაუდო ვერსია იყო, რომ მაღალდაძე და ნინუები ერთი და იმავე იარაღით მოკლეს, – განაცხადა მამუკა გუგეშაშვილმა.

მისივე თქმით, ამ საქმეზე არავინ დაუკავებიათ, რადგან დანაშაული ვერ დაუმტკიცეს.

გოჩა მაღალდაძე 2007 წლის 9 მაისს, გამთენიისას თბილისში, მცხეთის ქუჩაზე ნაქირავებ ბინაში მოკლეს. მას საქართველოში ბიზნესი ჰქონდა, მათ შორის სამორინე „ფორტუნა“.

გარდა ამისა, კრიმინალური პოლიციის ყოფილმა მაღალჩინოსანმა ირაკლი ფირცხალავამ განაცხადა, გოჩა მაღალდაძე 2007 წელს ბიძინა კუჭავამ მოკლა ან მისი დაკვეთით მოკლეს. მისი თქმით, მაღალდაძე მოკლულია სპეციფიკური იარაღით, რომელიც კუჭავას ხელში სოდის ყოფილი მაღალჩინოსნის, კახა მისირელის მეშვეობით აღმოჩნდა. ირაკლი ფირცხალავა აცხადებს, რომ გოჩა მაღალდაძის მკვლელობის ადგილას იგი მცხეთის ქუჩაზე კრიმინალური პოლიციის დირექტორის სტატუსით ნამყოფია და ნანახი აქვს, რომ მაღალდაძე მოკლულია თავში სროლის შედეგად, მკვლელობის ადგილას კი ქვიშა იყო მოყრილი, რათა კრიმინალისტებს კვალის აღებაში ხელი შეშლოდათ. ფირცხალავას თქმით, იმ პერიოდში ეჭვმიტანილთა სიაში რამდენიმე ადამიანი იმყოფებოდა, ერთ-ერთი იყო ბიძინა კუჭავა. ამასთანავე, ფირცხალავამ გაიხსენა 2009 წელს გენერალ თამაზ ნინუას და მისი მეუღლის მკვლელობის ფაქტიც და აღნიშნა, რომ მაღალდაძის მკვლელობიდან 2 წლის შემდეგ ნინუებიც ზუსტად იმავე იარაღით არიან მოკლული, რითაც გოჩა მაღალდაძე, რომელიც, მისი თქმით, იმ პერიოდში ცნობილ მოთამაშედ ითვლებოდა. ასევე, ირაკლი ფირცხალავამ აღნიშნა, რომ ნინუების მკვლელობის ბრალდებით სასჯელს იხდის თამაზ გოგია, რომელიც, მისი თქმით, არის უდანაშაულო. (ნიუსპოსტი)

**„ალიას“ ვარაუდით, არ არის გამორიცხული, „სპეციფიკური იარაღი“, რომელზეც ფირცხალავა საუბრობს, გასული საუკუნის 70-იან წლებში საბჭოთა კავშირის მიერ სპეცსამსახურებისთვის შექმნილი 6-ვაზნიანი ПСС (пистолет самозарядный специальный) იყოს, რომელსაც ანალოგი მსოფლიოში დღემდე არ გააჩნია და ნამდვილად საოცარი შესაძლებლობებით გამოირჩევა. კერძოდ, პისტოლეტიდან გასროლა პრაქტიკულად, უხმაუროდ ხორციელდება, თანაც ყოველგვარი მაყუჩის გარეშე. პისტოლეტის სროლის მანძილი 500 მეტრია, ხოლო წონა - 800 გრამი, არის კომპაქტური და ზომების გათვალისწინებით, მისი გადატანა, ფაქტობრივად, შეუმჩნევლად შეიძლება.**

# აი, ეს გაიკრას კედელზე „შუსუსუში“ იმან, ვინც მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვაზე „ჩალიჩობს“



პოლონეთმა და ლიტვამ მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც, ქვეყნებში მარჯვენასაჭიანი სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაცია აიკრძალა.

ევროპულმა კომისიამ აღნიშნული ქვეყნების წინააღმდეგ სარჩელი ევროპულ სასამართლოში შეიტანა, რადგან კომისიის შეხედულებით, ასეთი აკრძალვა ეწინააღმდეგებოდა ევროპულ სამართალს, კერძოდ, ევროკავშირის 2007/46 და 70/311 დირექტივებს, რომელთა მიხედვითაც, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა აკრძალონ, შეზღუდონ ან სხვაგვარად ხელი შეუშალონ სატრანსპორტო საშუალებების, მათი კომპონენტებისა და ცალკეული ნაწილების რეგისტრაციას, გაყიდვას, ექსპლუატაციას ან/და ბრუნვას, როდესაც სატრანსპორტო საშუალება აკმაყოფილებს ევროკავშირის სამართლით დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს.

ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „პოლონეთისა და ლიტვის მიერ დადგენილი აკრძალვა მარჯვენასაჭიან სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით სცილდება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებელ ზომებს“.

ევროპის სასამართლოში ასევე განმარტეს, რომ ევროკავშირის დირექტივებით განსაზღვრულია ერთიანი რეგულაცია იმის შესახებ, როგორი ტექნიკური მდგომარეობა მიიჩნევა სატრანსპორტო საშუალებისთვის უსაფრთხოდ.

მართალია, მოცემული დირექტივები არ შეიცავს რაიმე რეგულაციას საჭის განლაგების შესახებ, მაგალითად, არ არის განსაზღვრული მოთხოვნა საჭის მარცხნივ ან მარჯვნივ განლაგების თაობაზე, თუმცა ის გარემოება, რომ დირექტივებში აღნიშნული საკითხი არ არის დარეგულირებული, არ გულისხმობს, რომ საკითხი დირექტივის რეგულირების მიღმაა დარჩენილი, არამედ ევროპის სასამართლო აძლევს სრულ თავისუფლებას სატრანსპორტო საშუალების მწარმოებელს, საჭე განალაგოს ნებისმიერ მხარეს.

საბოლოო ჯამში, სასამართლომ განმარტა, რომ საჭის განლაგება ევროკავშირის სამართლის მიხედვით, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხის გათვალისწინებით, არ უნდა ახდენდეს გავლენას მარჯვენასაჭიანი მანქანების რეგისტრაციაზე, ამავდროულად, სახელმწიფოებს არ აქვთ უფლება უსაფრთხოების მოტივებიდან გამომდინარე, მოსთხოვონ მძღოლებს საჭის გადატანა.

ამდენად, ევროპის სასამართლომ დაასკვნა, რომ პოლონეთმა და ლიტვამ დაარღვიეს ევროკავშირის სამართალი. (bfn.com.ge)

## „ცოტა უფრო მეტად გავუფასურდით, ვიდრე უნდა გავუფასურებულიყავით“



ეკონომიკის მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, ლარის კურსის მართვის მოკლევადიანი ინსტრუმენტები, რაც სახელმწიფოს გააჩნია, ესაა ინტერვენცია და ფულადი მასის შეზღუდვა.

როგორც ქუმსიშვილმა განაცხადა, ამ წუთში ფულადი მასის შეზღუდვებზე საუბარი არ არის, თუმცა ინტერვენციები ეროვნულმა ბანკმა პარასკევს განახორციელა.

– მოკლევადიანი ინსტრუმენტები, რომლებიც სახელმწიფოს მთლიანობაში გააჩნია, რა თქმა უნდა, ეს არის ინტერვენცია და ფულადი მასის შეზღუდვა. ამ წუთში ფულადი მასის შეზღუდვებზე საუბარი არ არის. რაც შეეხება ინტერვენციებს, ეროვნულმა ბანკმა განახორციელა პარასკევს. რაც შეეხება თვითონ კურსთან მიმართებაში არსებულ მდგომარეობას, მინდა მოგახსენოთ, რომ გარე ფაქტორები, რომლებიც ჩვენ გვაქვს და ძირითად სავაჭრო პარტნიორებთან მიმდინარეობს, რა თქმა უნდა, აისახა ვალუტის კურსზე, თუმცა ამ წუთში ის მაკროეკონომიკური ანალიზი, რომელსაც ჩვენ ვაკეთებთ, აჩვენებს, რომ ცოტა უფრო მეტად გავუფასურდით, ვიდრე უნდა გავუფასურებულიყავით. ამის მიზეზია მოლოდინები და ცოტა უფრო მეტი რეაქცია, ვიდრე რეალურად უნდა მომხდარიყო, – განაცხადა ქუმსიშვილმა.

ვიცე-პრემიერის თქმით, ეკონომიკის სამინისტრო აქტიურ კომუნიკაციაში იმყოფება ფინანსთა სამინისტროსთან და ეროვნულ ბანკთან, რომ აღნიშნულ საკითხზე აჟიოტაჟი მალე დასრულდეს.

– რეალურად არაპირდაპირი დანიშნულებით დაგროვილი ლარის კონვერტაცია მოხდა დოლარში, ანუ დაზოგვის მიზნით უფრო მოხდა აღნიშნული, ვიდრე იმიტომ, რომ ეს სჭირდებოდა ჩვენს ქვეყანას სავაჭრო ურთიერთობებში. სავაჭრო ურთიერთობებთან მიმართებაში იმპორტი ამ თვეში შემცირებულია. ეს ინფორმაცია დასაზუსტებელია, მაგრამ წინა წლის ამ თვესთან შედარებით, იმპორტი 25 პროცენტით არის შემცირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ლარის კურსზე ზეწოლა არ უნდა იყოს მკვეთრი. თუმცა, ჩვენ ვართ ღია ეკონომიკა და მინდა ამას ხაზი გავუსვა. ჩვენ არ ვართ დახურული ეკონომიკა, როდესაც საზღვრები დახურულია, ხელით ხდება შემოტანილი იმპორტის მართვა და აღნიშნულის დაკეტვა საბაჟოზე, რაც თავის თავში მოიცავს რისკებს, ინფლაციურ მომენტებს, ანუ ფასების ზოგად ზრდას. შესაბამისად, ყოველდღიურად მუდმივ კომუნიკაციაში ვიმყოფებით ფინანსთა სამინისტროსთან, ეროვნულ ბანკთან, რომ აღნიშნული აჟიოტაჟი უფრო მალე დასრულდეს, – განაცხადა ქუმსიშვილმა. (pia.ge)

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



ლარის კურსი ბოლო ერთი წლის მანძილზე უკვე მესამედ გაუფასურდა. ამჯერად ლარის ვარდნის მესამე ეტაპს, თავისუფლად შეგვიძლია კატასტროფული ვუწოდოთ. ოფიციალური გაცვლითი კურსი 1 ლარი დოლართან მიმართებაში 2.50 გახდა, ბანკებში – 2.55. ხელისუფლებამ თითქმის წელიწადია, ვერაფერი მოუხერხა ლარს. ერთადერთი, რასაც ხელისუფლების წარმომადგენლები აკეთებენ, მათი უსუსური განცხადებებია, რომ არაფერი საგანგაშო არ ხდება და ეროვნული ვალუტა არამარტო საქართველოში უფასურდება. მკითხველს ბოდიშს ვუხდი, მაგრამ მაგათ სულ ცალ ფეხზე ჰკიდიათ, ლარის კურსის ვარდნაც და მისით გაუბედურებული ხალხიც. ათასობით ადამიანის ბელადი, ბიძინა ივანიშვილი ამ ქადაგიძეს არ ერჩის. თავად განაცხადა ივანიშვილმა, გიორგი ქადაგიძის დაჭერას 2012 წელს ვაპირებდი, მაგრამ მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა მთხოვა, არ დაიჭიროო და ხელი აღარ ვახლეო. ხომ ხედავთ, თავის პირით აღიარებს ივანიშვილი, რომ ამ ქვეყანაში კანონი და სამართალი თავად არის და ვისაც უნდა დაიჭერს და ვისაც უნდა – გაუშვებს. ჰოდა, თქვენს გახარებას, ტყუილად ნუღარ ილესავთ კბილებს ამ გიორგი ქადაგიძეზე, ხალხს ნუ „აბოლებთ“, თითქოს დიდად ერჩოდეთ ამ ეროვნულ ბანკსა და მის პრეზიდენტს და ლარის უკვე მერამდენედ გაუფასურების საქმეში, რაიმე ბრალს წაუყენებთ. ბუზსაც ვერ აუფრენთ და ეს თქვენ ჩემზე კარგად იცით.

ქადაგიძე თებერვლის ბოლოს ამოწურავს ეროვნული ქართულ ბანკს არ მოსვლია აზრად, ამ ვითარებაში ხალხს შეღავათი გაუწიოს, თავად რაღაც დაიკლოს და ადამიანებს ამოსუნთქვის საშუალება მისცეს. მაგალითად, ახლახან აზერბაიჯანში იქაური მანათი რომ გაუფასურდა, „ვითიბი ბანკი აზერბაიჯანმა“, საკუთარი ინიციატივით, მომხმარებელს, ზოგს საპროცენტო განაკვეთები და ყოველთვიური შენატანი შეუმცირა, ზოგს კრედიტის ვადა საკმაო ხნით გადაუვადა. საქართველოშიც ფუნქციონირებს „ვითიბი ბანკის“ ქართული ფილიალი, მაგრამ მათ აზრად არ მოსვლიათ ხალხისთვის მცირე შეღავათის გაწევა მაინც, ისევე, როგორც სხვა ბანკებს. მოდი და ამის შემდეგ ნუ იტყვი, რომ ქართველი ბანკირები სიხარბით დაბრმავებულნი არიან, ხელისუფლებას კი ხალხი ფეხებზე ჰკიდია, ოღონდ თავად არაფერი მოაკლდეთ.

ტვირთი შემსუბუქდეს, მოსახლეობას მცირე შეღავათები მაინც მიეცეთ და ამ ხალხმა ბანკის ვალები გაისტუმროს.

**— მართალია, არ შეიძლება ხელისუფლება კერძო ბიზნესის საქმიანობაში ჩაერიოს, მაგრამ იქნებ არსებობს რაღაც ფორმა, რომ მოილაპარაკონ, შეთანხმდნენ და მოსახლეობას რამე შეღავათი დაუწესონ?**

– ასეა, ხელისუფლების მხრიდან კერძო ბიზნესში ჩარევის ნებისმიერ მცდელობას, ჩვენში ძალიან ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდება, მაგრამ დალაპარაკება ხომ შეიძლება, ხალხი გალატაკების ზღვარზეა, მართლა მძიმე ვითარებაა, ექსტრაორდინარული შემთხვევაა და გამოსავალი ერთად უნდა მოძებნონ ეროვნულმა ბანკმა, მთავრობამ და კომერციულმა ბანკებმა. დავუშვათ, შეიძლება ასეთი რაღაცის გაკეთება. ვისაც კრედიტი

# გამოსავალი, რომლითაც სახელმწიფოს ბანკის მევალეების ხსნა შეუძლია



მსგავსად სახლ-კარი და სხვა უძრავი ქონება ბანკებში იპოთეკით არ აქვთ დატვირთული და ბანკები ვალის გადაუხდელობის გამო, არ გაუყიდიან, არც ქუჩაში დარჩენის საფრთხე ემუქრებათ და არც გაკოტრებისა. ერთადერთი, რითაც შეიძლება „ქართული ოცნების“ ლიდერებმა იზარალონ ლარის ვარდნით, ისედაც ლარივით გაუფასურებული რეიტინგი და ავტორიტეტი კიდევ უფრო გაუუფასურდებათ, თუმცა, როგორც ვატყობ, კოალიციაში არც ეს ადარდებთ დიდად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ერთ წელიწადში, თუნდაც ერთ ღონისძიებას გაატარებდა მთავრობა ლარის კურსის გასამყარებლად.

ასევე, ერთი წელია გვესმის ხელისუფლების ლიდერებისგან, რომ ლარის კურსის ვარდნა ხელოვნურად ხდება ეროვნული ბანკის მიერ და მისი პრეზიდენტი, „ნაციონალების“ ხელდასმული გიორგი ქადაგიძე საბოტაჟს ეწევა ქვეყნისა და მმართველო გუნდის წინააღმდეგ. ამჯერად, დეპუტატმა თამაზ მეჭიაურმა ეროვნულ ბანკს მოსთხოვა, სავალუტო რეზერვების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია წარმოგვიდგინეო. ამ ხალხმა ვერაფრით ვერ გაიგო, რომ მათი ბანკის პრეზიდენტის უფლებამოსილებას, მშვიდობიანად გაეცლება სიტუაციას და დიდი ეჭვი მაქვს, ვერც მერე მოსთხოვთ პასუხს – ეგრე ნებავს თქვენს ბელადს და იმიტომ. თქვენ რომ რამის გამკეთებლები ყოფილიყავით, აქამდე შექმნიდით თქვენივე მიერ დაანონსებულ საგამოძიებო კომისიას ლარის გაუფასურების მიზეზების შესასწავლად, მაგრამ ყველამ ენა ჩაიგდეთ, ალბათ იმიტომ, რომ შუშის სასახლიდან დაგიქნიეს თითი, რაებს როშავთო.

ფაქტია, ეროვნული ბანკი მთავრობას აქეთ ადანაშაულებს ლარის გაუფასურებაში, ამასობაში კი ხალხი გაუბედურდა, ვისაც ბანკებიდან კრედიტები უცხოურ ვალუტაში აქვს გამოტანილი. ეს ხალხი არავის არ ახსენდება, არც ეროვნულ ბანკსა და არც მთავრობას, კომერციული ბანკები კი ხალხის უბედურების ხარჯზე მდიდრდებიან, მათ შორის, წესით, ბიძინა ივანიშვილის „ქართუ ბანკიც“ ბლომად ფულს შოულობს – გაცემული სესხის პროცენტების ხარჯზე და სხვა რა ფინანსურ ოპერაციებს ატრიალებენ კიდევ, არავინ იცის. არც ერთ

**„ახლახან აზერბაიჯანში იქაური მანათი რომ გაუფასურდა, „ვითიბი ბანკი აზერბაიჯანმა“, საკუთარი ინიციატივით, მომხმარებელს, ზოგს საპროცენტო განაკვეთები და ყოველთვიური შენატანი შეუმცირა, ზოგს კრედიტის ვადა საკმაო ხნით გადაუვადა. საქართველოშიც ფუნქციონირებს „ვითიბი ბანკის“ ქართული ფილიალი, მაგრამ მათ აზრად არ მოსვლიათ ხალხისთვის მცირე შეღავათის გაწევა მაინც, ისევე, როგორც სხვა ბანკებს. მოდი და ამის შემდეგ ნუ იტყვი, რომ ქართველი ბანკირები სიხარბით დაბრმავებულნი არიან, ხელისუფლებას კი ხალხი ფეხებზე ჰკიდია, ოღონდ თავად არაფერი მოაკლდეთ“**

რა უნდა ქნას ხალხმა ამ უმძიმეს ყოფაში? რა შეიძლება მოიქმედონ კომერციულმა ბანკებმა და ხელისუფლებამ ცალ-ცალკე თუ ერთობლივად, რომ ხალხს მდგომარეობა შეუმსუბუქონ? და საერთოდ, როგორ უნდა დავაღწიოთ თავი ამ უბედურებას?

**„ალიას“ ამ და სხვა კითხვებს ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატთა“ თანადამფუძნებელი, მარიკა არევაძე უპასუხებს:**

**— მარიკა, რა გამოსავალი შეიძლება მოიძებნოს ასეთ მძიმე ვითარებაში?**

– ხალხი მართლა ძალიან ცუდ დღეშია, არიან ადამიანები, რომელთაც, უბრალოდ, ხელფასიც კი აღარ ჰყოფნით, რომ საბანკო ვალდებულებები გაისტუმრონ. ხალხი ცოდოა, ამდენს ვერ გაუძლებს. ბანკებმა საშეღავათო პირობები უნდა დაუწესონ იმ კლიენტებს, ვინც დღემდე პატიოსნად და უპრობლემოდ იხდიდა კრედიტებს და ლარის კურსის ვარდნამ მათ პრობლემები შეუქმნა. მათ რესტრუქტურიზაცია რომ უნდა გაუკეთონ ამ ვალისა, ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ კარგი იქნება თუ ამ ხალხს, დავუშვათ, საპროცენტო განაკვეთებს შეუმცირებენ და სესხის დაფარვის ვადას გაუხანგრძლივებენ ზომიერების ფარგლებში.

**— ეს უკვე მასამე ტალღაა ლარის გაუფასურებისა და რაღა ახლა უნდა ველოდოთ ამ ბანკირ-მევახშეთა გაკეთილშობილებას?**

– ასეა, სამწუხაროდ, არც კომერციული ბანკების, არც ეროვნული ბანკისგან და არც ხელისუფლების მხრიდან არ არის რაიმე ინიციატივა, რომ ეს ბანკიდან გამოტანილი ჰქონდა დოლარში და იმ დროს, როცა ლარის კურსი დოლართან მიმართებაში 1.7 იყო, ამ ხალხს 2,0 კურსით გადაახდევინონ და დანარჩენი გარკვეული დროით გადაუვადონ, სანამ ასეთი ინფლაცია იქნება, ეროვნული ბანკი ხომ აცხადებს, კურსი დასტაბილურდებაო. ამ ვარიანტზე იმუშაონ ერთობლივად სახელმწიფომ და კომერციულმა ბანკებმა. იქნებ მოდიან ამ წინადადებაზე ბანკები? სცადონ მაინც. ძალიან კარგად მესმის, რომ ეს არაპოპულარული ნაბიჯი იქნება, მაგრამ ფორსმაჟორულ სიტუაციაში ვართ და ადეკვატური ნაბიჯები უნდა გადაიდგას.

**— ეს მაინც კერძო ბიზნესის საქმეში ჩარევა გამოდის. ხომ შეიძლება სახელმწიფო, ასე ვთქვათ, შევიდეს წილში, თანადამფინანსებელი გახდეს, კრედიტორებს ბანკის ვალების ნაწილი დაუფაროს, რომელსაც მევალე ბანკის ვალის გასტუმრების შემდეგ ნელ-ნელა დაფარავს. მაგალითად, ადამიანმა კრედიტი რომ აიღო, კურსი იყო 1.75. ეს თანხა კრედიტორმა გადაიხადოს, ამის ზევით, ინფლაციის გამო რაც მოიმატა — სახელმწიფომ. ბანკი თავისას მიიღებს და სახელმწიფოც დაიბრუნებს გაცემულ თანხას...**

– ცხადია, მისაღებია და თუ ამას გააკეთებს სახელმწიფო, კარგი იქნება. ხალხს დიდი შეღავათი მიეცემა ამით. თუმცა, აქ ერთი საფრთხეა, ლარის დამატებითი მასის ბაზარზე შემოტანა, ლარს კიდევ უფრო გააუფასურებს. სარისკო ნაბიჯია, მაგრამ მეც ვფიქრობ, რომ უამრავი ჩვენი მოქალაქის მძიმე მდგომარეობის შესამსუბუქებლად, ღირს ამის გაკეთება.

## „საქართველო უღრმესი პროვინცია გახდა, გაღლეტილი და, როგორც ყველა ტილიანი, რუსეთისკენ მომზირალი“



„რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია უმრავლესობის დეპუტატ გუგული მაღრაძის განცხადებას ეხმაურება, რომელიც მან ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ახალ პრეზიდენტთან დაკავშირებით გააკეთა.

– გუგული მაღრაძე პედრო აგრამუნტის წინაალმდეგ – აუზში ზვიგენების, ეზოში ზებრების, პინგვინების, ამოთხრილი და გადარგული გიგანტური ხეების შემდეგ, ეს ივანიშვილის ყველაზე ეგზოტიკური მიღწევაა.

P.S. ამასობაში, საქართველო უღრმესი პროვინცია გახდა, გაღლეტილი და როგორც ყველა ტილიანი, რუსეთისკენ მომზირალი. ესაა ივანიშვილის ეგზოტიკური გართობის ფასი და ჩვენ მას ვიხდით ჩვენი და ჩვენი შვილების აწმყოდან და მომავლიდან, – წერს გვარამია. (daijesti.pia.ge)

## „სასაფლაოზე მოკლესო“ — რას აცხადებენ მოკლული ახალგაზრდა მამაკაცის მეზობლები



გორის რაიონში, სამების ქუჩაზე გვიან ღამით ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს. როგორც ადგილობრივები აცხადებენ, 40 წლამდე მამაკაცი, სავარაუდოდ, სასაფლაოზე მოკლეს.

მეზობლების ინფორმაციით, მამაკაცი დანით არის მოკლული.

– ვიღაცას უთქვამს, სასაფლაოზე მოკლესო. გამოვიხედე ფანჯრიდან, მანქანაში ჩასვეს და წაიყვანეს. მეტი არაფერი დამინახავს. მოკლული არისო, ასე თქვეს. დანა ჰქონდაო დარტყმულიო და თვითონ ხომ არ ჩაირტყამდა, – აცხადებს ადგილობრივი.

არსებული ინფორმაციით, მოკლული – 40 წლამდე მამაკაცი გორის რაიონის მკვიდრია.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს. უწყების ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს. (kvira.ge)

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელზეა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი კარგად არის, – ამის შესახებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ იმ კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რა მოლოდინები არსებობს ინფლაციის მაჩვენებელთან დაკავშირებით.

როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა განმარტა, ინფლაცია ეს არის ჯამური სამომხმარებლო კალათის მაჩვენებელი და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელზეა, თუმცა ქადაგიძის თქმით, ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი კარგად არის.

როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა განაცხადა, სამომხმარებლო კალათაში რიგ საქონელზე ფასები მნიშვნელოვნადაა გაზრდილი.

– ეს განსაკუთრებით ურტყამს და ყველაზე უფრო მტკივნეულია სოციალურად ყველაზე მოწყვლადი ფენისთვის. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ვინაიდან მეტი თანხა იხარჯება სესხის მომსახურებაში ადამიანების რეალურად განკარგვადი შემოსავალი მცირდება, ამიტომ ის არ არის პირდაპირ პროპორციულად კავშირში ინფლაციასთან. მიუხედავად იმისა, რომ ინფლაცია არის მიზნობრივ მაჩვენებელზე, გამოწვევები არის ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანი, – განაცხადა გიორგი ქადაგიძემ.

## გიორგი ქადაგიძე — ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელზეა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი კარგად არის



ამას მოითხოვს „ალია“ უკვე რამდენი ხანია მთავრობისგან, პოლიტიკოსებმა კი ახლა გაახილეს თვალები – არჩევნები მოდის, ხომ გესმით...

კატეგორიულად მოვითხოვთ მაღალპროცენტიანი სასესხო ვალდებულებების რეგულაციას და გონივრული ზღვრული საპროცენტო განაკვეთის დაწესებას, – აცხადებს „მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარე კახა ძაგანია.

– კატასტროფულად გაძვირებული დოლარის კურსის ფონზე კიდევ უფრო უიმედოდ გამოიყურება ასიათასობით ჩვენი თანამოქალაქე, რომლებსაც მძიმე სოციალური პირობების გამო, კაბალურ პირობებში ბანკებისგან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისგან და ონლაინსესხებით უნამუსოდ მაღალგანაკვეთიან საკრედიტო-საპროცენტო მარყუჟში აქვთ თავი გაყოფილი. ამ ორგანიზაციებიდან სესხის აღება პრაქტიკულად დაუბრკოლებლად და უპრობლემოდ არის შესაძლებელი, ხოლო ბანდიტურად გაასმაგებული პროცენტების გადაუხდელობის შემთხვევაში, მსესხებელი მარტივად კარგავს ყველაფერს თავისას და მამა-პაპისეულსაც. ამ ყაჩაღი ორგანიზაციების თავხედობა იქამდე მივიდა, რომ სესხის გარანტიად პენსიონერების გასაწყლებულ პენსიას იდებენ და შემდეგ ამ პენსიიდან წლიურ 35 პროცენტს ატოვებინებენ. უფრო მძიმე მდგომარეობაა ონლაინსესხებზე, როდესაც ზოგიერთ შემთხვევაში წლიური საპროცენტო განაკვეთი 1000 პროცენტს აღემატება, – განაცხადა ძაგანიამ.

მისივე თქმით, პოლიტიკური პარტია „მემარცხენე ალიანსი“ მოითხოვს, ხელისუფლებამ დააწესოს რეგულაციები საპროცენტო განაკვეთებზე საკანონმდებლო დონეზე, განსაზღვროს გონივრული ზღვრული საპროცენტო განაკვეთები, მონიტორინგი დაევალოს ეროვნულ ბანკს.

– ამავე დროს, ჩვენ გვაინტერესებს აღნიშნულ ურთულეს პრობლემასთან დაკავშირებით რა მოსაზრებები აქვთ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებს, – აცხადებს კახა ძაგანია. (ინტერპრესნიუსი)

## ვაახ, კაცო, ეკონომიკაშიც ერკვევა, თურმე, ხედავთ?



– რაც ჩვენ ირგვლივ რეგიონში ხდება, იმის გამოძახილია ლარის დღევანდელი კურსი, – ამის შესახებ პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ზვიად ძიძიგურმა განაცხადა. დეპუტატის თქმით, შექმნილ ვითარებაში მყისიერი გამოსავალი არ არსებობს, ხოლო მექანიკური ჩარევები უარეს შედეგს გამოიწვევს.

– ლარის გაცვლითი კურსის საკითხი არ შეიძლება დავინახოთ მხოლოდ იმით, რაც საქართველოში ხდება. შეხედეთ, რა ხდება აზერბაიჯანში, რა ხდება თურქეთში, რა ხდება რუსეთში, სადაც 85 რუბლს გადასცდა რუბლის დოლართან მიმართება. ასევეა აზერბაიჯანულ მანათთან დაკავშირებით. რაც ჩვენ ირგვლივ რეგიონში ხდება, იმის გამოძახილია ლარის დღევანდელი კურსი. თუკი ლართან დაკავშირებით მექანიკურ ჩარევებს დავიწყებთ, შეიძლება იგივე დაგვემართოს, რაც აზერბაიჯანს დაემართა, როდესაც ერთ კვირაში მისი ეროვნული ბანკის გაუბედურება მოხდა, – განაცხადა ზვიად ძიძიგურმა. მისივე თქმით, მთავრობა ინტენსიურად მუშაობს და გამოსავალი ინვესტიციებისა და ექსპორტის გაზრდაში მდგომარეობს.

– აქედან მყისიერი გამოსავალი არ არსებობს. გამოსავალი მდგომარეობს მხოლოდ თანდათანობით, თანმიმდევრულ მუშაობაში – ერთბაშად გამოსავალი არ არსებობს. დედამიწის ზურგზე ვერც ერთი ფინანსისტი და ეკონომისტი ამ გამოსავალს ვერ გვანახებს, – აღნიშნა ვიცე-სპიკერმა. (bpn.ge)

## საშინაო ფაქტორები, რომელმაც ლარის გაუფასურებას შეუწყო ხელი



– ლარის გაუფასურება ერთ დღეს გადადგმული მცდარი ნაბიჯის შედეგი არ არის. ეს შედეგი საშინაო ფაქტორების მთელმა წყებამ განაპირობა, – ამის შესახებ „საქართველოს უნივერსიტეტის“ პროფესორმა გია ჯაფარიძემ „რადიო პალიტრის“ გადაცემა „საქმეში“ განაცხადა.

გია ჯაფარიძემ ლარის გაუფასურების ხელშემწყობი ფაქტორები განიხილა და აღნიშნა, რომ ეროვნული ვალუტის გაუფასურების მიზეზი, როგორც საგარეო, ასევე, რეგიონული ფაქტორებია. მისივე თქმით, 1994 წლიდან, რაც ლარი საქართველოს ეროვნული ვალუტაა, გლობალური მასშტაბითაც და რეგიონშიც არაერთი კრიზისი ყოფილა, თუმცა უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში მთავრობის გუნდი არასწორ ნაბიჯებს დგამდა.

– როდესაც აიკრძალა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიწის გაყიდვა, პირველი, ვინც ამით იზარალა, ქართველი მიწათმფლობელი იყო. მის საკუთრებას ფასი დაუვარდა. თუ მყიდველი არ არის, თქვენს ქონებას ხომ ფასი არ აქვს? მე კონკრეტული ციფრები არ მაქვს, მაგრამ ამ კანონით ჩვენ დავკარგეთ ინვესტიციის გარკვეული რაოდენობა. აბსოლუტურად ქსენოფობიური იყო დაპირებები, რომლებიც ჩვენ გვესმოდა საპარლამენტო არჩევნებამდე, როდესაც ხალხს ეუბნებოდნენ, ჩინელი ყიდულობს მიწას, ინდოელი ყიდულობს, ამერიკელი ყიდულობს, ქართული მიწა იყიდება. ეს ხომ პოპულისტურია, აბსოლუტურად ქსენოფობიური განცხადებებია. თუ ვინმე მიწას ყიდულობს, იმ მიწას მოთხრის და სახლში წაიღებს? ის მიწა ხომ ჩვენს ტერიტორიულ საზღვრებში რჩება, სადმე ხომ არ მიდის? ეს ჩვეულებრივი ინვესტიციაა. ნებისმიერი ბინა უცხოელის მიერ ნაყიდი, მიწის ნებისმიერი ფართობი უცხოელის მიერ ნაყიდი, არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ნაწილი. ადამიანებს, რომლებიც ამაზე საუბრობდნენ, არ ჰქონდათ ელემენტარული საბაზისო ეკონომიკური განათლება, – აღნიშნა გია ჯაფარიძემ.

მისივე თქმით, არასწორი ნაბიჯი იყო, ასევე, სავიზო რეგულაციები, რომლებიც უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ იქნა შემოღებული.

– ერთ დღეს აღმოჩნდა, რომ შეერთებული შტატების, ევროკავშირის მოქალაქეები, იძულებული გახდნენ, საქართველოდან გასულიყვნენ თავიანთ სახელმწიფოებში ვიზის მისაღებად. უნდა გაევლოთ გარკვეული პროცედურები, გადაეხადათ სავიზო მომსახურების გადასახადი. ის 50 დოლარი, რომელსაც სავიზო მომსახურების გადასახადის სახით ვახდევინებთ ევროკავშირის თუ აშშ-ის მოქალაქეს, ჩვენ არ გაგვამდიდრებს, მაგრამ ძალიან დიდი ზიანი მოგვაყენა ამ სახელმწიფოებთან მიმართებაში, – აცხადებს გია ჯაფარიძე.

მან ასევე აღნიშნა, რომ არასწორია ირანთან საქართველოს ურთიერთობა.

– დღეს ირანის საერთაშორისო რეაბილიტაცია ხდება. ირანს მოუხსნეს სანქციები. ამ პირობებში, როდესაც სამხრეთ კავკასიაში ისტორიულად ირანი იყო ყოველთვის ძალიან დიდი მოთამაშე, სანამ რუსეთი გამოჩნდებოდა თავისი ძალიან აგრესიული ზრახვებით, ჩვენ ირანს დავუწესეთ სავიზო სანქციები, რომლებიც დღესაც არ მოგვიხსნია, – აღნიშნა გია ჯაფარიძემ. (bpn.ge)

## „რუსეთის პრეზიდენტის ქონება 40 მილიარდი აშშ დოლარია“





„პუტინის საიდუმლო ქონება“ – ასე ეწოდება რიჩარდ ბილტონის დოკუმენტურ ფილმს, რომელიც „ბიბისის“ პოპულარულ გადაცემა „პანორამაში“ გავიდა.

ფილმის ავტორი წარსულში კრემლთან დაახლოებულ პირებს ხვდება, რომლებიც ყვებიან, როგორ მალავს რუსეთის პირველი პირი ქონებას.

ფილმში რუსი პოლიტოლოგი და პუბლიცისტი სტანისლავ ბელკოვსკი საკუთარ წყაროზე დაყრდნობით ამბობს, რომ ვლადიმერ პუტინი ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანია და მისი ქონება 40 მილიარდი აშშ დოლარია. ავტორი აღნიშნავს, რომ ბელკოვსკის ამ მონაცემებს ემთხვევა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო ანგარიშის მონაცემებიც. თუმცა, თავად პუტინი ცხადია, ამ ბრალდებას უარყოფს.

ამასთანავე, ამერიკის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი ადამ შუბინი ფილმში აცხადებს, რომ აშშ-ის ხელისუფლებისთვის ცნობილია პუტინის კორუფციული სქემების შესახებ.

– პუტინის ოფიციალური ხელფასი წელიწადში დაახლოებით 110 ათასი აშშ დოლარია. თუმცა, ეს პრეზიდენტის ერთადერთი შემოსავალი არ არის, რადგან პუტინი და მისი ახლო გარემოცვა სხვადასხვა კორუფციულ სქემაშია ჩართული. პუტინი ხელს უწყობს მხოლოდ თავისი ახლო მოკავშირეების გამდიდრებას და იმ ადამიანების მარგინალიზებას ახდენს, ვინც მის სამეგობრო წრეს არ მიეკუთვნება ან მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე არ არის. საუბარია სახელმწიფო აქტივებზე, რუსეთის ენერგეტიკულ სიმდიდრესა და სხვა სახელმწიფო კონტრაქტებზე, რომელსაც პუტინი სამართავად მხოლოდ თავის მოკავშირეებს აძლევს, – აღნიშნა შუბინმა.

ფილმში ასევე მოყვანილია რუსი ვიცე-პოლკოვნიკის, ანდრეი ზიკოვის განცხადება, რომელიც ამბობს, რომ რუსეთის ლიდერს უძრავი ქონება აქვს ესპანეთში.

რუსი ბიზნესმენი მაქს ფრიდზონი კი ფილმში პუტინს ადანაშაულებს, რომ ფრიდზონის კუთვნილი ნავთობკომპანიის 4 პროცენტი სანკტ-პეტერბურგის მერის მოადგილეობისას პუტინმა უკანონოდ მიითვისა.

კომპანია „სოვკომფლოტის“ ყოფილი თავმჯდომარე დიმიტრი სკარგა, რომელიც ამჟამად რუსეთში ძებნილად არის გამოცხადებული, ფილმში ყვება, რომ 2002 წელს თავად კურირებდა პუტინისთვის რუსი მილიარდერის რომან აბრამოვიჩის იახტის, „ოლიმპიას“ გადაცემას, რომელიც 35 მილიონი დოლარი ღირს. სკარგას თქმით, იახტა პუტინს იმ ოფშორული კომპანიის მეშვეობით გადასცეს, რომლის რეალური მფლობელიც თავად რუსეთის ლიდერია.

პუტინის ბავშვობის მეგობარი, მისი ყოფილი მოკავშირე, ბანკირი სერგეი პუგაჩოვი კი ამბობს:

– ადამიანები, რომლებიც რუსეთში უზარმაზარ ქონებას ფლობენ, უკვე ხვდებიან, რომ რეალურად ეს ქონება მათ არ ეკუთვნით. მათი კეთილდღეობა 100 პროცენტით არის დამოკიდებული პუტინის განწყობაზე. (bpn.ge)

## მაისაია: ლავროვის განცხადება რეალურად საფრთხის შემცველია



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის მიერ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც პანკისის ხეობის ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლების თავშესაფრად წარმოჩინებას შეეხებოდა, ექსპერტი ვახტანგ მაისაია საუბრობს:

– სერიოზული მესიჯია, როდესაც მათ 2002 წელს გააკეთეს ასეთი ტიპის განცხადება, კიდეც გადავიდნენ ქმედებაზე. როდესაც ქვეყნის მესამე პირი რუსეთის იერარქიაში ასეთ განცხადებას აკეთებს, ფაქტობრივად, ეს არის კრემლის პოზიცია, ეს იგივეა, რაც პუტინის განცხადება. ასეთივე განცხადება გააკეთა რუსეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა პატრუშევმაც.

რეალურად, საფრთხის შემცველი განცხადებაა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ აუცილებლად უნდა გააკეთოს განცხადება და მოითხოვოს ამ ბრალდების შესაბამისი დამადასტურებელი ფაქტების წარმოდგენა, ანუ რა ინფორმაციაზე დაყრდნობით მოხდა ამ ბრალდების გაჟღერება. საგარეო უწყებამ უნდა მოითხოვოს საერთაშორისო დამკვირვებლების, პრესის, მასმედიის მონიტორინგი ხეობაში, წაყრუება ამ თემასთან დაკავშირებით არ შეიძლება, – განაცხადა მაისაიამ. (tb24.ge)

## ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჩადუნიანში 18 წლის ბიჭმა თავი ჩამოიხრჩო



შემთხვევა დილით მოხდა. ადგილობრივების ინფორმაციით, ახალგაზრდა სახლში ნასვამ მდგომარეობაში გვიან ღამით დაბრუნდა, რამდენიმე საათის გასვლის შემდეგ კი საკუთარმა დედამ იგი აივანზე ჩამომხრჩვალი ნახა.

ადგილობრივებისთვის თვითმკვლელობის მიზეზი უცნობია.

გარდაცვლილი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურში მოხალისედ მუშაობდა და ღონისძიების დაგეგმვაში მონაწილეობდა. ის ლაგოდეხის მოცეკვავეთა ანსამბლის წევრიც იყო. ახალგაზრდები მას დადებითად ახასიათებენ და ამბობენ, რომ აბსოლუტურად უკონფლიქტო ადამიანი იყო.

შსს-ს ინფორმაციით, მომხდარ ფაქტზე გამოძიება 115-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით აღიძრა. მომხდარს ლაგოდეხის პოლიცია იძიებს. (pia.ge)

## „ფინანსური სტაბილურობის ანგარიშის არგამოქვეყნება, პირადად ჩემი გადაწყვეტილებაა“



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, გიორგი ქადაგიძის განცხადებით, ფინანსური სტაბილურობის ანგარიში მისი გადაწყვეტილებით არ გამოქვეყნდა.

მისი თქმით, ეროვნული ბანკი ერთ-ერთი ყველაზე გამჭვირვალე ორგანიზაციაა და თუ ვინმეს კითხვა ექნება ფინანსური სტაბილურობის ანგარიშის არგამოქვეყნებასთან დაკავშირებით, ის პასუხს გასცემს.

– ფინანსური სტაბილურობის ანგარიში არანაირ კავშირში არ არის 2014 წლის ანგარიშთან. ეროვნული ბანკი არის ერთ-ერთი ყველაზე გამჭვირვალე ორგანიზაცია ყველა შეფასებით. უამრავ ინფორმაციას ვაქვეყნებთ ვებგვერდზე და ათიათასობით მოქალაქე ყოველდღიურად იღებს მისთვის საჭირო ინფორმაციას ჩვენი ვებგვერდიდან. რაც შეეხება უშუალოდ ფინანსური სტაბილურობის ანგარიშის არგამოქვეყნებას, ეს არის პირადად ჩემი გადაწყვეტილება. რატომ მივიღე ეს გადაწყვეტილება, ამაზეც სიამოვნებით ვუპასუხებ დეპუტატებს, თუ კითხვა ექნებათ, – აღნიშნა გიორგი ქადაგიძემ. (pia.ge)



# რას ნიშნავს ლავროვის გზავნილები და რას უნდა ველოდოთ?

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი აცხადებს, რომ ვლადიმერ პუტინი მზად არის, საქართველოს პრეზიდენტს შეხვდეს. მისგან სხვა საინტერესო მესიჯებიც გაისმა. ის, ასევე, გამოთქვამს მზაობას თავის ქართველ კოლეგასთან, მიხეილ ჯანელიძესთან აუდიენციაზე. აცხადებს, რომ რუსეთ-საქართველოს შორის ყინული დაძრულია, ქართველი ხალხი რუს მეზობლებთან ურთიერთობაში სააკაშვილის დანაშაულებრივი შეცდომებისთვის არ უნდა იხდიდეს საფასურს. ხელისუფლებამ მყისიერი რეაგირება მოახდინა და განცხადებებით უპასუხა, პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობებში ზურაბ აბაშიძე განმარტავს, – სანამ საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია, რუსეთის მიერ დიპლომატიური ურთიერთობები ვერ აღდგება და ეს რუსეთმა ძალიან კარგად იცის. აქვე უნდა ითქვას, რომ პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ თედო ჯაფარიძემ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას დიპლომატიური მასტერკლასი ჩაატარა, როცა ახლად არჩეულ პრეზიდენტს არგამუნტს ღიად და საჯაროდ გააგებინა, რომ გიგი უგულავა პოლიტპატიმარი არ არის, მას ბრალად ედება სახელმწიფო სახსრების გაფლანგვა და მიანიშნა: „სხვათა შორის, არც საქართველოა თავში ხელწამოსაკრავი ბიჭი, სულ მუდამ რომ უტყაპუნონ. ყველამ უნდა გავაცნობიეროთ ის, რომ ჩვენ ვართ დამოუკიდებელი და სუვერენული ქვეყანა“.

შეგახსენებთ, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე არგამუნტის პრეზიდენტად არჩევის პარალელურად ვიცე-პრეზიდენტად არჩეულია თედო ჯაფარიძე. ვნახოთ, როგორ მოახერხებს თედო ჯაფარიძე „ნაცმოძრაობის“ სულიერი ძმების, „სახალხო პარტიის“, დაარწმუნებას რომ მათთვის სიმართლე იყოს გასაგები.

> **„ინტერპარტიული ჯგუფის წევრები კვირიკაშვილისგან ბისმარკისა და კისინჯერის სახეებით რომ გამოვიდნენ, მათ რა ჰგონიათ, რამეს შეაცვლევინებენ?.. თუ ფიქრობენ, მათ დაკრულზე ხელისუფლებას აცეკვებენ, მაშინ მაგათი ადგილი 100 წელი კიდევ ხელისუფლებაში ყოფილა“**

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ალიას“ კითხვებს პასუხობს:**

**— როგორ ფიქრობთ, დაიწყება თუ არა გადატვირთვის პოლიტიკა საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს შორის. რას ნიშნავს ლავროვის გზავნილები და რას უნდა ველოდოთ?**

– ახალი და სენსაციური არც არაფერი არ არის, დღეს, როდესაც რუსეთი უკრაინასთან ომობს, დასავლეთთან, ამერიკასთან, თურქეთთან და შესაბამისად, აზერბაიჯანთან ცივი ომი აქვს გამოცხადებული, ისლამურ სახელმწიფოსთან სირიაში, პირდაპირი მნიშვნელობით, იბრძვის, ეს არის სურათი, ვთქვათ, რა დღეშია რუსეთი. ამ დროს, ერთი პატარა კონფრონტაციაც კი მას არ აწყობს. აღარაფერს ვამბობ პატარა ომზე, მით უმეტეს, ისეთ ფეთქებად რეგიონში, როგორიც არის ამიერკავკასია, სადაც რუსეთს არცთუ შორეულ, განმჭვრეტ მომავალში შესაძლოა, სერიოზული პრობლემები გაუჩნდეს და ეს იქნება ჩეჩნეთში.

უკანასკნელი მოვლენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კადიროვმა ლამისაა მოახერხა, რომ რუსეთის მთელი მოაზროვნე ელიტა გადაიბირა, დაწყებული პოლიტტექნოლოგებიდან დამთავრებული კინორეჟისორებით და მსახიობებით, ფაქტობრივად, რუსული ელიტა შუაზე გაყო – კადიროვის მომხრეებად და მის მოწინააღმდეგეებად. კადიროვი რუსეთის ვარსკვლავებს რომ პატიჟებს, „ლამბორჯინებს“ ჩუქნის და ისე უშვებს. ისეა გამწარებული პუტინი, რომ კადიროვის ზარებს აღარ პასუხობს, ჯერჯერობით პუტინი ითმენს, მაგრამ საფრთხე არის.

სახეზეა აზერბაიჯანთან მისი რთული დამოკიდებულება, რაც განაპირობა ალიევის უპირობო მხარდაჭერამ ერდოღანის მიმართ, პუტინს სომხეთი ჯიბეში უზის და ფიქრობს, ახლა ფეხიან ქვეყნებს რა უყოს, თორემ უფეხო სად წაუვათ. ამ შემთხვევაში უფეხოა სომხეთი, როგორც აზერბაიჯანი, საქართველო მისთვის ფეხიანია, მაგრამ აზერბაიჯანი ნაკლებად საიმედოა რუსეთისთვის, ხოლო საქართველოსთან მათ ბევრი რამ აკავშირებთ, რელიგიიდან დაწყებული, წარსული ურთიერთობებით დამთავრებული. ჯერ კიდევ არსებობს თაობა, ვისაც ახსოვს რუსეთთან კავშირები, პუტინს რომ შეეძლოს, სახე შეინარჩუნოს და საქართველოსთან ნორმალური ურთიერთობა აღადგინოს, ამაზე სიამოვნებით წავიდოდა, მაგრამ დღეს ეს შეუძლებელია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ არის აფხაზეთი, სამაჩაბლო და 2008 წლის ომის შედეგები.

**— ევროპის საპარლამენტო ასამბლეის ახალ პრეზიდენტს, პედრო არგამუნტს თედო ჯაფარიძემ დიპლომატიური მასტერკლასი ჩაუტარა და მის შეფასებას, რომ უგულავა თითქოს პოლიტიკური პატიმარია, ჯაფარიძემ არგუმენტირებული პასუხი გასცა. როგორ ფიქრობთ, ჯაფარიძე დაარწმუნებს არგამუნტს, რომ ის საკუთარ შეხედულებებში ცდება?**

– ჩემთვის საერთოდ გაუგებარია თედო ჯაფარიძის პოზიცია და აი, რატომ. ამ ადამიანს თითქმის ნახევარი საუკუნეა ვიცნობ, მის პროფესიონალიზმში ეჭვი არავის ეპარება, მას აქვს ძალიან დიდი კავშირები რუსეთთან და დასავლეთთან, ბოლოს და ბოლოს, ეს კაცი ამერიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი იყო და ოთხი წელი დუმილში გაატარა. როცა საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნეს, დარწმუნებული ვიყავი, დაჩრდილავდა საგარეო საქმეთა სამინისტროს, ვინაიდან ამ ერთ კაცს გაცილებით მეტი ცოდნა, პროფესიონალიზმი, კვალიფიკაცია აქვს, ვიდრე მთლიანად საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთად აღებულს თავისი მინისტრით, დეპარტამენტის თავმჯდომარეებით და მათი მძღოლებით დასრულებული, მაგრამ ვერ გავიგე, პარლამენტში რისთვის არის. კი ბატონო, გამოაქვეყნა რამდენიმე საინტერესო წერილი დასავლეთში, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს და იცით, რატომ? თუკი შენ სისტემურად არ გააკეთებ ამას, არ იაქტიურებ, დაგივიწყებს საზოგადოება. იყო საუბარი, ინგლისში ელჩად უნდა დაენიშნათ, მაშინ ალასანიას ცოლისდა იყო საგარეო საქმეთა მინისტრი. ეტყობა, თედო ჯაფარიძემ აქტიურობა რომ მოინდომა, შეუბღვირეს და უთხრეს, – შენს კომიტეტს მიხედეო. როგორც ჩანს, თედო განაწყენდა და იფიქრა, ელჩად მაინც წავალო, იქაც არ გაუშვეს და უთხრეს, დარჩი, თედო ხარ ჯაფარიძე, დიდი სახელის მქონე ხარ და აქ იყავიო. მოკლედ, მისი განცხადება ევროპის საბჭოს ასამბლეაზე ერთი ეპიზოდია, რაც თქვა, იყო სწორი და კარგი, მაგრამ დიპლომატიაში ეს არაფერს ნიშნავს. თედომ ცივილიზებული ტონით გააკეთა განცხადება და მისი კოლეგისგან განსხვავებით არ უთქვამს, დაბერდი და გამოპრუტუნდიო, როგორც ეს თავის დროზე კვაჭანტირაძემ გააკეთა არგამუნტის მისამართით. მეორეც, არ მგონია, თედოს შინაგანი მოთხოვნა ყოფილიყო ასეთი საყვედურით გამოსვლა, ვინაიდან, ჩვენ მოგვწონს თუ არ მოგვწონს, დღეს ევროსაბჭოს ალტერნატივა არ გვაქვს. ევროჩინოვნიკებმა საკუთარი თავის ფასი მშვენივრად იციან, ასევე იციან ქართველი დეპუტატების ფასი. მე არ ვგულისხმობ ამ შემთხვევაში თედო ჯაფარიძეს, მაგრამ მის კოლეგებს რომ ევროჩინოვნიკები ელაპარაკებიან, ისინი ნუ იფიქრებენ, რომ მას თანასწორადაც აღიქვამენ, შინაგანად ისინი ქართველ დეპუტატებს უყურებენ როგორც სპილო – ბეღურებს... უბრალოდ, კარგად აღზრდილი ხალხია და სხვა ტონალობა აქვთ საუბრებში. მათთან ვერ გამოვნახეთ საერთო ენა ოთხი წლის მანძილზე. არადა, თითქოს ეს საკმარისი დრო უნდა ყოფილიყო, მაგრამ მივდივართ კონფრონტაციაზე. იმის ნაცვლად, ელაპარაკო, დაარწმუნო, რა არის სიმართლე და რა ტყუილი, გამოდიხარ და ეუბნები – დაბერდიო, მაგრამ კვაჭანტირაძემ ეს განცხადება იმიტომ გააკეთა, რომ ერთი კაცისთვის ესიამოვნებინა, ოლიმპოს მთაზე რომ არის, შემდეგ მას რომ ეთქვა, თურმე რა მაგარი ყოფილა და საარჩევნო სიაში კიდევ ჩავწერო... როგორც ჩანს, ქართველი დეპუტატების მიზანი არ არის, ევროჩინოვნიკებს პოზიცია შეაცვლევინონ, არამედ მათი მიზანია, ხმამაღლა ლანძღონ ისინი, დასცინონ, მივიდეს ეს ივანიშვილის ყურამდე და საპარლამენტო სიაში ადგილები გაინაღდონ. არადა, ვინც არგამუნტს ბებერს უწოდებს, ის კაცი აირჩიეს ევროპელებმა პრეზიდენტად და არ აურჩევია ვინმე ქართველ დიასახლისს. ახლა გაიგეს, რომ სოციალისტები ძალიან ძლიერად არიან ევროპაში და მიდის საუბრები, რომ ქართველი „სოციალ-დემოკრატები“ უფრო დიდი რაოდენობით შეიყვანონ პარლამენტში, რომ „ნაცმოძრაობის“ მოძმე პარტია, „ევროპის სახალხო პარტია“ ამით დააბალანსონ, ასეთი გაუგებრობებიც ხდება. გამკვირვებია ზოგიერთი იმ პოლიტიკოსის, ვინც კრიტიკულად საუბრობდა რამდენიმე ხნის წინ ივანიშვილსა და „ოცნებაზე“, დღეს კი საეჭვოდ დატკბნენ. რა ტონალობაშიც ღარიბაშვილს აქებდნენ, იგივე ტონალობაშიც აქებენ კვირიკაშვილს. მე პირადად გულგატეხილი და იმედგაცრუებული ვარ იმის შემხედვარე, რაღას არ კადრულობენ, ოღონდ სიებში მოხვდნენ.

**— ინტერპარტიული ჯგუფი პრემიერ-მინისტრსა და პრეზიდენტს შეხვდა, თქვენ როგორ ფიქრობთ, საარჩევნო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით ეს იყო შეხვედრა შეხვედრისთვის, თუ რეალური ჩანაფიქრია ამ ყველაფრის მიღმა?**

– მოახლოვდა არჩევნები, ცხადია, კვირიკაშვილს აქვს ზემოდან მითითება, მაღლა აიხედეთ და დაინახავთ, ვისგან. მას უთხრეს, შეხვდი ოპოზიციას და ელაპარაკე, თუმცა გადაწყვეტილებების მიღება უჩვენოდ არ გაბედოო. ამიტომ, არავითარი გადაწყვეტილება არ იქნება. კვირიკაშვილმა წინასწარ იცის, რაზე მისცეს თანხმობა და რაზე – არა. ინტერპარტიული ჯგუფის წევრები კვირიკაშვილისგან ბისმარკისა და კისინჯერის სახეებით რომ გამოვიდნენ, მათ რა ჰგონიათ, რამეს შეაცვლევინებენ?.. თუ ფიქრობენ, მათ დაკრულზე ხელისუფლებას აცეკვებენ, მაშინ მაგათი ადგილი 100 წელი კიდევ ხელისუფლებაში ყოფილა. ჩვენ, უბრალოდ, შეიძლება კოსმეტიკური ცვლილება ვნახოთ, რაც საერთო სურათს არ შეცვლის, თქვენ ნახეთ ხელისუფლების განცხადება, რომ სპეცუბნების გაუქმება ისედაც გადაწყვეტილი გვქონდა, ეს სულაც არ ნიშნავს კომპრომისზე წასვლასო, ამით მიანიშნეს ოპოზიციას, ღია კარს ამტვრევთო. რაც მთავარია, ეს არჩევნები ჩატარდება მაჟორიტარული სისტემით. ასე რომ, ოპოზიციის ძირეული მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის. ხელისუფლება რჩება მოგებული, რადგან მან შექმნა ილუზია, რომ ოპოზიციას ხვდება და მოლაპარაკებას მართავს. დაიკიდონ ახლა პრემიერის სურათები ორკაციანი პარტიის ლიდერებმა და შვილიშვილებს მოუყვნენ, რომ ოდესღაც პრემიერს შეხვდნენ.

## პუტინის აგენტებმა ლიტვინენკოს მოწამვლის შემდეგ პოლონიუმის კვალი რუსეთის საელჩოში დატოვეს



ბრიტანული გამოძიების ინფორმაციით, რუსეთის ყოფილი ჯაშუშის, ალექსანდრე ლიტვინენკოს მკვლელობაში ორი რუსია ბრალდებული.

Daily Mirror კი წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ მათ ბრიტანეთში რუსეთის საელჩოში იმ რადიაციული ნივთიერების კვალი დატოვეს, რომლითაც ლიტვინენკო იქნა მოკლული.

რუსი დიპლომატი გამოცემასთან ამბობს, რომ ორმა ბრალდებულმა მომაკვდინებელი ქიმიური ელემენტი (პოლონიუმ-210) საელჩოს შენობაში მას შემდეგ დატოვა, რაც პუტინმა უბრძანა, შენობა დაეტოვებინათ და დანაშაული არ ეღიარებინათ.

დიდი ბრიტანეთის გამოძიების თანახმად, ანდრეი ლუგოვოიმ და დმიტრი კოვტუნმა ლიტვინენკო რადიოაქტიური ნივთიერებით მოწამლეს. გამოძიება, აგრეთვე, არ გამორიცხავს, რომ მკვლელობა პრეზიდენტ პუტინის ბრძანება იყო.

Daily Mail-ის ინფორმაციით, ორმა ბრალდებულმა მოასწრო ადგილზე მისვლა მანამ, სანამ პოლიცია მკვლელობის კვალს გამოიძიებდა.

კოვტუნი და ლუგოვოი ერთმანეთს საელჩოს მთავარ შესასვლელთან შეხვდნენ. მათ მისცეს უსაფრთხოების საშვები და მობილური ტელეფონები სანამ „Smolenskaya Embankment“-ის შენობაში გადაიყვანდნენ.

ბრიტანეთის საელჩოში მომუშავე პოლ ნოტმა განაცხადა, რომ შეხვედრის დროს ელჩის მოადგილემ და კიდევ ერთმა თანამშრომელმა ლიტვინენკოს მოწამვლა სცადეს.

ნოტი, რომელიც რამდენიმე წელია, ბრიტანეთის საელჩოში მუშაობს, აცხადებს:

„ჩვენ გავაანალიზეთ, რომ ისინი ტოვებდნენ კვალს იქ, სადაც წავიდოდნენ. ამიტომაც სპეციალური გუნდი ავიყვანეთ. სკამებზე, სადაც ისინი ისხდნენ, რადიაციას გადაიყვანდნენ. ლუგოვოის მობილური ტელეფონიც კი კვალს ტოვებდა“.

შეგახსენებთ, ცოტა ხის წინ ბრიტანეთის სასამართლომ გამოაქვეყნა ანგარიში, რომლითაც ლიტვინენკოს მკვლელობაში ლუგოვოისა და კოვტუნს ბრალი ოფიციალურად ედებათ.

ანგარიშში, ასევე, ნათქვამია, რომ რუსეთის ყოფილი ჯაშუშის მკვლელობა ოფიციალურმა მოსკოვმა დააფინანსა. (cp.ge)

# ნავთობის ფასი კვლავ დაეცა



ნავთობის ფასი კვლავ დაეცა – „ბიზნესის“ ინფორმაციით, „ბრენტის“ მარკის შავი ოქროს ფასი 26 იანვარს 2 პროცენტით შემცირდა და 29,85 აშშ დოლარი შეადგინა. WTI მარკის ნავთობის ღირებულება კი 29,58 აშშ დოლარია.

ნავთობის ფასის მკვეთრი დაცემა დეკემბერში დაიწყო, როცა მსოფლიო ბაზარზე შავი ოქროს გადაჭარბებული შემოთავაზება დაფიქსირდა. გარდა ამისა, ერაყში ნავთობის მოპოვების მოცულობამ რეკორდული მაჩვენებელი შეადგინა, 25 იანვარს კი საუდის არაბეთმა განაცხადა, რომ ნავთობის მოპოვების მოცულობის შემცირებაზე უარს არ იტყვის. დაბალ ფასებს განაპირობებს ირანის ფაქტორიც, რომელიც სანქციების მოხსნის შემდეგ ნავთობის მსოფლიო ბაზარზე დაბრუნებისთვის ემზადება. (bpn.ge)

# თამაზ მეჭიაური: ქადაგიძე ადეიშვილს აბარებდა ანგარიშს და მომავალშიც ჩააბარებს!



საპარლამენტო უმრავლესობის წევრ თამაზ მეჭიაურის თქმით, გიორგი ქადაგიძეს ანგარიშის პარლამენტში წარდგენა იმისთვის სჭირდება, რომ შოუ მოაწყოს და ადეიშვილის თვალში თავისი პერსონის ფასი გაზარდოს.

როგორც მეჭიაურმა აღნიშნა, მას აქვს ვალდებულება, რომ ეროვნული ბანკის ანგარიშის წარდგენას დაესწროს, აქედან გამომდინარე, მისი განმარტებით, ის დაესწრება არა გიორგი ქადაგიძის მიერ ანგარიშის წარდგენას, არამედ მხოლოდ ეროვნული ბანკის ანგარიშის წარდგენას.

მეჭიაურის თქმით, ქადაგიძე ანგარიშს ქართველ ხალხს კი არა ადეიშვილს აბარებდა და მომავალშიც მას ჩააბარებს.

– არ მგონია, მთელი ქართველი ხალხის კრებითი სახელი ადეიშვილი იყოს. ქადაგიძე ადეიშვილს აბარებდა ანგარიშს და მომავალშიც ჩააბარებს. ეროვნული ბანკის ანგარიშის მოსმენას, რა თქმა უნდა, დავესწრები და არა ქადაგიძისას. ჩვენ გვაქვს ვალდებულება, რომ მოვისმინოთ ეროვნული ბანკის ანგარიში, ვინ წარმოადგენს ანგარიშს, ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს. მე დავესწრები. ხოლო როდის უნდა მოხდეს განხილვა, ამას პარლამენტის ბიურო გადაწყვეტს. რაც შეეხება საკომიტეტო მოსმენას, მე თავის დროზე ჩავატარე ეს მოსმენები, რეგლამენტის სრული დაცვით, ასევე, რეგლამენტის განსაზღვრულ ვადაში ჩავაბარე პარლამენტის ბიუროს, რომელმაც ასევე რეგლამენტით განსაზღვრულ ვადაში ჩასვა დღის წესრიგში პარლამენტის პლენარულ სხდომებზე განსახილველად. მაგრამ თვითონ ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის თხოვნით, მაშინ მისი განხილვა გადაიდო. ასე რომ, დღეს სხვისკენ რომ უთითებენ თითს, არასწორია. მაშინ თვითონ ცდილობდნენ, რაც შეიძლება შორს გადაწეულიყო განხილვა, იმდენად, რამდენადაც ყველა კომიტეტს ჰქონდა უარყოფითი დასკვნა. თავისთავად ცხადია, დიდი ალბათობით, იმავე შეფასებას მისცემდა მაშინ პარლამენტი, – აღნიშნა მეჭიაურმა.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის შეფასებით, გიორგი ქადაგიძეს პარლამენტისთვის ანგარიშის წარდგენა მხოლოდ შოუსთვის და საკუთარი პერსონის ფასის ზრდისთვის სჭირდება.

– ახლა, როცა ქადაგიძემ გაინაღდა და პრაქტიკულად, ამოწურა თავისი ვადა, უნდა, რომ განიხილოს, მაშინ როდესაც ამ განხილვაზე რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს პარლამენტმა, მასზე არანაირად არ აისახება და არც რაიმე დიდს მოველი მისგან, რომ რაიმე ისეთ საპროგრამო დოკუმენტს დაგვიტოვებს, რომელიც ქვეყნის აღმშენებლობას წაადგება. მგონია, რომ მას ეს სჭირდება შოუსთვის და იმისთვის, რომ თავისი პერსონის ფასი ადეიშვილის თვალში კიდევ უფრო გაზარდოს, – განაცხადა მეჭიაურმა.

ცნობისთვის, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ განაცხადა, რომ მისი პარლამენტში გამოსვლა და კითხვებზე პასუხის გაცემა, მნიშვნელოვანია, რადგანაც უნდა გაანალიზდეს, სად იყო დაშვებული შეცდომები, რა წარმატებები იყო და ასევე, რა მიმართულებით უნდა განხორციელდეს მოქმედებები, რათა ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევები დაიძლიოს.

– რიგი დეპუტატები აცხადებენ, რომ მათთვის არ არის საინტერესო ამ ანგარიშის მოსმენა და ამ თემებზე საუბარი. მე მინდა მარტივად ვთქვა, რომ მე არ ვაბარებ ანგარიშს არც ბატონ მეჭიაურს და არც ბატონ ტყემალაძეს. მე ანგარიშს ვაბარებ ქართველ ხალხს და საზოგადოებას, რომელსაც აინტერესებს კითხვაზე პასუხის გაცემა. კითხვაზე პასუხის გაცემა არის აუცილებელი იმისთვის, რომ გავაანალიზოთ, სად გვქონდა წარმატება, სად გვქონდა წარუმატებლობა, სად დავუშვით შეცდომები და რაც მთავარია, სად და რა მიმართულებით გვინდა განვვითარდეთ და რა მიმართულებით უნდა წავიდეთ იმისთვის, რომ დავძლიოთ ის გამოწვევები, რომელიც დღეს ქვეყანას გააჩნია, – აღნიშნა გიორგი ქადაგიძემ. (pia.ge)

# ბათუმის ყველა სკოლასა და საბავშვო ბაღში სასწავლო პროცესი შეწყვეტილია




დიდთოვლობის გამო ბათუმის ყველა სკოლასა და საბავშვო ბაღში სასწავლო პროცესი შეწყვეტილია. უხვი ნალექის გამო ბათუმში გადაადგილება პარალიზებულია. თოვლის საფარი ქალაქის ფარგლებში 50-70 სანტიმეტრამდე აღწევს. როგორც აჭარის განათლების სამინისტროში აცხადებენ, ამინდის გამოსვლის შემთხვევაში სწავლა განახლდება.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, სასწავლო პროცესი ასევე შეწყვეტილია ქობულეთისა და ხელვაჩაურის სკოლებსა და ბაღებში. რაც შეეხება მაღალმთიან აჭარას, ქედის მუნიციპალიტეტის 10 სკოლაში სასწავლო პროცესი შეწყვეტილია, ხოლო 19 სკოლაში სწავლა მიმდინარეობს. ხულოსა და შუახევში კი მცირე ნალექია და სასწავლო პროცესი ჩვეულ რეჟიმში გრძელდება. (bpn.ge)

# ირანის პრეზიდენტმა იტალიაში 17 მილიარდი აშშ დოლარის კონტრაქტები გააფორმა



ირანის პრეზიდენტმა, ჰასან რუჰანიმ იტალიაში ვიზიტის დროს თითქმის 17 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის შეთანხმებები გააფორმა. „ბიზნესის“ ინფორმაციით, იტალიურ კომპანიებთან კონტრაქტები ძირითადად ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროში გაფორმდა.

ირანის პრეზიდენტი ევროპაში ოფიციალური ვიზიტით პირველად იმყოფება მას შემდეგ, რაც დასავლეთმა თეირანის წინააღმდეგ სანქციების მოხსნის გადაწყვეტილება მიიღო. ევროპული ტურნეს ფარგლებში, ჰასან რუჰანი პარიზშიც გაემგზავრება, სადაც იგეგმება კიდევ ერთი მასშტაბური შეთანხმების გაფორმება კომპანია Airbus-თან. შეთანხმების მიხედვით, აღნიშნული კომპანიისგან ირანი 100-ზე მეტ თვითმფრინავს შეიძენს.

ირანის დელეგაცია 120 ადამიანისგან შედგება. მათ შორის არიან როგორც მთავრობის წარმომადგენლები, ასევე ბიზნესმენებიც. ირანული დელეგაციის ვიზიტის მიზანია ევროპასთან კავშირების აღდგენა.

აღსანიშნავია, რომ სანქციების გაუქმების შემდეგ, გასულ კვირას ირანი და ჩინეთი შეთანხმდნენ, რომ მომდევნო 10 წლის განმავლობაში სავაჭრო ბრუნვა 600 მილიარდ დოლარამდე გაზარდონ. (bpn.ge)

# უფლებამოსილების გადამეტება — კალაძის ცოლისძმის სკანდალი



„მონიტორინგის ცენტრი - მედიატორის“ დამფუძნებელი გივი კუბლაშვილი მოდულის შენობაში, მოწმის სახით დაკითხვაზე იმყოფებოდა. საქმე ეხება კალაძის ცოლისძმის, გიორგი არეშიძის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ გაკეთებულ შაორის ბანაკის გახსნა-დახურვის ცერემონიის ხარჯებს, რომლისთვისაც მერიამ არეშიძის საქალაქო სამსახურის თანამშრომელსა და მის მეგობარ ომარ გოგუაძეს 95 300 ლარის ხელშეკრულება გაუფორმა.

როგორც გივი კუბლაშვილი აცხადებს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს.

– გამოძიება დაინტერესებულია თბილისის მერიის მიერ მოწყობილი შაორის ბანაკით, რომელიც გაკეთებული იყო არეშიძის სამსახურის მიერ და გამოძიებას აინტერესებდა ეს დოკუმენტები, რომელიც ხარჯებს ასახავს, საიდან მქონდა მოძიებული, რა ფორმით მოვიძიე და რა იყო საერთოდ ამ დოკუმენტებში.

გამოძიება მიმდინარეობს 322-ე მუხლით, რაც უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს. ყველას კარგად ახსოვს, რომ ჩვენი ორგანიზაცია იყო ის ერთ-ერთი პირველი, რომელიც საუბრობდა, რომ არეშიძის დანიშვნა ამ თანამდებობაზე იყო სახიფათო, როგორც თავად არეშიძისთვის, ასევე, ქალაქის ბიუჯეტისთვისაც, მაგრამ ყურად არავინ არ იღო და მაინც გადაწყვიტეს, რომ დაენიშნათ. ახლა კი ვხედავთ, რა მდგომარეობაში ჩავარდა ეს ადამიანი, მსუბუქად რომ ვთქვათ, ძალიან უხერხულ მდგომარეობაშია, – განაცხადა გივი კუბლაშვილმა. (პირველი რადიო)

# „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებას ქურდული სამყაროს წევრებთან კავშირში ამხელს



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატმა გივი თარგამაძემ, სამეგრელოში, სახელმწიფოსა და ქურდული სამყაროს თანამშრომლობის მაგალითზე ისაუბრა. როგორც დეპუტატმა აღნიშნა, აქ მოქმედ სისტემაში რეგიონის რწმუნებულთან ერთად ოკუპირებული ტერიტორიებიც არის ჩართული და საქმეში აფხაზი კრიმინალებიც მონაწილეობენ:

– „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლასთან ერთად დაიწყო ქურდული სამყაროს გამოღვიძება და გაძლიერება. ჯერ იყო ბესელია-კაკაბაძის ქურდულ-ჯაშუშური „პოლიტპატიმრების“ გამოშვება, შემდეგ მასობრივი ამნისტია, შემდეგ კრიმინალური ავტორიტეტების „გამოწერა“, მათთვის თბილისის აეროპორტში „მალინის“ მოწყობა და შემდგომ მშვიდობიანად საზღვარგარეთ გაშვება. ამის სანაცვლოდ ქურდულმა ავტორიტეტებმა „ოცნებას“ მაყურებლების მეშვეობით ციხე „დაულაგეს“ და არჩევნებშიც დაეხმარნენ. მოგვიანებით „ქართული ოცნება“ კიდევ უფრო შორს წავიდა და აჭარაში მთავრობამ, პოლიციამ და კრიმინალებმა სრულ სიმბიოზს მიაღწიეს.

ამჯერად საქმე ეხება სამეგრელოს რეგიონს. სისტემა აქაც იგივეა – სისტემის ძირითადი მოთამაშე რეგიონული ხელისუფლება, ამ შემთხვევაში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის რწმუნებული ლევან შონია და კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელი ხვიჩა ცხაკაია და რეზო ლაზიშვილი (მეტსახელად „ბუდოკი“). სისტემის შესახებ საქმის კურსშია და ხეირობს ცენტრალური ხელისუფლება. ბოლო დრომდე ცენტრს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და მისი ტრადიციული სახე, სიმამრი თამაზ თამაზაშვილი წარმოდგენდა. თუმცა, არსებობს გარკვეული განსხვავებაც.

ოკუპირებულ ტერიტორიასთან სიახლოვის გათვალისწინებით სქემაში ოკუპირებული ტერიტორიებიც არის ჩართული და საქმეში აფხაზი კრიმინალებიც მონაწილეობენ, მათი წარმომადგენელი თემურ გვასალიაა, ხოლო შუამავალი ყოფილი „ტყის ძმების“ მეთაური დათო შენგელია.

სიმბიოზის თანამშრომლობის საგანი თხილის ბიზნესი და კონტრაბანდაა. ჯგუფმა თხილის გადამამუშავებელი ქარხნები საოკუპაციო ხაზის მიღმა გალის რაიონში გახსნა და ჩასაბარებელი ფასის განსხვავებაზე თამაშით, სახელმწიფო ბიუჯეტის გვერდის ავლით, მნიშვნელოვანი თანხა იშოვა. გარდა ამისა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე განლაგებული რუსეთის ბაზებიდან სამეგრელოს რეგიონში კონტრაბანდული წესით კარაქი და რძის ნაწარმი გადმოაქვთ, ხოლო უკან თხილი და მინერალური წყალი გადააქვთ.

2015 წლის მაისში აფხაზი კრიმინალების მოთხოვნით გალის რაიონში გაიგზავნა რეანიმობილი, რომელმაც თემურ გვასალია გადმოიყვანა. შეთანხმების თანახმად, გვასალიასთვის უნდა ემკურნალათ და თურქეთის ტერიტორიაზე გადაეყვანათ. ამისთვის მას ჯერ სხვა სახელსა და გვარზე ყალბი „აფხაზური პასპორტი“, ხოლო შემდეგ კი ნეიტრალური დოკუმენტი გამოუწერეს. შუამავალი დათო შენგელია იყო, ხოლო უსაფრთხოებას სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიცია იღებდა თავის თავზე. ამ „მომსახურებისთვის“ მათ 600 000 დოლარი აიღეს. როგორც ჩანს, თანხაც და ინფორმაციაც ვიწრო წრეში გავრცელდა. შედეგად საქმეში ანტიტერორისტული ცენტრი ჩაერია და რეანიმობილი დააკავეს.

თემურ გვასალიას ბრალი ედებოდა მასზე, რომ „ჩაიდინა კანონიერი ქურდობა; ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით უკანონო შეძენა, შენახვა“ (ციტატა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენიდან, საქმე 1/792-14). ბრალდების თანახმად, გვასალიამ აღიარა ქურდული სამყაროს წევრობა და ის, რომ „მოქმედებს მათ მიერ დადგენილი სპეციალური წესების შესაბამისად, მონაწილეობს ქურდულ გარჩევებში, ორგანიზებას უწევს ქურდულ სამყაროს და იჩენს აქტიურობას მისი მიზნების განსახორციელებლად“. გარდა ამისა, 2015 წლის 14 მაისს ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში ჩატარებული პირადი ჩხრეკისას ამოუღეს 0,35728 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რისი მოწმეც იყო პოლიციის სამი თანამშრომელი, რომლებმაც გამოძიებას მისცეს შესაბამისი ჩვენება. თემურ გვასალიას შეეფარდა წინასწარი პატიმრობა და პროკურატურამ განაგრძო ძიება.

თითქოს ყველაფერი გასაგებია და გვასალიასთვისაც სასამართლოს შესაბამისი განაჩენი უნდა გამოეტანა, მაგრამ მოულოდნელად 17 აგვისტოს გამართულ სხდომაზე მოსამართლემ გააუქმა აღმკვეთი ღონისძიება – პატიმრობა და ის დაუყოვნებლივ გაათავისუფლა სასამართლო დარბაზიდან. ამის მიზეზი იყო ის, რომ კანონიერი ქურდობის ბრალდების ნაწილში საერთოდ არ ყოფილა წარდგენილი პირდაპირი მტკიცებულება, ხოლო ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვის ნაწილში სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი იქნა ერთმანეთთან შეუთანხმებელი საეჭვო, არასარწმუნო მტკიცებულება. მარტივად, რომ ვთქვათ სამი პოლიციელის ჩვენება ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა და სასამართლომ დაადგინა 15 შეუსაბამობა. დაუჯერებელია, რომ სამ პოლიციელს თვე-ნახევრის განმავლობაში დავიწყებოდა საქმის დეტალები და ასეთი შეუსაბამო ჩვენებები მიეცა. უპრიანია, ვივარაუდოთ, რომ საქმეში ლევან შონიას მფარველი – მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი და მისი სიმამრი ჩაერია და პოლიციელებმაც ჩვენება შეცვალეს. ანალოგიურად კანონიერი ქურდობის მიმართულებით პროკურატურამ არ განახორციელა შესაბამისი ღონისძიებები, რათა დაემტკიცებინა გვასალიას კრიმინალური სამყაროს კუთვნილება, – განაცხადა გივი თარგამაძემ. (პირველი რადიო)

## აზერბაიჯანში ვულკანის ამოფრქვევა მოხდა



აზერბაიჯანში, გაჯიგაბულის რაიონში ვულკანის, ახტარმა-აშალის ამოფრქვევა მოხდა.

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, ამოფრქვევა ღამის 03:00 საათზე დაფიქსირდა და დილამდე გაგრძელდა.

ცნობისთვის ვულკანი, რომლის ამოფრქვევაც უდულუს დასახლებაში მოხდა, აზერბაიჯანის ერთ-ერთ ყველაზე დიდი ვულკანს წარმოადგენს. ახტარმა-აშალის ამოფრქვევა 2013 წლის აპრილშიც დაფიქსირდა. (pia.ge)

## სკანდალი ქართულ რაგბიში — ინტერნეტში აბუსერიძე-ნიჟარაძის ფარული აუდიოჩანაწერი გავრცელდა



ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში ფარული აუდიოჩანაწერი გავიდა, რომელშიც, სავარაუდოდ, რაგბის კავშირის ყოფილი პრეზიდენტი გია ნიჟარაძე და ნაკრების ყოფილი კაპიტანი, „ქართული ოცნების“ წევრი ირაკლი აბუსერიძე ფიგურირებენ. ჩანაწერში საუბარია რაგბის კავშირის მიერ თანხების არამიზნობრივ ხარჯვაზე. ჩანაწერის შინაარსის მიხედვით, არამიზნობრივ ხარჯებზე ირაკლი აბუსერიძე საუბრობს და აცხადებს, რომ კავშირის ხარჯებიდან 10-15 პროცენტზე დოკუმენტაცია არ არსებობს, რაზეც ნიჟარაძე პასუხობს, რომ „არც ერთი კაპიკი 8 წლის განმავლობაში არ წასულა არამიზნობრივად და ყველაფერზე იქნება გაცემული პასუხი“.

აღნიშნულ აუდიოჩანაწერთან დაკავშირებით „ქრონიკა“ ირაკლი აბუსერიძესა და გია ნიჟარაძეს დაუკავშირდა.

ირაკლი აბუსერიძის განცხადებით, მან ამ ჩანაწერის არსებობის შესახებ არ იცის და არც თანხებთან დაკავშირებით არ დაუსვამს კითხვა გია ნიჟარაძისთვის, რაც შეეხება თანხების არამიზნობრივ ხარჯვას, გაურკვევლობის თავიდან აცილებისთვის, აბუსერიძის აზრით, საჭიროა, რომ ჩატარდეს აუდიტი:

– შევა, შეამოწმებს აუდიტი და დასკვნა დაიდება. მე არ ვიცი, მე რაღაც კითხვები მქონდა რაგბის განვითარებასთან დაკავშირებით. გაავრცელონ ეგ ჩანაწერი, თუ არსებობს. ჯერ ეს ერთი, მე 2 მილიონზე კითხვა არ დამისვამს, – განაცხადა ირაკლი აბუსერიძემ.

ჩანაწერის ნამდვილობას ეჭქვეშ აყენებს გია ნიჟარაძეც:

– რაღაცა სისულელეა აბსოლუტური, აუდიტი ჩატარდება ოფიციალურად და ყველაფერს პასუხი გაეცემა. ვინ გაავრცელა ეს ჩანაწერი? ყოჩაღ ბიჭებს! შემიძლია სრული პასუხისმგებლობით გითხრათ, რომ მე ვაგებ პასუხს ყველაფერზე, რაც რაგბის კავშირში ხდებოდა, ცხადია, ფინანსური დირექტორი და მთავარი ბუღალტერი, – განაცხადა ნიჟარაძემ. (ნიუპოსტი)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



# რატომ აჭიანურებს პროკურატურა უცხოელ გეი-წყვილებზე ქართველი ჩვილების გაშვილების საქმეს?



## რას პასუხობენ „ალიას“ მთავარ პროკურატურაში?

**„ამ კითხვის დასმის შემდეგ მე მქონდა არაერთი შეხვედრა პროკურატურის პირველ პირებთან და საქმის პროკურორებთან, მაგრამ მათ ვერ შეძლეს დაესახელებინათ, რა მტკიცებულება აკლიათ საქმეზე. ეჭვი მაქვს, რომ საქმეზე წვრილმან დამნაშავეებს დააპატიმრებენ და დაბალ ლობეებზე შეიწმენდენ ხელებს, ხოლო მთავარ დამნაშავეებსა და დანაშაულის ორგანიზატორებს საზღვარგარეთ თავის შეფარების საშუალებას მისცემენ, სადაც ისინი გააგრძელებენ გეი უცხოელების მომარაგებას ქართველი ბავშვებით, დოკუმენტების გაყალბების კრიმინალური სქემით“**

ასოციაცია „მომავლის იმედში“ ამბობენ, რომ საქმე, რომლითაც ირაკლი შოთაძემ მთავარი პროკურორის რანგში მისი პირველი სამუშაო დღე დაიწყო, კვლავ უსაფუძვლოდ ჭიანურდება.

**რა საქმეზეა საუბარი? რატომ არ სჯიან დამნაშავეს, მაშინ, როცა ყველა მტკიცებულება არსებობს?**

**„ალიას“ „მომავლის იმედის“ ხელმძღვანელი, თამარ ხაჭაპურიძე ესაუბრა:**

– პარლამენტში ბატონი ირაკლი შოთაძის მიერ გამოთქმული ინიციატივის თანახმად, მართლაც შემხვდა პირველივე სამუშაო დღეს. შეხვედრაზე დაბარებული ჰყავდა თავის მოადგილეები, თბილისის პროკურორი, ე.წ. ჩვილების საქმის პროკურორი და გამომძიებელი. იმავე დღეს შოთაძემ თბილისის პროკურატურას ჩამოართვა საქმე, რომელიც უცხოეთში ჩვილი ბავშვების გეი-წყვილებზე გაშვილებას ეხება და მთავარ პროკურატურაში გადაიტანა. რამდენიმე დღეში, ასევე, ბატონი ირაკლის ინიციატივით, შევხვდი მის პირველ მოადგილეს ბატონ მამუკა ვასაძეს, საქმის ახალ პროკურორს, ზედამხედველ პროკურორს და გამომძიებელს. კვლავ განვიხილეთ საქმის დეტალები. ამ შეხვედრების შემდეგ, კიდევ უფრო მტკიცედ შემიძლია განვაცხადო, რომ პროკურატურას საქმეზე აბსოლუტურად ყველა მტკიცებულება აქვს.

**— მაშინ რატომ არ უყენებენ ბრალს დამნაშავეებს?**

– მთავარ პროკურორთან შეხვედრა 2015 წლის 30 ნოემბერს შედგა, მას შემდეგ უკვე საკმაო დროც გავიდა და ამასობაში სავარაუდო მთავარი დამნაშავე ოჯახიანად საზღვარგარეთ საცხოვრებლადაც გაუშვეს. საყურადღებოა, რომ ზემოდასახელებულ შეხვედრებზე კიდევ ერთი საკითხი იყო ძალზე აქტუალური და იქნებ მთავარიც. მათ აინტერესებდათ, რა აუდიო-ვიდეო მასალა მქონდა სახელმწიფო დაცვის უფროსის, ანზორ ჩუბინიძის კავშირზე ჩვილების საქმის გამოძიების შეფერხებასთან. შესაძლოა, გარკვეულ წრეებში ჩუბინიძის ავტორიტეტის უსაფრთხოება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ქვეყნიდან ყალბი დოკუმენტებით გაყვანილი ჩვილი ბავშვების საკითხი. ვისაც არ ახსოვს შევახსენებ, ანზორ ჩუბინიძე ბიძინა ივანიშვილის პირადი დაცვის უფროსი იყო წლების განმავლობაში. მიუხედავად მთავარი პროკურორის საფუძვლიანი დაინტერესებისა და მის მიერ პარლამენტის ტრიბუნიდან ჩვილების საქმესთან მიმართებაში პირადი შეცდომის აღიარებისა, ზოგიერთი გარემოება მიჩენს ეჭვს, რომ ჩვილების საქმის გამოძიების დასრულება და დამნაშავეთათვის ბრალის წარდგენა არც ამჯერადაა გეგმაში. ამრიგად, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის პირველი და საჯარო დავალება ახალი მთავარი პროკურორისადმი შესაძლოა, არც შესრულდეს.

**— სააკაშვილის ხელისუფლებიდან მოყოლებული საუბრობთ ამ საკითხზე. მაშინ გასაგებია, რატომაც არ ინტერესდებოდნენ საკითხით, მაგრამ დღეს ვინ აფარებს ამ ამბავს ხელს პროკურატურაში, ვის ინტერესში შედის, რომ წინ არ წავიდეს საქმე?**

– არ მგონია, რომ წლების განმავლობაში ამ საქმის თაროზე დება თბილისის პროკურატურის დონეზე წყდებოდა. დღეს პრაქტიკულად იგივე კადრებითაა პროკურატურა დაკომპლექტებული, რომლებითაც იყო სააკაშვილის ხელისუფლების დროს. თუმცა კიდევ ერთხელ ვამბობ, არ მგონია, რომ ჩვილების საქმე პროკურატურის კადრების დონეზე წყდება, ეს წყდება პირველი პირების დონეზე. თვეების განმავლობაში ჩვენი ასოციაციის საპროტესტო ბანერიანი ავტომანქანა მთავარი პროკურატურის წინ იდგა, მას ხედავდა ირაკლი შოთაძეც და მან ეს პარლამენტში ჩვენი კითხვა-პასუხის დროსაც დაადასტურა.

2014-2015 წლებში ყველა მთავარი ტელევიზიით გადიოდა სოციალური რგოლი „ჩვილების საქმე“, რომელიც მთავრდებოდა სიტყვებით – „კანონი კვლავ არ არის ყველასთვის ერთი“ და ამ სამარცხვინო მდგომარეობას, ასე ვთქვათ, მედგრად იტანდა დღევანდელი ხელისუფლება და ხმასაც არ იღებდა.

ეს არ მოხდებოდა არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში. რომ არ არსებობდეს ძლიერთა ამა ქვეყნისა შავბნელი ინტერესები, ხელისუფლების წარმომადგენლები ასე თავზე ლაფს არ დაისხამდნენ. იმის შემდეგ, რაც მე ჩვილების საქმეზე სიტყვით პარლამენტში გამოვედი და ირაკლი შოთაძემ პარლამენტის წინაშე აღიარა, რომ მისი მხრიდან დიდი შეცდომა იყო, რომ ამ საქმეს სათანადო ყურადღება არ ექცეოდა, მოხდა ის, რომ მილიონერი მარიამ კუკუნაშვილი ოჯახიანად საზღვარგარეთ გადაბარგდა საცხოვრებლად, ის გაუშვეს. კუკუნაშვილი გახლავთ იმ სუროგაციის სააგენტოს მფლობელი და ხელმძღვანელი, რომლის თანამშრომლების მიერაც ხდებოდა გააგრძელებენ ქართველი სუროგატებისა და დონორების, რეპროდუქციული ტექნოლოგიების ბოროტად გამოყენებას და ბავშვების საფრთხეში ჩაგდებით გამდიდრებას.

აგრეთვე, სამწუხაროდ, ეჭვი მაქვს, რომ პროკურატურას დამნაშავეებზე არანაკლებ უნდა 344-ე პრიმა მუხლიდან ამ საქმის, ასე ვთქვათ, დახსნა, მაგრამ ძალიან აშკარაა ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ფაქტები და უტყუარი მტკიცებულებები. თუ ჩემი ეჭვები პროკურატურაზე მცდარი აღმოჩნდება, მე მხოლოდ მოხარული დავრჩები. მიუხედავად ჩამოთვლილი გარემოებებისა, მაინც ვიტოვებ იმედს, რომ მთავარი პროკურორის ირაკლი შოთაძის და მისი მოადგილის მამუკა ვასაძის სიტყვები საქმის დროულად და სამართლიანად დასრულებაზე ტყუილი არ აღმოჩნდება.

ჩვილი ბავშვების დოკუმენტების გაყალბება, როგორც ეს წერია პროკურორ შალვა ცერცვაძის 2013 წლის დადგენილებაში. მოგეხსენებათ, საქმე აღძრულია ამ ჩვილი ბავშვების საზღვარზე ყალბი დოკუმენტებით გადაყვანის ფაქტებზე 344-ე პრიმა მუხლით, რაც ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულისთვის 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ახალი მთავარი პროკურორის საჯარო დაპირების შედეგი ჯერჯერობით არის ის, რომ მარიამ კუკუნაშვილი საზღვარგარეთ გაუშვეს. ვვარაუდობ, რომ მისმა მფარველებმა ურჩიეს მას ასე. სავარაუდოდ, ყველა დამნაშავის სათანადო დასჯა არ მოხდება, რადგან ამ შემთხვევაში ისინი დაასახელებენ მას, ვინც მათ წლების განმავლობაში მფარველობდათ.

**— რას აპირებთ?**

– მე ვაპირებ, ვამხილო, ვამხილო და ვამხილო, ვიდრე ცოცხალი ვარ. კითხვა, პროკურატურისადმი რომელიც მე დავსვი პარლამენტის ტრიბუნიდან: „რა მტკიცებულება აკლია საქმეს“? – კვლავ პასუხგაუცემელია. ამ კითხვის დასმის შემდეგ მე მქონდა არაერთი შეხვედრა პროკურატურის პირველ პირებთან და საქმის პროკურორებთან, მაგრამ მათ ვერ შეძლეს დაესახელებინათ, რა მტკიცებულება აკლიათ საქმეზე. ეჭვი მაქვს, რომ საქმეზე წვრილმან დამნაშავეებს დააპატიმრებენ და დაბალ ლობეებზე შეიწმენდენ ხელებს, ხოლო მთავარ დამნაშავეებსა და დანაშაულის ორგანიზატორებს საზღვარგარეთ თავის შეფარების საშუალებას მისცემენ, სადაც ისინი გააგრძელებენ გეი უცხოელების მომარაგებას ქართველი ბავშვებით, დოკუმენტების გაყალბების კრიმინალური სქემით.

**თამარ ხაჭაპურიძესთან საუბრის შემდეგ, „ალია“ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელს, ვახტანგ ხმალაძეს დაუკავშირდა. გვაინტერესებდა, რას მოიმოქმედებდა კომიტეტი იმ შემთხვევაში თუკი მთავარი პროკურატურა პარლამენტის დავალებას არ შეასრულებდა.**

„კომიტეტს აქვს შესაძლებლობა, თუ რაიმე სახის განცხადებაა, გადაუგზავნოს პროკურატურას, მერე უკვე პროკურატურის საქმეა. ჩვენს კომიტეტს არ აქვს ბერკეტი, რომ ვინემს უბრძანოს, რაიმე შეასრულოს“, – განაცხადა ხმალაძემ.

**„ალია“ მთავარ პროკურატურასაც დაუკავშირდა. გვაინტერესებდა, რა ეტაპზეა აღნიშნული საქმე? პასუხი წერილობით გამოგვიგზავნეს:**

„საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მიმდინარეობს გამოძიება, რომლის დაწყების საფუძველიც თავის დროზე გახდა ასოციაცია „მომავლის იმედის“ თავმჯდომარე, თამარ ხაჭაპურიძის განცხადებები. ამჟამად საქმეზე ტარდება ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები, რომლის ფარგლებშიც პროკურატურა მუშაობს დანაშაულის რამდენიმე ფაქტზე, მათ შორის სუროგატული მეთოდის გზით საქართველოში დაბადებული ბავშვების საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე უკანონოდ გაყვანის ფაქტებზეც. გამოძიება შესულია დასკვნით ფაზაში. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე სხვა დეტალების გასაჯაროება ამ ეტაპზე არ არის მიზანშეწონილი. საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, საზოგადოება დეტალურად იქნება ინფორმირებული შედეგების შესახებ“.

## საქართველო-რუსეთის ურთიერთობა გაყინვის სტადიიდან გამოდის — სერგეი ლავროვი



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის განცხადებით, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა ღრმა გაყინული სტადიიდან გამოდის.

ამის შესახებ ლავროვმა ყოველწლიურ შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

– ჩვენ გვინდა საქართველოსთან ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობა. ვფიქრობთ, რომ ქართველი ხალხი საფასურს რუს მეზობლებთან ურთიერთობის გაწყვეტით არ უნდა იხდიდეს. სააკაშვილის დანაშაულებრივი შეცდომებისთვის მათი პასუხისგება, ვფიქრობ, უსამართლოა. საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობა ჩვენ არ გაგვიწყვეტია, – განაცხადა ლავროვმა. (ნიუპოსტი)

## პუტინმა ჩრდილოეთ კავკასიის ოკუპირებულ აფხაზეთთან დამაკავშირებელი მაგისტრალის მშენებლობას მხარი დაუჭირა



რუსეთის პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა მაგისტრალის მშენებლობას, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიას ოკუპირებულ აფხაზეთთან დააკავშირებს. რუსული მედიის ინფორმაციით, აღნიშნულთან დაკავშირებით პუტინმა განცხადება სტავროპოლში გამართულ რეგიონულ ფორუმზე გააკეთა.

პუტინის თქმით, ეს არის მნიშვნელოვანი პროექტი, ამიტომ ფედერალური ხელისუფლება მის მხარდასაჭერად მზად არის.

პუტინს პროექტის დეტალები რუსეთში მოქმედი საზოგადოებრივი მოძრაობა „კავკასიის ერთა რუსული კონგრესის“ თავმჯდომარე სულთან ტოგონიძემ გააცნო.

რუსული მედიის ინფორმაციით, დაგეგმილია ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რომელიც სტავროპოლის ოლქს, ყარაჩაი-ჩერქეზეთსა და ოკუპირებულ აფხაზეთს ერთმანეთთან დააკავშირებს.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია აეროპორტის მშენებლობაც, ხოლო ოკუპირებულ აფხაზეთთან დამაკავშირებელ გზას სოხუმამდე გაიყვანენ. (პირველი რადიო)

## საპრეზიდენტო ლოჟა პრეზიდენტის გარეშე — ივანიშვილისა და კვირიკაშვილის გვერდით მარგველაშვილის ადგილი ვერ მოიძებნა?



განახლებული ოპერის გახსნის მოსაწვევების სკანდალს კიდევ ერთი სკანდალი ემატება – საზეიმო საღამოზე თეატრის მთავარ ლოჟას ბიძინა ივანიშვილი, ქვეყნის მოქმედი პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დაიკავებენ.

რაც შეეხება პრეზიდენტს, მას კულტურის სამინიტრომ ბენუარის ლოჟა შესთავაზა.

მიიღებს თუ არა პრეზიდენტი კულტურის მინისტრის შეთავაზებას და დაიკავებს თუ არა ადგილს საპრეზიდენტო ლოჟის ქვეშ, უცნობია. (პირველი რადიო)

## დავეხმაროთ 23 წლის კოტე ზარნაძეს



სოციალური ქსელში საზოგადოებისადმი მიმართვა ვრცელდება:

„კოტე ზარნაძე 23 წლის არის. დაავადებულია მწვავე მიელოიდური ლეიკოზით. ჰყავს მეუღლე და 8 თვის გოგონა. მას გადაუდებელი ოპერაცია სჭირდება, რომელიც თურქეთში კეთდება და 40 000 აშშ დოლარი ღირს.

კოტე ზარნაძე ქავთარაძის ქუჩაზე ჰემატოლოგიის ცენტრში იმყოფება. ვისაც დახმარება შეგიძლიათ, მიბრძანდით კლინიკაში ან დაგვიკავშირდით! მოგვწერეთ ან დაგვირეკეთ 593 622 669 – თათა, 591412955 ან 599307989 ნინო. (news.ge)

## თამაზ გოგია: „მე მკვლელი არ ვარ!“

ამ რამდენიმე დღის წინ შს მინისტრის მოადგილემ არჩილ თალაკვაძემ განაცხადა, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორის ვახტანგ ქირიას მკვლელობის გამოძიებამ კითხვები კიდევ ოთხ საქმესთან დაკავშირებით გააცოცხლა.

– ეს არის ბიძინა კუჭავას დის გაუჩინარება – ეს საქმე დღემდე გაუხსნელია; კუჭავას გერის მკვლელობა; ცოლ-ქმარ ნინუების მკვლელობა, რომელზეც მართალია, ერთი ადამიანი მიეცა პასუხისგებაში, მაგრამ გამოძიება დამატებით მუშაობს; ასევე, ეს არის მაღალდაძის მკვლელობა, – განაცხადა თალაკვაძემ.

გარდა ამისა, ე.წ. კორტების საქმეზე გასამართლებული კრიმინალური პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილის ირაკლი ფირცხალავას მტკიცებით, როგორც მაღლადაძე, ასევე, ნინუები სწორედ ბიძინა კუჭავამ დახოცა.

...

2009 წლის 13 ნოემბერს თბილისში მკვლელობა მოხდა – 67 წლის თამაზ ნინუა თავისივე ბინაში, მეუღლესთან, 64 წლის ეთერ ნინუასთან ერთად, მოკლული იპოვეს. ცოლ-ქმარს ჭრილობები თავის არეში ცეცხლსასროლი იარაღით ჰქონდა მიყენებული. ეთერ ნინუა საძინებელში იპოვეს, ხოლო თამაზ ნინუა სავარძელში იყო ჩაცხრილული.

თამაზ ნინუა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში უშიშროების მინისტრად მუშაობდა. თუმცა სკანდალებსა და შავბნელ საქმეებში არასოდეს ყოფილა გახვეული. გამოძიების დაწყებიდან ცხადი იყო ერთი რამ, მკვლელს ნინუები იცნობდნენ, საკუთარი ხელით გაუღეს კარი და სახლშიც შეიყვანეს.

როგორც ჩანს, მკვლელმა მტკიცებულების მოსპობაზეც იფიქრა. როგორც წესი, დანაშაულის გასახსნელად ყველაზე ეფექტიანი გზა, ცხელ კვალზე მაძებარი ძაღლის მეშვეობით გასვლაა. ამ შემთხვევაში ძაღლის გამოყენება ძალოვნებმა



გენერალი თამაზ ნინუა

ვეღარ შეძლეს, რადგან ცხედრების ირგვლივ, სავარძლებზე, კომპიუტერთან, ერთი სიტყვით, ყველგან, სადაც შეიძლებოდა დამნაშავეს შეხება ჰქონოდა, დაფქული წიწაკა იყო მოყრილი, ამ გზით კი კვალი გაქრა... გამოძიებამ მკვლელობის იარაღს ვერ მიაგნო, თუმცა საქმეში დევს ორი მასრა, რომლებზეც ბალისტიკური ექსპერტიზა ჩატარდა. ამოღებული მასრები უიშვიათესი მოდელის უხმო რევოლვერს ეკუთვნოდა, რომელიც ასევე გამოყენებული იყო 2007 წელს მაღლადაძის მკვლელობისას.

მკვლელობიდან რამდენიმე დღეში, კერძოდ, 27 ნოემბერს, ძალოვნებმა განაცხადეს, რომ ყოფილი ფეხბურთელი, 60 წლის თამაზ გოგია ცოლ-ქმრის მკვლელობაში იყო მხილებული. გოგიას მეგობრისა და მისი მეუღლის მკვლელობა დღემდე არ უღიარებია, თუმცა ის დღემდე იხდის სასჯელს.

თამაზ გოგიას შაქრიანი დიაბეტი და თირკმლის უკმარისობა აქვს. ის ციხიდან დაგვიკავშირდა:

– მე მკვლელი არ ვარ. არ მინდა ამ სახელით ვიარო. კუჭავას პირადად არ ვიცნობდი. (ambebi.ge)

## „სანამ დარღვეულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა შეუძლებელია“



რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერის სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძის განცხადებით, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა დღის წესრიგში არ დგას. მისი თქმით, სანამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია, დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა შეუძლებელია.

– სანამ დარღვეულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა შეუძლებელია. მაგრამ, თუკი მოხდება ძალიან სერიოზული წინსვლა ამ მიმართულებით და ჩვენ დავინახავთ, რომ არის ძალიან მნიშვნელოვანი პროგრესი, ალბათ, ეს საკითხი დღის წესრიგში დადგება. ჩვენ ძალიან სერიოზული პროგრესი უნდა დავინახოთ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესში. ჩვენი ამოცანაა, სწორედ ამ მიმართულებით დავინახოთ სერიოზული წინსვლა, – განაცხადა აბაშიძემ. რაც შეეხება სავიზო რეჟიმის გამარტივებას ან გაუქმებას, აბაშიძის თქმით, დიპლომატიური ურთიერთობა არანაირი ხელისშემშლელი ფაქტორი არ არის. (პირველი რადიო)

## ბალაგანი გვაქვს და შეიძლება გაცილებით რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდეთ — ჯაფარიძე



– ჩვენ გვაქვს ეკონომიკური ქაოსი და შეიძლება გაცილებით რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდეთ, – ეს განცხადება ახალი პოლიტიკური ცენტრ „გირჩის“ ლიდერმა ზურა ჯაფარიძემ გააკეთა.

ეროვნული ვალუტის გაუფასურების პროცესსა და ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ ვითარებაზე ჯაფარიძემ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში ისაუბრა. გადაცემა „არჩევანში“ ჯაფარიძემ ხელისუფლების მუშაობა კიდევ ერთხელ შეაფასა და განაცხადა, რომ პრობლემები ეკონომიკური პოლიტიკის არარსებობის ბრალია.

– ჩვენი მთავარი პრობლემა არის არა ის, რაც რეგიონში ხდება, არამედ მთავარია, ჩვენ რას ვაკეთებთ შიგნით და როგორ მოვედით აქამდე. მე რასაც ვუყურებ, არ გვაქვს ჩამოყალიბებული ეკონომიკური პოლიტიკური ხედვა და საერთოდ მსგავსი არაფერი. გვაქვს სრული ქაოსი. თვეების განმავლობაში გვესმის ერთი და იგივე, გვაქვს ეკონომიკური ქაოსი და შეიძლება გაცილებით რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდეთ, – აღნიშნა ზურაბ ჯაფარიძემ. (პირველი რადიო)

## მაიკლ სესაირი — ბალტიისპირეთის გარეთ საქართველო პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ყველაზე დემოკრატიული ქვეყანა და ბოლო იმედია რეგიონში



გავლენიანი ამერიკული გამოცემა „ვაშინგტონ პოსტი“ საქართველოს შესახებ ვრცელ სტატიას აქვეყნებს. მასალის ავტორი ცნობილი ანალიტიკოსი მაიკლ სესაირია.

– შეიძლება ითქვას, რომ ბალტიისპირეთის გარეთ საქართველო პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ყველაზე სტაბილური და დემოკრატიული ქვეყანაა და ნამდვილად, ბოლო იმედია რეგიონში, სადაც წლების განმავლობაში პოლიტიკური სტაგნაცია და რეგრესი იყო, – წერს სტატიის ავტორი.

მისი მოსაზრებით, საქართველოს მთავრობა „თითქმის ყველაფერს სწორად აკეთებს“, მაგრამ „დაღლა გაფართოებისგან“ აშშ-ში და განსაკუთრებით ევროპაში იწვევს ფავთქვათ, ბოლო წლების განმავლობაში პრორუსულ პარტიებს მუდმივად სულ უფრო მეტი ქართველი ამომრჩეველი აძლევს ხმას, – წერს სესაირი.

– მაგრამ თითქოს სულ უფრო ნათელი ხდება, რომ საქართველო უახლოეს პერიოდში ევროკავშირში ან ნატოში არ შევა, მაღალი საზოგადოებრივი მხარდაჭერის მიუხედავად. ამ იმედის მიმართ საზოგადოების ფატალიზმის ზრდა უკავშირდება მზარდ მხარდაჭერას ევრაზიული კავშირის ალტერნატივისადმი, – წერს მაიკლ სესაირი და იქვე დასძენს:

– საქართველოს ამჟამინდელი მთავრობა პროდასავლურია და ამ მიმართულებით გააფართოვა კავშირები ეკონომიკური, დიპლომატიური და უსაფრთხოების კუთხით. ესენია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების

ტალიზმის შეგრძნებას საქართველოში და აძლიერებს ანტირუსულ განწყობებს.

– საქართველომ დასავლეთს ზურგი რომ აქციოს, ეს იქნება დარტყმა არა მხოლოდ ქვეყნის ახლადდაბადებულ დემოკრატიაზე, არამედ მისცემს რუსეთს პირდაპირ დერეფანს ახლო აღმოსავლეთზე, გადაჭრის დასავლეთის წვდომას ევრაზიის ენერგეტიკულ წყაროებთან და მოკლავს რეგიონული დემოკრატიზაციის ყველანაირ იმედს თვალმისაწვდომ მომავალში, – წერს სტატიის ავტორი.

მაიკლ სესაირი მიიჩნევს, რომ რუსეთის ბატონობის ქვეშ საქართველო შესაძლოა, გასული საუკუნის 90-იან წლებს დაუბრუნდეს და რადიკალიზაციისთვის ნაყოფიერი ნიადაგი გახდეს.

მისი მოსაზრებით, რუსეთის მცოცავი გავლენის კიდევ ერთი დასტურია, რომ საქართველოში გაიზარდა პრორუსული პარტიებისადმი მხარდაჭერა. სტატიის ავტორს მაგალითად მოჰყავს ბოლო წლებში ჩატარებული არჩევნები.

– 2014 წელს, რამდენიმე პარტიამ, რომელიც შეიძლება აღვწეროთ როგორც პრორუსული, საყოველთაო პროპორციული ხმის მიცემის შედეგად დაახლოებით 20 პროცენტი მიიღო. ექსსპიკერ ნინო ბურჯანაძის „გაერთიანებულმა ოპოზიციამ“ და პოპულისტურმა „პატრიოტთა ალიანსმა“ მოიპოვეს დაახლოებით 15 პროცენტი, დანარჩენი 5 პროცენტი ანტიდასავლური ტენდენციების მქონე სხვა მცირე პარტიებმა დააგროვეს. ეს მონაცემები არ შეიცავს სხვა ამომრჩევლებს, რომლებმაც ხმა მისცეს „ნაციონალური მოძრაობის“ ოპოზიციას, ხელისუფლებაში მყოფ „ქართული ოცნების“ კოალიციას, რომელსაც აქვს თავისი ანტიდასავლური ფრაქციები.

ეს იყო საგრძნობი დარტყმა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, როცა ანტიდასავლურმა პარტიებმა მხოლოდ 13 პროცენტი მოიპოვეს. სხვა სიტყვებით რომ

დადება 2014 წლის ივნისში, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონა, ნატოსთან სწრაფად მზარდი კავშირები და ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის მოსალოდნელი პერსპექტივა 2016-ში. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ „ქართული ოცნების“ ადმინისტრაციამ ეს მიღწევები ქართველებს არაეფექტურად მიაწოდა და ვერ შეძლო ბოლო წლების ეკონომიკური შოკების შემსუბუქება სამუშაო ადგილებს მონატრებულ ქვეყანაში.

ალბათ, ბევრი ქართველისთვის ევრაზიულ კავშირში გაწევრიანება უფრო ნაკლებად სასურველია, ვიდრე ევროპის წევრობა, მაგრამ ევრაზიულ კავშირს ნამდვილად შეუძლია, მოკლევადიან პერსპექტივაში მეტი გააკეთოს სამუშაო ადგილების შესაქმნელად და რიგითი ადამიანების ჯიბის შესავსებად, – წერს ავტორი.

„ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ნათქვამია, რომ საქართველოში ბევრი ადამიანისთვის ევროპაში შესვლა შორეულ ოცნებად იქცა.

როგორც მაიკლ სესაირი აღნიშნავს, მიჰყვება თუ არა საქართველო დინებას რუსეთისკენ, ეს, სავარაუდოდ, ოქტომბრის არჩევნების დროს გახდება ცნობილი. ანალიტიკოსი არ გამორიცხავს, რომ პრორუსული პარტიები საკმარის ძალას მოიპოვებენ საქართველოს ამჟამინდელი, პროდასავლური პოლიტიკური კონსენსუსის დასაშლელად.

სტატიის ავტორის მოსაზრებით, იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის სამხედრო ძალები საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დგანან, თბილისის მხრიდან გარკვეულ პრაგრატიზმს დიდი მნიშვნელობა აქვს სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

– დასავლეთისთვის, საქართველოს დაკარგვა არა მხოლოდ რუსეთს გააძლიერებს, არამედ რუსეთი მიიღებს სტრატეგიულ დამაკავშირებელ რგოლს ევროპასა და ევრაზიას შორის, ასევე ძლიერი რეგიონული სახელმწიფოების – რუსეთის, თურქეთის, ირანისა და ევროპის გასაყარს, – წერს მაიკლ სესაირი. (ინტერპრესნიუსი)

## ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ლარის კურსის დასტაბილურებას უახლოეს მომავალში ვარაუდობს




საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე უახლოეს მომავალში ლარის კურსის დასტაბილურებას ვარაუდობს. შესაბამისი განცხადება გიორგი ქადაგიძემ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

– ლარის გაუფასურება დიდწილად დაკავშირებულია იმ უარყოფით მოლოდინებთან, რომელიც ბაზრის მონაწილეებს გაუჩნდათ მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე. 2015 წლისგან განსხვავებით, დღეს ლარის გაუფასურებაზე არ ახდენს გავლენას საგადამხდელო ბალანსი. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, კურსის 2.4 კორიდორში იმპორტი იმ რაოდენობით არის შემცირებული, რომ ქვეყანაში შემომავალი და გამავალი უცხოური სავალუტო ნაკადები არის დაბალანსებული. მეორე ფაქტორი არის ფულის მასა – ის მაქსიმალურად შევზღუდეთ. ფულის მასის ზრდა არის ნულთან ახლოს. შესაბამისად, არც მონეტარული აგრეგატები ლარის კურსზე გაუფასურების მიმართულებით არ ახდენს გავლენას. სწორედ ამიტომ ვახორციელებთ წერტილოვან ინტერვენციებს. სწორედ ამიტომ გვაქვს სრული საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ უახლოეს მომავალში მოხდება ლარის კურსის სტაბილიზაცია და ლარი დაუბრუნდება აღნიშნულ კორიდორს, – განაცხადა ქადაგიძემ. (bpn.ge)

## ოთხმა თვითმკვლელმა 28 ადამიანი მოკლა



კამერუნის ხელისუფლების ცნობით, სულ მცირე, 28 ადამიანი გარდაიცვალა და 65 დაიჭრა ოთხი თვითმკვლელი მოიერიშის განხორციელებული თავდასხმის შედეგად.

ტერაქტი 25 იანვარს ნიგერიის საზღვართან მდებარე კამერუნის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ ბოდოში მოხდა.

ორმა თვითმკვლელმა თავი ქალაქის ხალხმრავალ ბაზარში აიფეთქა, დანარჩენმა ორმა – ქალაქის სხვა ადგილებში.

ხელისუფლების ინფორმაციით, თავდამსხმელები კამერუნში ნიგერიიდან ჩავიდნენ და სავარაუდოდ, ექსტრემისტული ისლამური დაჯგუფება „ბოკო ჰარამის“ სახელით მოქმედებდნენ. (mediamall.ge)

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



# ყოფილი პოლიტპატიმრები ანგარიშსწორებით იმუქრებიან



## „ჩვენი ქვეყნისთვის საქმე გვიკეთებია და ვინც არ უნდა იყოს, ჩვენი ღირსების დასაცავად თავს შევაკლავთ“

რა ახალი მტკიცებულებები შევიდა პროკურატურაში პოლიტპატიმართა საქმეებში? რატომ არ შეხვდა მათ ბიძინა ივნიშვილი და როგორ აპირებენ სამართლიანობის აღდგენას?

**„ალიას“ ყოფილი პოლიტპატიმარი, საპატიო გენერალი ტრისტან წითელაშვილი ესაუბრა:**

**— „ალიასთან“ ბოლო ინტერვიუში განაცხადეთ, პროკურატურაში ვაპირებ მტკიცებულებების შეტანას, რომ უკანონო პატიმრები ვიყავით, სამართლიანობა უნდა აღდგესო. შეიტანეთ ეს დოკუმენტები და რა ეტაპზეა საქმე?**

– შევიტანეთ. მოვიპოვე ვიდეოჩანაწერები, როდესაც მოტაცებული ვიყავი და ამასთანავე, სხვა მასალებიც მოვიპოვე. პროკურატურაში სადღაც ორი კვირის წინ შევიტანე სწორედ ეს დამატებითი მტკიცებულებები, რომელიც დააწერეს იმ დეპარტამენტს, სააკაშვილის რეჟიმის დროს ჩადენილი დანაშაულების საქმეებს რომ იძიებს. პროკურატურა დაკითხავს იმ ჯგუფის ხელმძღვანელებს და იმ პირებს, რომლებიც მასალებში ფიგურირებენ და დღეს შს სამინისტროში, თავდაცვის სამინისტროში, კონტრდაზვერვაში ისევ მაღალ თანამდებობაზე არიან. მთლიანობაში დაიდება სურათი.

**— თქვენ ამბობთ, რომ გამოძიება დაიწყო, თუმცა თავადვე ამბობთ, საგამოძიებო ორგანოებში „ნაცმოძრაობისდროინდელი“ კადრები ისევ არიანო. გაქვთ იმედი, რომ გამოძიება ჭეშმარიტებას დაადგენს?**

– სამწუხაროდ, ასეა... ჩემი პროკურორი, მილენა მიქიაშვილი, რომელიც პროკურატურაში საკმაოდ სერიოზულ თანამდებობაზეა, უშუალოდ მიიღო მონაწილეობა ჩემი საქმის შეთითხვნაში. მიუხედავად ამისა ჩვენ არ ვჩერდებით, თქვენი, პრესის დახმარებით, სისტემატურად ვაკეთებთ განცხადებებს და მოვუწოდებთ პროკურატურას, გადახედონ ჩვენ საქმეებს და ბოლოს და ბოლოს, სამართლიანობა აღდგეს. იმის შესაბამისად, რა დასკვნებს დადებს პროკურატურა, გავაქტიურდებით და სასამართლოში გადავიტანთ პროცესებს. მართალია, სასამართლოზე მარწუხები გარკვეული დოზით ისევ არ არის მოხსნილი, მაგრამ რაღაც ძვრები მაინც არის.

**— სასამართლოს იმედიც გაქვთ? იქ არიან ისევ ის მოსამართლეები, რომლებიც უსამართლობაზე აწერდნენ ხელს „ნაცმოძრაობის“ პერიოდში, მათ შორის, ალბათ, თქვენი საქმის მოსამართლეცაა...**

– მართალი ხართ, ჩემი საქმის მოსამართლე დღესაც მოქმედი მოსამართლეა, მაგრამ ვიმეორებ, ამ ყველაფრის მიუხედავად, ბოლომდე ვიბრძოლებთ. ჩვენი ინტერესი მარტო ის კი არ არის, რომ მარტო გამამართლებელი განაჩენი მივიღოთ. უამრავი წინააღმდეგობა გვხვდება ამ გზაზე, უამრავი მუქარის ზარი შემოგვდის. ერთი კვირის წინ დამირეკეს ტელეფონზე, – თუ არ გაჩერდები, ასე გიზამთ, ისე გიზამთ... და როდესაც ამაზე დავწერე განცხადება და მივმართე შესაბამის სამსახურებს, ოთხი დღის წინ მომივიდა პასუხი: თქვენი განცხადება დაეწერა ისანი-სამგორის რაიონის მეორე განყოფილების უფროსს რუსლან იოსელიანს. იცით, ვინ არის ეს იოსელიანი? ეს არის პიროვნება, რომელიც ჩემს სასამართლო პროცესზე ცრუ მოწმედ გამოიყვანეს. თქვენ როგორ ფიქრობთ ახლა, რუსლან იოსელიანი ჩემს განცხადებას შესაბამის მიმართულებას მისცემს და სიმართლეს დაადგენს?!. ამიტომ, ისევ განცხადებით მივმართე ამ ორგანოს და მოვითხოვე, ეს პიროვნება ჩამოეცილებინათ ჩემს საქმეს. კი ბატონო, არიან თანამშრომლები, რომლებიც მართლაც პატიოსნად მუშაობენ და სწორედ ასეთ ხალხს უნდა დაეწეროს საქმეები, რომ მათი დავალება პატიოსნად შეასრულონ.

**— პოლიტპატიმრები ნასამართლობის მოხსნაზე საუბრობდით, ამ კუთხით რა ხდება? და კიდევ, ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში სწორედ სამართლიანობის აღდგენის დაპირებით მოვიდა. პოლიტპატიმრებიდან რომელიმეს თუ გქონდათ მასთან კონტაქტი ან შეხვედრა ამ თემის ირგვლივ?**

– ნასამართლობა მოგვეხსნა, მაგრამ ნასამართლობის მოხსნა არაფერს ნიშნავს. ჩვენ საუბარი გვაქვს გამამართლებელ განაჩენებზე. რაც შეეხება იმას, სამართლიანობა აღდგა თუ არა... – არა! არ იყო ეს პრობლემა, თითოეულ საქმეში თითო ფურცელია, მეტი კი არა. ორისამი პროკურორი ამ საქმეებს სამ თვეში დაამთავრებდა. პირდაპირ ვამბობ, დღეს ქვეყანაში ადამიანი ისევ იმ მდგომარეობაშია, რა მდგომარეობაშიც ვიმყოფებოდით სააკაშვილის რეჟიმის დროს, ადამიანი დღესაც იჩაგრება და სამართლიანობა არ არსებობს. ჩვენ გვქონდა მცდელობა, რომ ბიძინა ივანიშვილს შევხვედროდით, მაგრამ ვერ მოხერხდა, რადგან მეორე მხრიდან არ იყო ამის კეთილი ნება. როგორც ჩანს, მათ ჩათვალეს, რადგან ციხეებიდან გამოგვიშვეს, ამით თავიანთი ვალი მოიხადეს. რეალურად ციხეებიდან გამოშვება არაფერს ნიშნავს, რადგან ჩვენ ვიმყოფებით ისევ იმ მდგომარეობაში, როგორშიც პატიმრობის დროს ვიყავით. არ გვაქვს სამსახურები, რაც ჩამოგვართვეს, არაფერი ჩვენთვის არ დაუბრუნებიათ და მთლიანობაში ვართ ღირსებაშელახული ადამიანები, მოკლედ, ჩვენ გვაქვს ისევ ის იარლიყები, რაც „ნაცმოძრაობამ“ მოგვაკრა. ჩვენ ჩვენი ქვეყნისთვის საქმე გვიკეთებია და ვინც არ უნდა იყოს, ჩვენი ღირსების დასაცავად თავს შევაკლავთ. ბოლოს და ბოლოს, თუ ხელისუფლება და კანონი არ დაიწყებს ჩვენ მიმართ სამართლიანობის აღდგენის პროცესს, ამას დავიწყებთ ჩვენ. დავიწყებთ იმ პირების მიმართ, ვინც ჩვენ წინააღმდეგ ბინძური დანაშაულები ჩაიდინეს.

> **„გვქონდა მცდელობა, რომ ბიძინა ივანიშვილს შევხვედროდით, მაგრამ ვერ მოხერხდა, რადგან მეორე მხრიდან არ იყო ამის კეთილი ნება. როგორც ჩანს, მათ ჩათვალეს, რადგან ციხეებიდან გამოგვიშვეს, ამით თავიანთი ვალი მოიხადეს. რეალურად ციხეებიდან გამოშვება არაფერს ნიშნავს, რადგან ჩვენ ვიმყოფებით ისევ იმ მდგომარეობაში, როგორშიც პატიმრობის დროს ვიყავით. არ გვაქვს სამსახურები, რაც ჩამოგვართვეს, არაფერი ჩვენთვის არ დაუბრუნებიათ და მთლიანობაში ვართ ღირსებაშელახული ადამიანები“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნანა დევდარიანი: „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მეგობრებს ჩააწოდა ინფორმაცია, რომ მათი ნებისმიერი წევრი პოლიტპატიმარია!



„გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი ნანა დევდარიანი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტ პედრო აგრამუნტის გიგი უგულავას პოლიტპატიმრად მოხსენიებას ეხმაურება.

ნანა დევდარიანის თქმით, პედრო აგრამუნტის ამ განცხადებაზე სრულიად ადეკვატური პასუხი ჰქონდა თედო ჯაფარიძეს. მიუხედავად ამისა, მაინც დღის წესრიგში დგას საკითხი, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დასავლეთის ქვეყნებში, სადაც „ნაციონალებს“ ინფორმაცია გააქვთ, ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდანაც ადეკვატური ინფორმაცია უნდა წავიდეს.

– პედრო აგრამუნტი „ევროპის სახალხო პარტიის“ თავმჯდომარე იყო, ამდენად, მის განცხადებაში გასაკვირი არაფერია. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავის მეგობრებსა და პარტნიორებს, ასე ვთქვათ, ჩააწოდა ინფორმაცია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ნებისმიერი წევრი პოლიტპატიმარია. უგულავას სრულიად კონკრეტული ბრალი აქვს წაყენებული და აქ უკმაყოფილება ძირითადად ის არის, რომ რამდენიმე კაცით არ შემოიფარგლებოდა ის დანაშაულებრივი სისტემა, რომელიც სააკაშვილმა დაამკვიდრა, – აცხადებს ნანა დევდარიანი. (რეპორტიორი)

## „შემიძლია მეხუთე ავენიუზე დავდგე, ვინმეს ვესროლო და მაინც არ დავკარგო ხმები, გასაგებია?“



აშშ-ის პრეზიდენტობის ერთ-ერთი რესპუბლიკელი კანდიდატი დონალდ ტრამპი, რომელიც ისედაც ცნობილია სკანდალური განცხადებებით, კიდევ ერთ სკანდალურ განცხადებას აკეთებს. ტრამპის თქმით, მას სხვა რესპუბლიკელი კანდიდატებისგან განსხვავებით, ერთგული მხარდამჭერები ჰყავს.

– შემიძლია, მეხუთე ავენიუზე დავდგე, ვინმეს ვესროლო და მაინც არ დავკარგო ხმები, გასაგებია? – განაცხადა მან აიოვას შტატში ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს. (news.ge)

## გია ვოლსკი — პანკისის ხეობასთან დაკავშირებით სერგეი ლავროვის განცხადებას შანტაჟის ფორმა აქვს




– რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის განცხადებას პანკისის ხეობასთან დაკავშირებით შანტაჟის ფორმა აქვს, რომ შეხვედრაა საჭირო რაღაც საკითხების მოსაგვარებლად, – ამ კონტექსტში აფასებს საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი, გია ვოლსკი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის მზაობას, შეხვდეს თავის ქართველ კოლეგას.

– მისი განცხადება პანკისის ხეობის თაობაზე ხომ არ არის წინაპირობა იმისა, რომ შეხვედრის აუცილებლობა დაასაბუთოს და ამისკენ ხომ არ მიანიშნებს?! შეხვედრა შეხვედრისთვის არ უნდა ჩატარდეს. თუ რაიმე საფუძველი და წინაპირობა ექნება პოზიტიურ განვითარებას, რასაკვირველია, იმ წითელი ხაზების დაცვით, რომელიც ჩვენ რუსეთთან ურთიერთობებში გაგვაჩნია, ეს სხვა თემაა. ამის რეალური წინაპირობები ჯერ-ჯერობით არ არსებობს. ასე რომ შეხვედრის თემის წამოწევა შანტაჟის ენით, მე ვფიქრობ, ჩრდილს აყენებს იმ პოზიტივს, რაზედაც თავად ლავროვიც საუბრობს, – ამბობს გია ვოლსკი. (ინტერპრესნიუსი)

## ჩინეთის საფონდო ინდექსები 13-თვიან მინიმუმს გაუტოლდა



მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის შემცირების ფონზე, ჩინეთის საფონდო ბირჟები დაეცა. ჩინეთის საფონდო ინდექსი CSI300, რომელიც ჩინეთის 300 წამყვანი კომპანიის აქციების მაჩვენებლებს ასახავს, 6 საპროცენტო პუნქტით შემცირდა.

ჩინეთის საკვანძო ინდექსი Shanghai Composite კი სავაჭრო სესიის ბოლოს 6,4 პროცენტით გაუფასურდა.

როგორც „ბლუმბერგი“ აღნიშნავს, ჩინეთის მთავარი ინდექსები 13-თვიან მინიმუმს გაუთანაბრდა.

ჩინურ ბირჟაზე არსებული მდგომარეობა უარყოფითად აისახა ტოკიოს ბირჟაზე, სადაც Nikkei-ს ინდექსი 2,4 პროცენტით, ჰონკონგის Hang Seng-ის ინდექსი კი 2,5 პროცენტით შემცირდა.

ექსპერტები აქციების დაცემას არა მხოლოდ ნავთობის დაბალ ფასს, არამედ ჩინეთის ინდუსტრიული მაჩვენებლების არასაკმარის ზრდას უკავშირებენ. გასულ თვეს რამდენიმე დამოუკიდებელმა კომპანიამ კვლევა გამოაქვეყნა, რომლის თანახმად ჩინეთში წარმოების ზრდის შემდგომი შემცირებაა მოსალოდნელი. (bpn.ge)

## ლავროვი, ალბათ, 2 კონა მწვანილის გატანას გულისხმობს? ყინულის დაძვრა დეოკუპაციაა — მაჭავარიანი



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი მიხეილ მაჭავარიანი რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის განცხადებებს ქართველი ხალხის დაცინვად აფასებს.

როგორც მაჭავარიანი აცხადებს, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა გაყინვის სტადიიდან მხოლოდ მაშინ გამოვა, როდესაც რუსეთს ქვეყნის ტერიტორიები ოკუპირებული აღარ ექნება.

– რაც შეეხება ყინულის დაძვრას, რას გულისხმობს ლავროვი, რომ ორი კონა მწვანილი გავიდა რუსეთში? ჩვენი ყინული დაიძვრება მაშინ, როდესაც რუსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით კონკრეტულ გადაწყვეტილებებს მიიღებს. ეს არის დეოკუპაცია, ეს არის ყინულის დაძვრა. 3 წლის განმავლობაში ბევრჯერ გამიგია შეხვედრების დაწყების შესახებ, მაგრამ არ მესმის, რაზე უნდა იყოს საუბარი. კარასინი-აბაშიძე ხომ საუბრობენ კიტრებზე და პომიდორზე. რამე არის სხვა თემა, გარდა საოკუპაციო თემისა?

რაც შეეხება დიპლომატიურ ურთიერთობას, საქართველოში ვერც ერთი ხელისუფლება, გარდა ოკუპანტების მარიონეტისა, ვერ დაეთანხმება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე იყოს სამი საელჩო. ეს უნიათო ხელისუფლებაც ვერ გააკეთებს ამას, რადგან ეს იქნება მიზეზი მათი ხელისუფლებიდან წასვლის, – ამბობს მაჭავარიანი.

მისი თქმით, ლავროვმა განცხადებებით ასევე დაადასტურა, რომ „გაზპრომთან“ მოლაპარაკებები მხოლოდ ეკონომიკური საკითხი არ არის.

– ეს ადასტურებს, რომ, როგორც ჩანს, აქ არ იყო მხოლოდ ეკონომიკური საკითხი. ამას ვაფრთხილებდით კალაძეს, რომელსაც, როგორც ჩანს, ისეთი დავალება აქვს ივანიშვილისგან, რომ „გაზპრომს“ სულ უნდა ელაპარაკოს. „გაზპრომს“ აქვს პოლიტიკური ფასი. როგორც ჩანს, ეს არის ის პოლიტიკური ფასი, რასაც საქართველოზე ფიქრობენ, რომ უნდა გადაიხადონ, – ამბობს მაჭავარიანი. (ნიუპოსტი)

## რას ამბობს ვიკა სანიკიძე მისი და სოფო ნიჟარაძის რომანის შესახებ ჭორზე





გავრცელდა ხმა, რომ კალათბურთელი ვიქტორ სანიკიძე და მომღერალი სოფო ნიჟარაძე ერთად არიან. მათი რომანის შესახებ ჭორები მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც სოციალურ ქსელში სოფო ნიჟარაძემ ვიკა სანიკიძის თურქულ „ოლსტარსში“ მოსახვედრად დიდი აქტიურობა დაიწყო. მან გააზიარა ის ბმული, რომლითაც სანიკიძისთვის ხმა უნდა მიგვეცა და ზაზა ფაჩულიას მსგავსად, მისი ვარსკვლავების თამაშში მოსახვედრად უნდა გვებრძოლა.

მათი „ფეისბუკ“-მეგობრობა ამ ბოლო დროს ძალიან თვალშისაცემი გახდა. როგორც ჩანს, ჭორები სწორედ ამ აქტიურობის გამო გავრცელდა.

კალათბურთელს ამბის გადასამოწმებლად დავუკავშირდით:

– ვიკა, გავიგეთ, რომ სოფო ნიჟარაძესთან გაქვს რომანი.

– ეს რაღაც ახალია. კაი ხანია, ჩემზე ჭორები აღარ გამიგია.

– ანუ სოფოსთან მეგობრობ?

– კი, ძალიან დიდი ხანია ვმეგობრობთ, წლებია....

– კარგი, მაშინ ის მაინც მითხარი, ვინმე თუ არსებობს შენს ცხოვრებაში?

– ვარ თავისუფალი და მშვენივრად ვგრძნობ თავს....

– როგორი გოგონები აკმაყოფილებენ შენს გემოვნებას?

– ცოტა მაღალი, ძალიან გამხდრები არა. იუმორის მქონე, მხიარული, კარგი ხასიათის, დანარჩენს მივხედავთ (იღიმის). ჰო და ძალიან ლამაზი. (musicbox.ge)

## „ახალ პრემიერ-მინისტრს უნდა, შექმნას შთაბეჭდილება, რომ ის უფრო კონსტრუქციულია, ვიდრე მისი წინამორბედი“



„ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატი ლევან თარხნიშვილი მიიჩნევს, რომ საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებული ცვლილების განსახორციელებლად პოლიტიკური ნება არ არსებობს და ახალი ფორმატის შექმნის პირობაც პრემიერმა კონკრეტული მიზნით დადო.

ცნობისთვის, ახალი ფორმატის შექმნის პირობა პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებს 25 იანვარს გამართულ შეხვედრაზე მისცა.

ოპოზიციური ძალა მაჟორიტარული სისტემის გაუქმებასა და სამხარეო პროპორციული სისტემის ამოქმედებას 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მოითხოვს.

– როგორც ჩანს, ეს პოლიტიკური ნება არ არსებობს და უბრალოდ, ახალ პრემიერ-მინისტრს უნდა, შექმნას შთაბეჭდილება, რომ ის უფრო კონსტრუქციულია, ვიდრე მისი წინამორბედი, – განაცხადა თარხნიშვილმა. (news.ge)

## მოსკოვში ცნობილ ჟურნალისტს ლარისა კაფტანს სცემეს



მოსკოვში ცნობილ ჟურნალისტს ლარისა კაფტანს სცემეს, რომელიც მძიმე მდგომარეობაში საავადმყოფოში იმყოფება.

რუსული მედია სამართალდამცავ ორგანოებში სანდო წყაროებზე დაყრდნობით წერს, რომ ჟურნალისტი მოსკოვში, საკუთარ ბინაში სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებებით აღმოაჩინეს.

ბინის კარი დაკეტილი იყო, ამიტომ სამართალდამცავებმა ის შეამტვრიეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ ჟურნალისტი დამოუკიდებლად სახლიდან ვერ გამოვიდოდა, რადგანაც გასაღები დაკარგული აღმოჩნდა.

ამ დროისთვის ის რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული. კაფტანის ნათესავის განცხადებით, „კომსომოლსკაია პრავდასა“ და „როსიისკაია გაზეტას“ ყოფილი კორესპონდენტი საავადმყოფოში მრავლობითი დაჟეჟილობითა და თავის ტრავმით გადაიყვანეს. (news.ge)

## გიორგი კეკელიძე: სავალუტო ჯიხურებს რომ ჩავუვლი, უკვე ისე ვუყურებ აბრებს, როგორც რომ სკოლაში კლასელის ბაბუის გასვენებაში...



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გიორგი კეკელიძე სოციალურ ქსელში ლარის კურსის ვარდნასთან დაკავშირებით სტატუსს აქვეყნებს:

– კვლავაც და კვლავაც ლარის კურსზე: სავალუტო ჯიხურებს რომ ჩავუვლი, უკვე ისე ვუყურებ აბრებს, როგორც რომ სკოლაში კლასელის ბაბუის გასვენებაში ბაბუამისს ვაკვირდებოდით წრის შემოვლისას – ნახევარი მზერით – შიშის და ინტერესის ნაზავით – თან გინდა თვალი აარიდო და ვერ გამოდის... (news.ge)

## სავალუტო ჯიხურებში დოლარის შეძენა 2.53-2.54 ლარის ფარგლებშია შესაძლებელი

სავალუტო ჯიხურებში დოლარის შეძენა 2.53-2.54 ლარის ფარგლებშია შესაძლებელი. რაც შეეხება გასაყიდ ფასს, ვალუტის გადამცვლელი ჯიხურები დოლარს 2.48-2.50 ლარის ფარგლებში იბარებენ. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში ისევ გაუფასურდა. ერთი ამერიკული დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.4923 ლარი გახდა. 22 იანვარს საქართველოში დოლართან მიმართებაში ლარის გაუფასურების ისტორიული მაქსიმუმი დაფიქსირდა. 17 წლის წინათ, 1999 წლის 23 თებერვალს 1 აშშ დოლარის ფასმა მაქსიმალურ ნიშნულს – 2.45 ლარს მიაღწია, თუმცა ეს კურსი ორ დღეში 2.39-მდე ჩამოვიდა, 27 თებერვალს – 2.35-მდე, ხოლო წლის ბოლოს 1.93-ზე დასტაბილურდა. მას შემდეგ, აქამდე ლარის კურსს გაუფასურების ასეთ მაჩვენებლამდე არ მიუღწევია. (bpn.ge)

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის განცხადებას, რომლის მიხედვითაც „ისლამური სახელმწიფო“ წვრთნებს პანკისის ხეობაში ატარებს და საკუთარი რეზერვების შესავსებად იყენებს ხათუნა ლაგაზიძე აფასებს.

ექსპერტი მიიჩნევს, რომ რუსეთი ამ განცხადებით საქართველოსთვის პრობლემების შექმნის საბაბს ეძებს.

სიაში არ მომხდარიყო „ისლამური სახელმწიფოს“ გაფართოება. ასე რომ სხვისკენ ხელის გაშვერას, ურჩევნია, ჩრდილო კავკასიაში საკუთარი ბანაკები დათვალოს. ის, რომ რუსეთი ამ განცხადებას გააკეთებდა, სავარაუდო იყო, რადგან ეს არის ყველაზე მსუყე თემა რუსეთისთვის, როცა საქმე ეხება საქართველოზე გავლენის მოპოვებას. მას სჭირდება საბაბები, რომ საქართველოს

## „სხვისკენ ხელის გაშვერას, ლავროვს ურჩევნია, ჩრდილო კავკასიაში საკუთარი ბანაკები დათვალოს“ — ლაგაზიძე



– სხვის თვალში ბეწვს ხედავს და საკუთარ თვალში დირეს ვერაო – ასეა რუსეთის საქმე. პროცენტულად თუ შევხედავთ, „ისლამურ სახელმწიფოში“ რუსეთიდან ბევრად მეტი მებრძოლი გადადის, ვიდრე საქართველოდან. „ისლამური სახელმწიფოს“ მომმარაგებელი სწორედ რუსეთია. ერთ-ერთი მიზეზი, რომ ის სირიაში შევიდა, სწორედ ის იყო, რომ ჩრდილო კავკა-

წინააღმდეგ სხვადასხვა სახის სადამსჯელო ღონისძიებები განახორციელოს, – ამბობს ლაგაზიძე.

დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენაზე ლავროვის მიერ გაკეთებულ განცხადებას რაც შეხება, ექსპერტის თქმით, საქართველოს მყარი პოზიცია აქვს, ეს საკითხი მხოლოდ მაშინ განიხილება, რაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება. (ნიუპოსტი)

## პესკოვი: ვერაფერს გეტყვით ვლადიმერ პუტინის ექსმეუღლის გათხოვების შესახებ



რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა ჟურნალისტის კითხვაზე, გათხოვდა თუ არა ვლადიმერ პუტინის ყოფილი მეუღლე, უპასუხა:

– თქვენ სწორად აღნიშნეთ, ლუდმილა ალექსანდრეს ასული ყოფილი მეუღლეა. იცით, რომ ვლადიმერ ვლადიმერის ძე და ლუდმილა ალექსანდრეს ასული განქორწინებული არიან. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, ლუდმილა ალექსანდრეს ასულის შესახებ მის პირად ცხოვრებაზე რაიმეს თქმის უფლება არ მაქვს, – განაცხადა პესკოვმა.

კითხვაზე, აპირებს თუ არა რუსეთის პრეზიდენტი დაქორწინებას, პესკოვმა განაცხადა:

– ტრადიციას არ დავარღვევ და არაფერს ვიტყვი ვლადიმერ პუტინის პირად ცხოვრებაზე. ეს ჩვენ არასოდეს გაგვიკეთებია, არ ვაკეთებთ და არც გავაკეთებთ.

ცნობისთვის ჟურნალმა „Собеседник“-მა გამოაქვეყნა ინფორმაცია პუტინის ექსმეუღლის გათხოვების შესახებ. გამოცემის თანახმად, ვლადიმერ პუტინის ექსმეუღლის რჩეული არტურ ოჩერტნი გახდა. (news.ge)

## კობიაშვილი: მივედით შეთანხმებამდე, რომ კახა ცხადაძესთან მოლაპარაკების გზით შეწყდეს ხელშეკრულება



ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ეროვნული ნაკრების მწვრთნელის კახა ცხადაძის თანამდებობიდან განთავისუფლების საკითხზე იმსჯელეს. აღმასკომმა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ლევან კობიაშვილის ინიციატივას, სრული შემადგენლობით დაუჭირა მხარი.

კობიაშვილის განცხადებით, კონტრაქტის გაწყვეტა უახლოეს დღეებში კახა ცხადაძესთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მოხდება.

– მე ჩემი პოზიცია კიდევ ერთხელ დავაფიქსირე, რომ ის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი არ არის. ბოლო გადაწყვეტილება მე მივიღე. დეტალურად კიდევ ერთხელ ვისაუბრეთ და მივედით იმ შეთანხმებაზე აღმასკომთან, რომ ბატონ კახასთან მოლაპარაკების გზით შეწყდეს ხელშეკრულება. მე პირადად მზად ვარ, რომ კიდევ ერთხელ შევხვდე მას და ვისაუბროთ, – განაცხადა კობიაშვილმა. (news.ge)

## იანვარში გრიპის შემთხვევების ზომიერი მატება ფიქსირდება



იანვრის სამი კვირის განმავლობაში საქართველოში გრიპის შემთხვევების ზომიერი მატება ფიქსირდება. ამის შესახებ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორმა, ამირან გამყრელიძემ განაცხადა.

ცენტრის ხელმძღვანელმა ქვეყანაში გრიპის ეპიდსიტუაციის მიმდინარეობის შესახებ ისაუბრა. ცენტრში აცხადებენ, რომ 2016 წლის მესამე კალენდარული კვირის მდგომარეობით, გრიპის გავრცელების ინტენსივობა საქართველოში ეპიდემიოლოგიურ ზღურბლს არ აჭარბებს.

– მეორე კვირაში 100 000 მოსახლეზე მაჩვენებელი დაახლოებით 240-დან 248-ის ფარგლებში იყო, მესამე კვირის განმავლობაში ამ მაჩვენებელმა დაახლოებით, 332-მდე მოიმატა. ასევე, მოიმატა ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელმა და ჰოსპიტალებში მიმართვიანობამ, განსაკუთრებით, ბავშვთა ასაკში, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

მისივე ინფორმაციით, ქვეყანაში დომინირებს A ტიპის H1N1 ვირუსი. დღეის მდგომარეობით, ლაბორატორიულად დადასტურებულია 115 შემთხვევა, აქედან 111 H1N1-ია, 4 – H3N2. ფიქსირდება გრიპის მიერ განპირობებული გარდაცვალების 4 შემთხვევა. აქედან 3 შემთხვევა გამოწვეული იყო H1N1-ით, 1 კი – H3N2-ით.

– საპანიკო და სააჟიოტაჟო არაფერია. იანვარია, ყოველ იანვარში და ზამთარში საქართველოში გრიპი გვაქვს, გრიპი ყოველთვის იქნება. ჩვენ ყველამ უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება მინიმალური დაზიანებით გამოვიდეთ ამ სიტუაციიდან, – ამბობს ამირან გამყრელიძე. (ინტერპრესნიუსი)

## „ნაციონალური მოძრაობა“ დიდთოვლობის თემაზე აჭარის მთავრობას აკრიტიკებს

„ნაციონალური მოძრაობა“ დიდთოვლობის თემაზე აჭარის მთავრობას აკრიტიკებს. როგორც პარტიის აჭარის ორგანიზაციის წევრმა, პეტრე ზამბახიძემ განაცხადა, მთავრობა უნიათოა და ვერ უმკლავდება დიდთოვლობით გამოწვეულ პრობლემებს.

– როცა თოვლია, ამ დროს მაქსიმალურად თავს ვიკავებთ კრიტიკისგან, თუმცა ყველა ბათუმელმა ნათლად დაინახა, რომ მთავრობა უნიათო და უსაქმურია. 3 წელია ხელისუფლებაში არიან და ტექნიკაც კი არ აქვთ შესყიდული შესაბამისი რაოდენობის. ერთი თვეც არ არის გასული მას შემდეგ, რაც დიდი თოვლი იყო ბათუმში, ამ მხრივ მობილიზების გაკეთებაც კი ვერ გააუმჯობესეს. მოსახლეობა გამოვიდა და საკუთარი ძალებით ჩამოზერტყა ხეები. მთავრობას ელემენტარული გზების გაწმენდაც კი არ შეუძლია, – ამბობს პეტრე ზამბახიძე. (ინტერპრესნიუსი)



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

# რა გააპროტესტეს არასამთავრობოებმა პრემიერთან შეხვედრისას?



26 იანვარს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა. მათი თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პრემიერმა შეხვედრის სურვილი გამოთქვა და კარგი იქნება, თუ ეს სისტემატურ ხასიათს მიიღებს. ისე, „ყველაფრისტებს“, რომლებსაც ყველგან ცხვირის ჩაყოფის სპეციალისტები არიან, მეტი რა უნდათ? როგორც „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე, ანა ნაცვლიშვილი ამბობს, ასეთი ტიპის შეხვედრები უნდა გაგრძელდეს, რათა რეკომენდაციები, მწვავე პრობლემების შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ უმაღლეს ხელისუფალს მუდმივ რეჟიმში.

რა საკითხებზე იყო კონკრეტულად საუბარი პრემიერთან და რა გააპროტესტეს არასამთავრობოებმა?

**„ალიას“ საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ქართული მისიის“ ლიდერი, გია კორკოტაშვილი ესაუბრება:**

**— გია, რა ხდებოდა, რაზე მოილაპარაკეთ პრემიერთან?**

– მე პირველად ვიყავი ასეთ შეხვედრაზე, იქ გამოცდილი არასამთავრობოები ფიგურირებდნენ. მე მივმართე გიორგი კვირიკაშვილს, რომ ყურადღება მიაქციოს იპოთეკარების თემას. დღეს ეს საკითხი ასი ათასობით ოჯახის თავის ტკივილია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 2012 წლის არჩევნების პერიოდში კოალიცია გვპირდებოდა, რომ ამ პრობლემას მოაგვარებდა.

**— ამას ბიძინა ივანიშვილიც ამბობდა, მის სახლთან ერთი პერიოდი აქციებიც კი გამართეს იპოთეკით დაზარალებულებმა, ქობულეთშიც პლაკატებით დახვდნენ და დაპირება შეახსენეს, მაგრამ შემდეგ ამ დაპირებებმა ჩაილურის წყალი დალია.**

– სწორედ მაგას ვამბობ, ამ პრობლემას პასუხი რომ უნდა გაეცეს, ან უარყოფითი, ან დადებითი, ეს ცხადია. ხალხს უნდა უთხრან საბოლოო პასუხი და სასურველია, რომ ეს იყოს დადებითი, რათა უამრავი ადამიანი არ იყოს ჰაერში გამოკიდებული. მე პრემიერს შევთავაზე, რომ შევქმნათ რაღაც ჯგუფი, რომელიც იმუშავებს და ყველაფერს შეისწავლის. ნახონ იურისტებმაც, ამ სფეროში ძალიან ბევრი სამართალდარღვევაა, ადამიანებს სჭირდებათ დაცვა და არა მხოლოდ იმათ, ვინც იპოთეკით დაზარალდა, არამედ თავად დაზარალებული იპოთეკარიც. აქ ერთმანეთისგან გასამიჯნია ისიც, ვინ ვინ არის, თორემ ძალიან ბევრი საეჭვო პირია ამ საქმეში ჩართული. პრემიერმა თქვა, რომ კიდევ ერთი შეხვედრა იქნება საჭირო უახლოეს ხანში.

**— პრემიერმა რა თქვა, მივხედავთ ამ საქმესო?**

– თვითონ თანახმაა, რომ შეიქმნას საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელიც ამ საკითხებს შეისწავლის და ინფორმაციას მიაწვდის. აურაცხელი ინფორმაცია იქნება გადასამოწმებელი. ასევე, დაისვა შეკითხვები ლარის კურსის ვარდნის თაობაზე და ეს ცოტა ზოგადი გამოვიდა, ასახელებენ გარე ფაქტორებს და გვაიმედებენ, რომ უახლოეს ხანში სიტუაცია გამოსწორდება. იყო საუბარი სამართლებრივ საკითხებზე, სასამართლოზე და პროკურატურაზე. არასამთავრობოების ნაწილმა წამოჭრა საკითხი, რომ ამ სფეროებში უნდა ჩატარდეს რეფორმები.

ასევე, იყო ლაპარაკი ნეპოტიზმზე. პრემიერმა თქვა, ამის თაობაზე ვიცი და ვმუშაობთ, რომ აღვკვეთოთ ყველაფერიო. ამ შეხვედრას ესწრებოდა იუსტიციის მინისტრი, თეა წულუკიანი, რომელმაც ამაზე ისაუბრა და გააკეთა იურიდიული განმარტებები. მოკლედ, გვეუბნებიან, რომ მთავრობაში ნეპოტიზმზეც ფიქრობენ... რას გამოასწორებენ, არ ვიცი, მაგრამ როგორც პრემიერმა თქვა, ფიქრობენ და იციან. შემდეგ იყო საუბარი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე.

**— რაო, მაჟორიტარულ სისტემას გავაუქმებთო?**

– არა, ასე დეტალურად განხილვა არ ყოფილა. სხვათა შორის, გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, უკვე დროა, რაღაც შერიგებისკენ წავიდეთო, პროკურატურამ თავისი საქმე გააკეთოს, ამან არ უნდა დაგვიმახინჯოს მომავალი ცხოვრებაო.

**— ვის ვურიგდებით?**

– დასასჯელი დავსაჯოთ, მაგრამ თავი დავანებოთ ერთმანეთისთვის ტალახის სროლასო.

**— ბევრს ეგონა, „ნაციონალებს“ კოჰაბიტაციას გამოვუცხადებთ და შაშვებივით გალობას დაიწყებენო, მაგრამ არ გამოვიდა ეგ საქმე. მაგათთან საერთო ენა სამი წლის განმავლობაში ვერავინ გამონახა და ახლა კვირიკაშვილი გამონახავს? გამოდის, ახლა იწყება კოჰაბიტაციის მეორე ეტაპი, დამნაშავეები კვლავ არ დაისჯებიან... სამართლიანობის აღდგენაზე საბოლოოდ ჩავიქნიეთო ხელი?**

– კი, ეგეც ვუთხარით... მოგვისმინა, ძალიან რთულია მაგ ადამიანებთან ლაპარაკი, მაგრამ აუცილებელია, სიტუაცია დავაწყნაროთო. ხან უუნაროს მიწოდებენ, ხან სხვა რამეს და ეს ადამიანურად ძალიან მოქმედებს, ცოტა რთული საკითხია, მათ საკუთარ ისტორიებსა და წარსულს გადახედონო.

**— როდესაც კვირიკაშვილი პარლამენტში დამტკიცებამდე ერთი დღით ადრე შეხვედრებს მართავდა, „ნაციონალებმა“ ცირკი მოუწყვეს და თვითონაც ვერ შეიკავა თავი, ახლა ვის მოუწოდებს, რომ უნდა შევრიგდეთ?**

– თვითონ თქვა, შეიძლება შეურაცხყოფა მომაყენონ, ადამიანურად იმოქმედებს, მაგრამ პოლიტიკოსი ვარ და უნდა მოვითმინო, ზერელე ლაპარაკით საქმეს ვერ გავაკეთებთო. როგორც ჩანს, მას მართლა უნდა სიტუაციის დაწყნარება, მაგრამ რა გამოვა, არ ვიცი. თუმცა ვიმეორებ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ დამნაშავეები დაისჯებიან.

**— დამნაშავეები აქამდეც უნდა დასჯილიყვნენ.**

– ვნახოთ, რა გამოვა... ყოველ შემთხვევაში, თითქოს ნდობა არის, დაპირებებიც მივიღეთ, ცოტა ხანში კიდევ გვექნება შეხვედრა და კიდევ დაზუსტდება საკითხები.

**ბევრს ეგონა, „ნაციონალებს“ კოჰაბიტაციას გამოვუცხადებთ და შაშვებივით გალობას დაიწყებენო, მაგრამ არ გამოვიდა ეგ საქმე. მაგათთან საერთო ენა სამი წლის განმავლობაში ვერავინ გამონახა და ახლა კვირიკაშვილი გამონახავს? გამოდის, ახლა იწყება კოჰაბიტაციის მეორე ეტაპი, დამნაშავეები კვლავ არ დაისჯებიან... სამართლიანობის აღდგენაზე საბოლოოდ ჩავიქნიეთო ხელი?**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მაია ფანჯიკიძე — რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა მხოლოდ დეოკუპაციის შემთხვევაშია შესაძლებელი



– რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება დეოკუპაცია, – ასე გამოეხმაურა ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი და „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი მაია ფანჯიკიძე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის განცხადებას.

ფანჯიკიძის შეფასებით, გასაკვირია, რატომ დაუკავშირა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დიპლომატიური ურთიერთობებისა და ვიზების საკითხი ერთმანეთს.

– საქართველომ დიპლომატიური ურთიერთობები შეწყვიტა რუსეთთან 2008 წლის ომის შემდეგ. შესაბამისად, დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება დეოკუპაცია. ჩემთვის გასაკვირია, რატომ დაუკავშირა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დიპლომატიური ურთიერთობებისა და ვიზების საკითხი ერთმანეთს. საქართველომ უვიზო რეჟიმი შემოიღო რუსეთთან მაშინ, როდესაც დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვეტილი გვქონდა. თუკი ეს არის როგორც პირობა, ისე ნაგულისხმევი, მაშინ უვიზო მიმოსვლას მომავალი არ უწერია, სანამ არ მოხდება ქვეყნის დეოკუპაცია და ეს მზაობა მე ლავროვის განცხადებისთვის არ შემიტყვია, – განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

რუსეთი მზად არის, საქართველოსთან უვიზო რეჟიმი დააწესოს, მაგრამ ამაზე მსჯელობა უცნაური იქნებოდა, როცა ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობა არ არსებობს. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა ყოველწლიურ შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე განაცხადა. (ინტერპრესნიუსი)

## კვირიკაშვილის პასუხი ლავროვს: ამ საკითხს, რა თქმა უნდა, განვიხილავთ





საქართველოს პრემიერ-მინისტრი, გიორგი კვირიკაშვილი რუსეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის საკითხის განხილვის მზადყოფნას გამოთქვამს. ამის შესახებ გიორგი კვირიკაშვილმა, სერგეი ლავროვის განცხადების კომენტირებისას ისაუბრა.

– დიალოგისთვის ჩვენ გვაქვს გარკვეული არხები. ამ საკითხს, რა თქმა უნდა, განვიხილავთ და უახლოეს მომავალში გაკეთდება კომენტარები, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა. (პირველი რადიო)

## „თედო ჯაფარიძის გამოსვლა საქართველოსთვის საზიანოა და არცხვენს საქართველოს“



პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძის გამოსვლას ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე საპარლამენტო უმცირესობის წევრი გიორგი კანდელაკი საქართველოსთვის საზიანოდ და სამარცხვინოდ აფასებს.

– მსგავსი თავდასხმები ცივილიზებული სამყაროს ინსტიტუტებზე დამახასიათებელია ბატონი თედოს კარგი ნაცნობის, ბატონი კოსაჩოვისთვის. დამახასიათებელი არის არაცივილიზებული ქვეყნებისთვის. თუ „ქართულ ოცნებას“ სურს, საქართველო მოახვედროს არაცივილიზებული ქვეყნების რიცხვში, ეს „ქართული ოცნების“ პრობლემაა, მაგრამ მე ვფიქრობ, თედო ჯაფარიძის გამოსვლა, მიუხედავად იმისა, რომ ის უფრო ზრდილობიან ფორმებში იყო, ვიდრე მისი კოლეგების პიროვნული თავდასხმები ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტზე, არის საქართველოსთვის საზიანო, არცხვენს საქართველოს და თუ რამე აყენებს ზიანს საქართველოს და ჩვენი ხალხის ინტერესებს, არის სწორედ ასეთი უპასუხისმგებლო და სამარცხვინო გამოსვლები, – განაცხადა კანდელაკმა. (პირველი რადიო)

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

# ცოცხლად დამარხულები და სიკვდილს გადარჩენილები

ტაფოფობია ცოცხლად დამარხვის შიშია და როგორც ცნობილია, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფობიაა. ბუნებრივიცაა, ვერაფერი სასიამოვნო წარმოსადგენია საკუთარი თავი გულზე მიწადაყრილი.

არახალი ამბავია, რომ ადრე ექიმების შეცდომებისა და უყურადღებობის გამო ცოცხლად დამარხვის შემთხვევები არც ისე დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ მედიცინა განვითარდა, მსგავსი შემთხვევები დღესაც ხდება.

წარმოგიდგენთ ცოცხლად დამარხული 10 ადამიანის ისტორიას, რომლებიც სიკვდილს... გადაურჩნენ.

**– ჯანეტ ფილომელი** – 1867 წელს ჯანეტ ფილომელი 24 წლის ასაკში ქოლერით დაავადდა. ექიმებმა და გარშემომყოფმა ადამიანებმაც ჩათვალეს, რომ ის გარდაიცვალა. მღვდელმაც წესი აუგო და ჯანეტი მიწას მიაბარეს.

მესაფლავემ ის იყო დაასრულა თავისი საქმე და წასვლას აპირებდა, რომ მოულოდნელად მიწიდან კაკუნი შემოესმა. ცოტა ხნის შემდეგ კაკუნი განმეორდა. მესაფლავემ ექიმს დაუძახა და მისი მითითებისამებრ საფლავი ხელახლა გათხარა, საიდანაც ცოცხალი ჯანეტი ამოიყვანეს. გოგონას ხელზე სისხლჩაქცევები ჰქონდა, რაც იმას მოწმობს, რომ კუბოდან თავის დაღწევას ცდილობდა.







რამდენიმე დღის შემდეგ გოგონა ქოლერით გარდაიცვალა. თუმცა, შესაძლოა, 24 წლის ჯანეტ ფილომელის სიკვდილი გადატანილ შოკსაც დაჰბრალდეს.

**– უცნობი სან-პაულოდან** – 2013 წელს სან-პაულოელი ქალი ახლობლის საფლავზე მივიდა. მოულოდნელად ქალმა შეამჩნია, რომ ერთ-ერთი საფლავიდან მამაკაცი თავის განთავისუფლებას ცდილობდა. როცა მამაკაცმა ხელი და თავი გაითავისუფლა, მასთან ადგილობრივი მუშები მივიდნენ და საფლავიდან ამოსვლაში დაეხმარნენ.

როგორც ცნობილია, მამაკაცი მერიის თანამშრომელი იყო, თუმცა ის კი უცნობია, რატომ დამარხეს ცოცხლად. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ჩხუბის, ან თავდასხმის მსხვერპლი გახდა, რის შემდეგაც გარდაცვლილად მიიჩნიეს და მიწას კვალის დაფარვის მიზნით მიაბარეს.

მამაკაცის ნათესავების თქმით, ამ ფაქტის შემდეგ ის ფსიქიკური დაავადებისგან ძლიერ იტანჯებოდა.

**– გოგონა დუნდუნის პროვინციიდან** – ჩინეთში, დუნდუნის პროვინციაში ცხოვრობდა გოგონა ლუ სიაოიანი. ლუ ფეხმძიმობის მეოთხე თვეში იყო, როცა თავი ცუდად იგრძნო, მის სოფელში კი ექიმი არ იყო. ბუნებრივია, გოგონას ფეხმძიმობას თვალყურს არავინ ადევნებდა. ფიქრობდნენ, რომ გართულებების გამო ბავშვი მკვდარი დაიბადებოდა. თითქოს ასეც მოხდა, ახლად მოვლენილ ბავშვს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

მშობიარობის შემდეგ ლუ სასწრაფო დახმარების მანქანით უახლოეს საავადმყოფოში გადაიყვანეს. გოგონას დედამ კი ბავშვი დამარხა. საავადმყოფოში მისვლის შემდეგ ექიმებმა გაარკვიეს, რომ ლუ მეოთხე კი არა, ფეხმძიმობის მეექვსე თვეში იყო და ბავშვის გადარჩენაც მოხერხდებოდა. ლუს მეუღლე სახლში დაბრუნდა, ბავშვი საფლავიდან ამოიყვანა და საავადმყოფოში მიიყვანა. ექიმები მართლები აღმოჩნდნენ – პატარა გოგონა გადარჩა.

**– მაიკ მეინი** – მაიკ მეინი არც ექიმების და არც ახლობლების დაუდევრობის მსხვერპლი არ გამხდარა. თავად გადაწყვიტა მსოფლიო რეკორდის დამყარება – ხვრელებიან კუბოში ჩაწვა და დამარხვა ითხოვა. მეინს სწორედ ხვრელების დახმარებით აწვდიდნენ საკვებსა და სასმელს. მაიკმა მიწისქვეშ 61 დღე გაძლო. მას შემდეგ ბევრი ეცადა რეკორდის გაუმჯობესებას, მაგრამ მაიკის გმირობის გამეორება ვერავინ შეძლო.

**– ენტონი ბრიტონი –** ენტონი ბრიტონმა მიწისქვეშ ფოკუსის ჩვენება გადაწყვიტა. ილუზიონისტი კუბოს გარეშე, 2 მეტრის სიღრმეზე ხელებშეკრული ჩამარხეს, მაგრამ ყველაფერი გეგმის მიხედვით არ წავიდა და ენტონმა მიწისქვეშ გაჩერება მხოლოდ 9 წუთი შეძლო, როცა მაშველებმა ამოიყვანეს, მძიმედ სუნთქავდა და უგონო მდგომარეობაში იყო.

მოგვიანებით, ენტონი ინტერვიუში ამბობდა, რომ საქმე შეკრულმა ხელებმა გაართულა, მას არ ჰქონდა მოძრაობის საშუალება და ყოველ ჩასუნთქვაზე მიწა გულზე ეყრებოდა, რაც ამოსუნთქვის საშუალებას აღარ აძლევდა.

**– ჩვილი კომპტონიდან –** არც ისე დიდი ხნის წინ, 2015 წლის ნოემბერში კალიფორნიის ქალაქ კომპტონის პარკში ორი ქალი სეირნობდა. მოულოდნელად მათ ბავშვის ტირილის ხმა გაიგონეს, რომელიც პირდაპირ მიწიდან ამოდიოდა. ქალებმა პოლიციაში დარეკეს. საბედნიეროდ, პოლიციამ ოპერატიულად იმოქმედა და ველოსიპედის ტრასის ქვევით საავადმყოფოს საბანში გახვეული ჩვილი იპოვა. სწორედ ამ საბნის დახმარებით დაადგინეს რომელ საავადმყოფოში და როდის გაჩნდა პატარა. ასევე, გარკვიეს ბავშვის დედის ვინაობა, რომელსაც განზრახ მკვლელობასა და ბავშვის მიტოვებაში ედება ბრალი.

**– ტომ გერინი** – 1845-1849 წლის ირლანდიის კარტოფილის შიმშილობამ დიდი სიკვდილიანობა გამოიწვია. სასაფლაოზე ადგილები აღარ იყო და მიცვალებულებს ერთმანეთზე მარხავდნენ. ერთხელაც შეცდომა მოუვიდათ და ცოცხალი ტომ გერინიც სხვებთან ერთად დამარხეს.

დამარხვისას ბიჭს ფეხი მოტყდა. უცნაურია, მაგრამ 13 წლის ბიჭი არა მხოლოდ გადარჩა, არამედ მოტეხილი ფეხით საფლავიდან თავის დაღწევაც შეძლო.

**– ბავში ტიან დოგიდან** – 2015 წლის მაისში სამხრეთ კორეის ერთ-ერთ პროვინციაში მცხოვრები ქალი ტყეში მცენარეებს აგროვებდა, როცა ბავშვის ტირილი გაიგო. ქალმა პოლიცია გამოიძახა. პოლიციამ კი მიწაში ცოცხლად დამარხული ბავშვი აღმოაჩინა.

თურმე, მშობლებს არ სურდათ პატარას გაზრდა, ამიტომაც მუყაოს ყუთში ჩადეს და დამარხეს. ბავშვი მიწიდან საფლავში ტალახის სახით ჩასულმა წყალმა და ჟანგბადმა გადაარჩინა. როგორც პოლიციელები ამბობდნენ პატარა მთლიანად ტალახში იყო ამოსვრილი.

**– ნატალია პასტერნაკი –** 2015 წლის მაისში ქალაქ ტინდაში მცხოვრები ქალები, ნატალია პასტერნაკი და ვალენტინა გოროდეცკაია ქალაქგარეთ არყის წვენის შესაგროვებლად გავიდნენ. მოულოდნელად თავს დათვი დაესხათ, რომელმაც ნატალია მსხვერპლად ამოირჩია. დათვმა ქალს სკალპი ახადა, სერიოზულად დაუზიანა ბარძაყი და ყელი. ვალენტინამ მაშველების გამოძახება შეძლო. ადგილზე მისულ მაშველებს ნატალია დამარხული დახვდათ. როგორც დათვებს სჩვევიათ, შემდეგი სადილისთვის შეინახა. ნატალია გადარჩა და დღემდე უკეთდება სხეულის აღდგენითი ოპერაციები.

**– ესი დუნბარი –** 30 წლის ესი დუნბარი 1915 წელს ეპილეფსიის ძლიერი შეტევისგან გარდაიცვალა. ყოველი შემთხვევისთვის ასე ფიქრობდა ყველა. ესის დამ კი კატეგორიულად აკრძალა მის ჩამოსვლამდე მიცვალებულის დამარხვა. როგორც შეეძლოთ, გააჭიანურეს დაკრძალვის რიტუალი. ბოლოს და ბოლოს, ესის კუბო საფლავში ჩაუშვეს, როცა მისი დაც მივიდა სასაფლაოზე. დამ მოითხოვა კუბოს ამოღება, რათა ესის გამოთხოვებოდა. როცა კუბოს თავი აჰხადეს, ესი წამოდგა და დას გაუღიმა. პანიკაში ჩავარდნილი ხალხი სასაფლაოდან გაიქცა. ჩათვალეს, რომ გოგონას სული მკვდრეთით აღდგა. დიდი ხნის შემდეგაც ზოგიერთი თვლიდა, რომ ესი მოსიარულე მკვდარი იყო.

მკვდრეთით აღმდგარმა ესიმ კი 1962 წლამდე იცოცხლა.

*fishki.net*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## სელინ დიონს ქმარი და ძმა ერთდროულად გარდაეცვალა



47 წლის სელინ დიონი დაქვრივდა. მისი მეუღლე, კანადელი პროდიუსერი რენე ანჟელი, გარდაიცვალა. ორი დღის შემდეგ ის 74 წლის უნდა გახდარიყო. ექიმებმა ყელის კიბოს დიაგნოზი რენეს 20 წლის წინათ დაუდგინეს.

გასულ წელს სელინმა ემოციური ინტერვიუ მისცა ერთ-ერთ ჟურნალს, სადაც ქმრის ავადმყოფობაზე საუბრობდა:

„ეს საშინელი დაავადება ყოფილა. რენეს დამოუკიდებლად ჭამაც კი არ შეუძლია, მე ვაჭმევ ხელით და ვიყენებ სპეციალურ მოწყობილობას. ის ემზადება სიკვდილისთვის და უნდა, ჩემს მკლავებში დალიოს სული. მე ყოველთვის მის გვერდით ვიქნები"... სელინ დიონის თავდადება მართლაც სამაგალითო იყო. მას არც ერთხელ არ დაუწუწუნია, რომ ქმრის გამო საყვარელ საქმიანობას – მომღერლობას ჩამოშორდა.

მათ ერთმანეთი 1980 წელს გაიცნეს, როდესაც სელინი ჯერ კიდევ 12 წლის იყო. 1987 წელს მათ შორის რომანი გაჩაღდა და 4 წელიწადში დაქორწინდნენ კიდეც. მომღერალს ძალიან უნდოდა, ქმრისთვის შვილები გაეჩინა, მაგრამ დიდი ხანი დაფეხმძიმებას ვერ ახერხებდა. ხელოვნური განაყოფიერების შედეგად მათ ახლა სამი შვილი ჰყავთ. ქმრის გარდაცვალებიდან 2 დღის შემდეგ სელინმა კიდევ ერთი დარტყმა მიიღო – მისი ძმა, 59 წლის დანიელ დიონი, ასევე კიბოთი გარდაიცვალა.

*postalioni.com*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## ლეონარდო დიკაპრიო შესაძლოა, რუსეთის კულტურის მინისტრი გახდეს

ლეონარდო დიკაპრიო პირველი „ოსკარის" ასაღებად ემზადება. მანამდე კი ჰოლივუდის ვარსკვლავს პოლიტიკური პარტია „გარადა რასიი" სთავაზობს, დაფიქრდეს ახალ თანამდებობაზე, რომელიც, შესაძლოა, მას ახლო მომავალში შესთავაზონ.



ინტერნეტპორტალი rusjev.net წერს, რომ 41 წლის მსახიობს ძალიან დიდი შანსი აქვს, რუსეთის ფედერაციის კულტურის მინისტრი გახდეს.

პარტიის წევრებმა მოთხოვნით უკვე მიმართეს ვლადიმერ პუტინს. ისინი მიიჩნევენ, რომ რუსები სამამულო ხელოვნების მიმართ ინტერესს კარგავენ, დიკაპრიო კი რუსული ხელოვნებისთვის სიახლის მომტანი იქნება. პარტიის თავმჯდომარე ვლადისლავ კოვალენკოს თქმით, უკვე აწარმოებენ წინასწარ მოლაპარაკებებს მსახიობის წარმომადგენლებთან.

*fortuna.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## როგორ ვიკვებოთ სწორად და რომელი პროდუქტების ერთად მიღებაა დაუშვებელი




სწორი კვება ჯანმრთელობის უპირველესი საწინდარია.

იმისთვის, რომ ჯანმრთელობა შეინარჩუნოთ, აუცილებლად უნდა მოერიდოთ ერთმანეთთან შეუთავსებად საკვები პროდუქტების მიღებას.

განსაკუთრებით პოპულარულია შელტონის ცხრილი, რომელშიც მოცემულია, რომელი პროდუქტების ერთად მიღება არ შეიძლება.

ნუ მიიღებთ კონცენტრირებულ ცილოვან და ნახშირწყლებიან საკვებს ერთ ჯერზე.

– არ მიირთვათ ნიგოზი, ხორცი, კვერცხი და სხვა ცილოვანი საკვები პურთან, მარცვლოვან პროდუქტებთან, კარტოფილთან, ნამცხვართან, ტკბილ ხილთან ერთად. ერთ ჯერზე მიირთვით – კვერცხი, მეორეზე – თევზი, მესამეზე – რძე და სრულიად სხვა დროს – პური ან ბურღულეული.

– ნუ მიირთმევთ ნახშირწყლოვან და მჟავე საკვებს ერთ ჯერზე. ნუ შეჭამთ პურს, კარტოფილს, ბარდას, პარკოსნებს, ბანანს, ფინიკს და სხვა ნახშირწყლოვან პროდუქტებს ლიმონთან, ფორთოხალთან, გრეიფრუტთან, ანანასთან, შტოშთან, პომიდორთან და სხვა მჟავე პროდუქტებთან ერთად.

– ნუ მიირთმევთ მჟავე ხილს ცილოვან საკვებთან. ფორთოხალი, ლიმონი, პომიდორი, ანანასი, ალუბალი, მჟავე ვაშლი, არ უნდა მიირთვათ ყველთან, ნიგოზთან, კვერცხთან და ხორცთან. რაც ნაკლებ რთულია საკვების ნარევი, მით უფრო ეფექტურია ჩვენ მიერ საჭმლის მონელების პროცესი.– არასოდეს მიირთვათ ცხიმები ცილებთან.

ნაღები, კარაქი, არაჟანი, მცენარეული ზეთი არ უნდა მიირთვათ ხორცთან, კვერცხთან, ყველთან, ნიგოზთან და სხვა ცილებთან. ცხიმი ცილასთან ერთად აფერხებს კუჭის წვენის გამოყოფას.

*newposts.ge*

სანცქერესო ამბები... სანცქერესო ამბები... სანცქერესო ამბები... სანცქერესო სანცქერესო ამბები... სანცქერესო სანცქერესო

## აფრიკელ მოსწავლეებს ქალიშვილობის შენარჩუნების სანაცვლოდ სტიპენდიას სთავაზობენ



სამხრეთ აფრიკაში, კვაზულუ-ნატალის პროვინციის რაიონ უტხუკელაში, მერი დადუ მაზიბუკო 16 წლის ქალიშვილ გოგონებს კიდევ 3 წლით ქალიშვილობის შენარჩუნების სანაცვლოდ სტიპენდიას შეჰპირდა. გოგონები გინეკოლოგის შემოწმებას სისტემატურად გაივლიან.

„ასეთი ფორმით ჩვენ მადლიერებას გამოვხატავთ იმ გოგონებისადმი, რომლებიც სწავლის დამთავრებამდე სექსისგან თავს შეიკავებენ“, – თქვა მაზიბუკომ.

მერის თქმით, გოგონებს, რომელთაც სტიპენდიის მიღება სურთ, ხელი უნდა მოაწერონ საბუთებს იმის დასადასტურებლად, რომ თანახმა არიან, პერიოდულად ექიმის შემოწმება გაიარონ.

ხალხის ის ნაწილი, რომელიც ინიციატივას მხარს უჭერს, აცხადებს, რომ ასეთი ხერხით ტრადიციული ღირებულებები შენარჩუნდება და გოგონების სექსუალური განათლების ახალი ეტაპი დაიწყება. თავშეკავება გოგონებს დაეხმარება, აივ-ინფექცია და შიდსი თავიდან აიცილონ.

„ჩვენ ვემხრობით მერის ინიციატივას, მაგრამ სტიპენდიის გაცემას ვერ დავეთანხმებით. ეს იქნება ფეხმძიმეების, უდანაშაულო ქალებისა და თუნდაც მამაკაცების დისკრიმინაცია“, – განაცხადა გენდერული საკითხების კომისიის წარმომადგენელმა.

სამხრეთ აფრიკაში გოგონების ქალიშვილობის შემოწმების პრაქტიკის მოწინააღმდეგე აქტივისტები მერის ინიციატივას სექსისტურსა და აგრესიულს უწოდებენ.

*lenta.ru*

სანცქერესო ამბები... სანცქერესო ამბები... სანცქერესო ამბები... სანცქერესო

## რა შემთხვევაში ღალატობენ ზოდიაქოს ნიშნები საყვარელ ადამიანს



– **ვერძი** – თუ გაიგებენ, რომ მასაც ულალატეს.

– **კურო** – თუ უყურადღებობა იგრძნეს.

– **ტყუპები** – მხოლოდ დიდი ფულისა და საჩუქრების სანაცვლოდ.

– **კირჩხიბი** – თუ თქვენთან სექსში თავს კომფორტულად ვერ გრძნობენ.

– **ლომი** – თუ მიხვდნენ, რომ მასზე ძლიერი ხართ.

– **ქალწული** – არასოდეს, ამას მხოლოდ ძალადობით ან უკიდურეს შემთხვევაში აკეთებენ.

– **სასწორი** – თუ თქვენზე ლამაზ სიტყვებს ეტყვიან და უფრო მეტად მოეფერებიან.

– **მორიელი** – სამაგიეროს გადახდის მიზნით.

– **მშვილდოსანი** – თუ თქვენ გვერდით მოიწყინეს.

– **თხის რქა** – ძალიან გაუჭირდებათ, მაგრამ თუ მიხვდნენ, რომ აღარ გიყვართ.

– **მერწყული** – მისი მოხიბვლა ადვილად შეიძლება ძვირად ღირებული საჩუქრებით და ღალატამდე ერთი ნაბიჯი რჩება.

– **თევზები** – დეპრესიის დროს და ამას ისევ თქვენ დაგაბრალებენ.

*etanews.ge*

სანცქერესო ამბები... სანცქერესო ამბები... სანცქერესო ამბები... სანცქერესო სანცქერესო ამბები... სანცქერესო სანცქერესო

## მეცნიერებმა დაადგინეს, რატომ არ გამოდიან უცხოპლანეტელები კავშირზე



რეჟისორებისთვის უცხოპლანეტელების თემა მეტად საინტერესო და მიმზიდველია, ამიტომ მათზე ფილმებს გაუთავებლად იღებენ. ექსპერტები კი ამტკიცებენ, რომ სხვა პლანეტებზე ძალიან პრიმიტიული ცხოვრების ფორმაა. ასე რომ, უცხოპლანეტელებს დედამიწელებთან დაკავშირება უბრალოდ, არ შეუძლიათ.

თურმე ნუ იტყვით და უცხოპლანეტელების ცხოვრების პირობები იმდენად არასტაბილურია, რომ ჩამოყალიბებას ვერ ასწრებს.

როგორც მეცნიერები ამბობენ, ადამიანი მილიარდწლიანი ევოლუციის შედეგად გაჩნდა და ეს უნიკალური მოვლენაა. სხვა პლანეტაზე სიცოცხლის არსებობის დასადასტურებლად კი, ადამიანები მხოლოდ პრიმიტიული ორგანიზმების ნარჩენებს უნდა ელოდნენ.

*myjane.ru*

სანცქერესო ამბები... სანცქერესო ამბები... სანცქერესო ამბები... სანცქერესო

## ბრიტანელმა დიასახლისმა შემთხვევით მომგებიანი ბილეთი გარეცხა




როგორც გურულები იტყვიან – ბედი უნდა ყორფელს. აბა, რა ვარსკვლავზე გაჩენილი უნდა იყო, რომ 33 მილიონი ფუნტი სტერლინგის მომგები ბილეთი ჯინსის ჯიბეში გედოს და ჯინსთან ერთად მიარეცხ-მიაცრიცო?!

ბრიტანეთის ქალაქ ვუსტერში მცხოვრები 33 წლის ქალი ამბობს, რომ მისმა ბილეთმა ზემოხსენებული თანხა მოიგო. გარეცხილ-გასტერილებული ბილეთზე მომგებიანი ციფრები და გამოშვების წელი შენარჩუნებულია, მაგრამ წაშლილია თვე და რიცხვი.

ქალმა იმ კიოსკს მიაკითხა, სადაც ბილეთი შეიძინა, ბილეთების გამყიდველმა კი, ბილეთის ლატარიის კომპანიისთვის გადაგზავნა ურჩია. ლატარიის კომპანიამ დაადასტურა, რომ მომგებიანი ბილეთი ვისტერში იყო შეძენილი, თუმცა გადასცემენ თუ არა უილბლო მოთამაშეს მოგებულ თანხას, ეს ამბავი ივლისში გაირკვევა.

*lenta.ru*

სანცქერესო ამბები... სანცქერესო ამბები... სანცქერესო ამბები... სანცქერესო სანცქერესო ამბები... სანცქერესო სანცქერესო

## პრეზერვატივების სავაჭრო ავტომატმა გერმანელის სიცოცხლე შეიწირა



ღირსეულად სიცოცხლე თუ ვერა, სიკვდილი მაინც უნდა შეძლო ადამიანმა. აბა, პრეზერვატივის აპარატი რომ შეგიწირავს, ის სიკვდილია?

გერმანიის ქალაქ შოპინგენში კი მამაკაცი სწორედ პრეზერვატივის სავაჭრო ავტომატის აფეთქებისგან დაშავდა და გარდაიცვალა.

სამმა თანამზრახველმა გადაწყვიტა, რომ პრეზერვატივებიანი სავაჭრო ავტომატი აეფეთქებინათ და ზედმეტი ჩხირკედელაობის გარეშე ჩაეჯიბათ აპარატში დაგროვებული ფული. ასეც მოიქცნენ, მაგრამ ერთ-ერთმა ვერ მოასწრო მანქანაში ჩაჯდომა და აპარატის რკინის ნამსხვრევი თავში მოხვდა.

თანამზრახველებმა საავადმყოფოში გადაიყვანეს და ექიმს უთხრეს, რომ კიბეზე დაგორდა და ეს უზარმაზარი, ღრმა ჭრილობაც მაშინ მიიღო. გამოცდილი ექიმი ჭრილობის უცნაურობამ დააეჭვა და პოლიცია გამოიძახა.

დაკითხვაზე კაცებმა აღიარეს, რომ აპარატის გაქურდვა უნდოდათ, მაგრამ ასეთ ფატალურ შედეგზე არც უფიქრიათ. მესამე მეგობარი ჭრილობისგან გარდაიცვალა, ცოცხლად დარჩენილი ორი კი დაიჭირეს.

*etotupo.ru*

სანცქერესო ამბები... სანცქერესო ამბები... სანცქერესო ამბები... სანცქერესო სანცქერესო ამბები... სანცქერესო სანცქერესო

## ბრიტანელი ვალდებულია, სექსუალური აქტის წინ პოლიცია გამოიძახოს



არ ჩაგვაყენებ შენი სექსუალური ცხოვრების საქმის კურსში და გისოსებსმიღმა 5-წლიანს დაგიბაბანებთო – დაემუქრა დამნაშავეს ბრიტანეთის სასამართლო.

საჯარო სექსისთვის განწირული მამაკაცი გაუპატიურებაშია ბრალდებული. სასჯელად კი სასამართლომ ასეთი რამ მოუფიქრა – მამაკაცი ვალდებულია, აცნობოს ყველა ქალის შესახებ, რომელთანაც ღამეს გაატარებს.

დამნაშავემ პაემნის დანიშვნიდან არაუგვიანეს 24 საათისა პოლიციას უნდა გაუგზავნოს იმ ქალის მონაცემები (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი), რომელსაც უნდა შეხვდეს.

ამავე წლის მაისში კიდევ ერთი სხდომა გაიმართება, სადაც შესაძლებელია, სასამართლოს ამჟამინდელი გადაწყვეტილება კიდევ ორი წლით გახანგრძლივდეს.

*anekdot-dnya.ru*



– გითქვამს ცოლისთვის ოდესმე, რას ფიქრობ მასზე?

– კი, როგორ არა! გინდა, გაჩვენო ჭრილობა მკერდის არეში?

*****

მომხიბვლელი ქერა გოგონა ექიმთან მივიდა:

– ექიმო, სერიოზული პრობლემა მაქვს – რაც არ უნდა მოხდეს, 5 წუთში აბსოლუტურად ყველაფერი მავიწყდება.

– გასაგებია... ახლა ადექით, გაშიშვლდით, დაწექით და მეც მოვალ...

*****



– რატომ სუქდებიან ცოლიანი მამაკაცები?

– იმიტომ, რომ უცოლო ბრუნდება საღამოს სახლში, შეიხედება მაცივარში, ხედავს, რაც იქ ხვდება და გამწარებული დასაწოლად მიდის... ცოლიანი კი ბრუნდება საღამოს სახლში, შეიხედება საბნის ქვეშ, ხედავს, რაც იქ ხვდება და გამწარებული მიდის მაცივართან!..

*****

ცოლის ფრაზის შემდეგ: „აუ, ახლა კაი შემწვარ მარილიან მარწყვს შევჭამდი“, 12 შვილის მამამ გონება დაკარგა...

*****

კოტე სახედალურჯებული იღვიძებს, აშკარად გემოზეა ნაბეგვი. შეეშინდა, ვერ გაიხსენა, რა შეემთხვა და მამას ჰკითხა:

– რა მჭირს, ვინ მცემა?

– აბა, როგორ გითხრა, შვილო... გახეული მთვრალი მოხვედი და ხმა არ ამომიღია. არც მაშინ გაგეცი ხმა, როცა დედა მაგინე. არც იმაზე გითხარი არაფერი, დედაშენს რომ მისდექი და იმას აგინე. მაგრამ როცა ოთახის შუაგულში მოისაქმე, სანთელი ჩაარჭვე და გამოაცხადე: „ეს ზღარბი ჩვენთან იცხოვრებსო!“, თავი ველარ შევიკავე...

*****



სამხედრო კათედრის ლექტორი:

– ტანკი დაახლოებით 80 კილომეტრ/საათის სიჩქარეს ავითარებს, რის შემდეგაც მისი დამორჩილება თითქმის შეუძლებელია...

– როგორ თუ შეუძლებელი? – შეშინებული ეკითხება კურსანტი.

– საშიში არაფერია – თქვენ ხომ ტანკში ხართ!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

გვერდი მოამზადა დარინა ქამადაძე 593 19-85-99

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. საკვები ცხიმი
2. მწერალი რედიარდ ...
3. ცელქი
4. ერთგვარი ჯადოსნური სიტყვები
5. დიდი ნემსი
6. ტბა პერუში
7. „მე ვხედავ მზეს" პერსონაჟი
8. გემის მოძრავი კიბე
9. ლუდის მასალა
10. ეთიოპიის დედაქალაქი
11. მწერალი ... დე ბალზაკი
12. განმუხტვა ღრუბლებში
13. მწერალი დენ ...
14. მსახიობი ჟან ...
15. შტატი აშშ-ში
16. პატარა სკივრი
17. პოპოვის გამოგონება
18. სახალხო პოეტი მომღერალი
19. ...-კლუქს-კლანი
20. მსახიობი ... სუონკი
21. „სამი მუშკეტერი" კარდინალი
22. ყურძნის ჩირი
23. რეჟისორი ... რიჩი
24. მევიოლინე ლიანა ...
25. მთათა სისტემა ამერიკის კონტინ.
26. მიმდინარეობა მხატვრობაში
27. დედამიწის მოდელი
28. ქალაქი იაპონიაში
29. გარეგალაქტიკური ობიექტების კლასი მაღალი განათებით
30. კომეტა დედამიწასთან
31. ქრისტიანთა წმინდა თასი
32. ფაშვის წვნიანი
33. მწვადი ამერიკულად
34. გაუშლელი ყვავილი
35. დაჩეხილი ხე
36. დირიჟორი ... ტოსკანინი
37. ფუტკრების სახლი
38. მსახიობი ... სანდრელი
39. „... მიდის გაზაფხულია"
40. მსახიობი კრისტიან ...
41. „მაუგლი" დათვი
42. ჩანთოსანი დათვი
43. მომღერალი ბობ ...
44. დეკორატიული მცენარე
45. საკერავი მანქანის ფირმა
46. ველური ცხენი
47. „კარმენი" კომპოზიტორი
48. ძვ. სამეჯლისო ცეკვა
49. მსახიობი ... მახარაძე
50. კონტინენტი
51. კომპოზიტორი მიქაელ ...
52. მდინარე გერმანიაში
53. ექს-პრეზიდენტი რიჩარდ ...
54. მტაცებელი თევზი ამაზონში
55. ფეხბურთის „მეფე"
56. ესპანელი მხატვარი
57. მსახიობი ... ხაფავა
58. რძის პროდუქტების ფირმა
59. ... ჩიბურდანიძე
60. ვულკანის ყელი
61. ... ცეცხლს მუა
62. შვედური ხურდა ფული
63. მელვილი. „... დიკი"
64. ბიბლიური ფრთოსანი არსება
65. ქალაქი ესპანეთში
66. ...-ქრისტიან ანდერსენი
67. მტაცებელი ცხოველი აფრიკაში
68. რას სწავლობდა ფიზიოლოგი პავლოვი
69. ალბანეთის დედაქალაქი
70. მსახიობი ... გრანტი
71. ოდრი ტოტუ ფილმში
72. მისი დედაქალაქია დამასკო
73. საომარი ნადავლი
74. ... კუზანოვი
75. რუს მეფეთა დინასტია
76. ტბა კანადაში
77. ურუგვაის დედაქალაქი
78. მამლის ჯიღა
79. ბერძ. ანბანის ბოლო ასო
80. ყაიმი
81. თვალის გუგა
82. კომპოზიტორი ფელიქს ...
83. სამშენებლო მასალა
84. ჩინეთის დიდი ...
85. მსახიობი ... ფაროუ
86. მინდვრის ყვავილი
87. თვალის ბუდე
88. ამფიბია
89. ექს-პრეზიდენტი რონალდ ...
90. შენობის ჩონჩხი
91. სრუტე ხმელთაშ. ზღვაზე
92. ყურძნის ჯიში
93. თვითმფრინავის ფანჯარა
94. მწერლები ... და პეტროვი
95. მუცელი (მოძვ.)
96. „ფიფქია და შვიდი ..."
97. ქორბუდა ცხოველი
98. მომღერალი ... ქერი
99. მისი დედაქალაქია ლონდონი
100. ოჯახი სოფლად
101. მსახიობი მარლონ ...
102. მთათა სისტემა ...-შანი
103. სახის ნაწილი
104. პოეტი ... ახმადულინა
105. დავით ნარიბი და დავით ...
106. მსახიობი ანჯელინა ...
107. მოწნული ჭურჭელი
108. აბატი ფარიას ციხე
109. მსახიობი ... რაიანი
110. უნივერსიტეტი ინგლისში
111. იგი ოქროს გასაღებს ინახავდა
112. კისრის წინა მხარე
113. მით. მედუზა გველის თმებით
114. მახრჩობელა გველი
115. წყლის სამგზავრო ჭურჭელი
116. კურორტი თურქეთში
117. მსახიობი ... ჰოფმანი
118. სახლის გადასახურავი ბალახი
119. შენობა საწნახ-ლით
120. ხელის საგრილებელი
121. თეატრალური მაკიაჟი
122. მსხვილი ნაწლავის ანთება
123. ოჯახის ქალი ძველ რომში
124. მხატვარი ... ფირცხალავა
125. ტკბილი კარტოფილი
126. ჩვილი, ანუ ...
127. დიკენსი. „ოლივერ ..."
128. ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში
129. მომღერალი ლედი ...
130. ... ძედუნი
131. იანის საპირისპირო
132. სოფელი ოზურგეთ. რაიონში
133. მსახიობი ... ჰათაუეი
134. მწერალი ... კიზი
135. ამ ენაზე მეტყველებდა ქრისტე
136. მომღერალი დაიანა ...
137. იაპონური თეატრი
138. ერთგვარი პეპელა
139. ჩეხოვი. „... ვანია"
140. მხ/ფ „ლაზარეს თავგადასავალი" ანარქისტი ...
141. ბილიარდის ჯოხი

პასუხები: 1. მარგარინი; 2. კიპლინგი; 3. ანცი; 4. აბრაკადაბრა; 5. მახათი; 6. ტიტიკაკა; 7. ხატია; 8. ტრაპი; 9. ალა; 10. ადის-აბება; 11. ონორე; 12. ელვა; 13. ბრაუნი; 14. რენო; 15. არიზონა; 16. ზარდახშა; 17. რადიო; 18. აკინი; 19. კუ; 20. ჰილარი; 21. რიშელიე; 22. ქიშმიში; 23. გაი; 24. ისაკაძე; 25. კორდილიერები; 26. სიურრეალიზმი; 27. გლობუსი; 28. ნაგასაკი; 29. კვაზარი; 30. ჰალეი; 31. გრაალი; 32. ხაში; 33. ბარბექიუ; 34. კოკორი; 35. შეშა; 36. არტურო; 37. სკა; 38. სტეფანია; 39. დარაბებს; 40. ბეილი; 41. ბალუ; 42. კოალა; 43. მარლი; 44. ფიკუსი; 45. „ზინგერი"; 46. მუსტანგი; 47. ბიზე; 48. კოტილიონი; 49. კოტე; 50. აზია; 51. ტარივერდიევი; 52. რაინი; 53. ნიქსონი; 54. პირანია; 55. პელე; 56. გოია; 57. ბერტა; 58. „სანტე"; 59. მაია; 60. კრატერი; 61. ორ; 62. ერე; 63. მობი; 64. ქერუბიმი; 65. ბარსელონა; 66. ჰანს; 67. აფთარი; 68. რეფლექსი; 69. ტირანია; 70. ჰიუ; 71. „ამელი"; 72. სირია; 73. ალაფი; 74. ივა; 75. რომანოვი; 76. ონტარიო; 77. მონტევიდეო; 78. ბიბილო; 79. ომეგა; 80. ფრე; 81. მაია; 82. მენდელსონი; 83. არმატურა; 84. კედელი; 85. მია; 86. გვირილა; 87. ფოსო; 88. გომბეშო; 89. რეიგანი; 90. კარკასი; 91. გიბრალტარი; 92. პინო; 93. ილუმინატორი; 94. ილფი; 95. სტომაქი; 96. ჯუჯა; 98. მერაია; 99. ინგლისი; 100. კომლი; 101. ბრანდო; 102. ტიან; 103. ყბა; 104. ბელა; 105. ულუ; 106. ჯოლი; 107. გოდორი; 108. იფი; 109. მეგ; 110. კემბრიჯი; 111. ტორტილა; 112. ყელი; 113. გორგონა; 114. ბოა; 115. მათარა; 116. ანტალია; 117. დასტინ; 118. ისლი; 119. მარანი; 120. მარაო; 121. გრიმი; 122. კოლიტი; 123. მატრონა; 124. გიგლა; 125. ბატატი; 126. ალუა; 127. ტვისტი; 128. კინტო; 129. გაგა; 130. მაო; 131. ინი; 132. ნაგომარი; 133. ენ; 134. კენ; 135. არამეული; 136. როსი; 137. ნო; 138. ფარვანა; 139. ძია; 140. ანანია; 141. კიი. იკითხება: გილოცავთ, ჰომო საპიენსებო.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1. ცხენის სამართავი თასმები
2. გვერდები: ჰიპოტენუზა და ...
3. ჩინეთის დედაქალაქი
4. მსახიობი რობერ ...
5. ამ მდინარეში მოინათლა ქრისტე
6. რეჟისორი ელდარ ...
7. ფსიქიატრი ... ზურაბაშვილი
8. ლარნაკი
9. ცისარტყელას ფერი
10. სომხეთის დედაქალაქი
11. მეფე დავით ...
12. ბაწარი
13. დაკო-დილი ცხენი
14. კოსმონავტიკის „მამა“
15. კონტინენტი
16. პეტერბურგის არქიტექტორი
17. კუთხის საზომი ერთეული
18. კომპოზიტორი იან ...
19. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში
20. მხატვარი ... პიკასო
21. სრუტე პა-დე-...
22. სპორტული გაერთიანება
23. მეჩეთის კოშკი
24. ქალაქი დახრილი კოშკით
25. იუპიტერის თანამგზავრი
26. მსახიობი ენტონი ...
27. შოტლანდიური ნაგაზი
28. მსახიობი ჟერარ ...
29. უეცარი შიში
30. ავღანეთის დედაქალაქი
31. შრომა
32. მხ/ფ „ეშმაკი და ... მცნება“
33. მსახიობი ... დიტრიხი
34. მდინარე კახეთში
35. ძვ. ბერძენი დრამატურგი
36. ერთ-ერთი თითი
37. მომღერალი ფილიპ ...
38. მსახიობი ... ნილსენი
39. მსახიობი ... დიკაპრიო
40. გრძელი სიტყვა ... ითქმის მაირია ამად კარგი
41. ფეხსაცმლის საცხი
42. შიიზმის მიმდევარი
43. ვულკანური წარმოშობის ფორო-ვანი ქანი
44. მეტყველების ექიმი
45. მსახიობი ... ნოლტი
46. კურორტი ბორჯომთან
47. შეჩერება მუსიკაში
48. ინდიელების ნავი
49. საპნის ოპერა, ანუ ...
50. მსახიობი ... რაიანი
51. მსახიობი ან ...
52. ქალაქი შვეიცარიაში
53. მსახიობი ვერონიკა ...
54. რუსი მხატვარი
55. ექს-პრეზიდენტი ნიკოლა ...
56. ბრტყელი თევზი
57. ვერდის ოპერა
58. დენ ბრაუნი. „დავინჩის ...“
59. რეჟისორი ... ჰოვარდი
60. გონებამახვილური, ანუ ...
61. „... ფრანკის დღიური“
62. ჯამის ფორმის სასმისი
63. კუბური ცეკვა
64. კვამლი
65. ინერტული აირი
66. გიული ჭოხონელიძე ფილმში
67. ფიცარი ფანჯრის ქვეშ
68. ძველი სქელტანიანი წიგნი
69. ათინათი
70. ხორცის კერძი
71. ზღვის ძროხა, ანუ ...
72. მსახიობი ... არტმანე
73. ატმოსფერული აირი
74. ყურძნის ჯიში
75. უნივერსიტეტი ... მატერი
76. მსახიობის პირველი როლი
77. სლავური ანბანი
78. მსახიობი დენი ...
79. მსუბუქი, ანუ ...
80. მსახიობი ... ფორდი
81. გულსაბნევი
82. პოეტი ... მირცხულავა
83. ქვეითი ჯარისკაცი ოსმალეთში
84. მხ/ფ „მიდიო-და ...“
85. მსახიობი სიუზენ ...
86. მისი დედაქალაქია ბრიუსელი
87. იაზონის გემი
88. ეთიოპიის დედაქალაქი
89. ჰოლანდიური ყვავილი
90. ლონდონ-ნის ცენტრი
91. თბილისის უბანი
92. გერმანული ავტომობილი
93. ბანდეროლი
94. მწერლები ... და პეტროვი
95. თავფეხიანი მოლუსკი
96. მზის სისტემის პლანეტა
97. ტილის კვერცხი
98. საბერძნეთის დედაქალაქი
99. ცელქი
100. მსახიობი ბრედ ...
101. ქალაქი დას. საქართ.
102. ერთგვარი ქუდი
103. სინთეტიური ბოჭკო
104. ისტორიის მუზა
105. რეჟისორი რეზო ...
106. ინგლისური ლუდი
107. მხ/ფ „თავადის ქალი ...“
108. ტბა თბილისში
109. მხატვარი ავთო ...
110. აივენჰოს სატრფო
111. ათოსი, პორთოსი და ...
112. დროშა
113. ფერმწერი სანდრო ...
114. მსახიობი ... შარიფი
115. სურდო
116. ქალაქი იაპონიაში
117. სტალინის დედა
118. ... პუგაჩოვა
119. რას სწავლობდა პავლოვი ძაღლებზე
120. მსახიობი ... ვაჩნაძე
121. მიმიკის უქონლობა
122. სასიმინდე
123. მარკეტი, ანუ ...
124. ბანდის მეთაური
125. მსახიობი ... უიზერსპუნი
126. სამხედრო ფორმის ქურთუკი
127. ... ასე, ... ისე
128. ჩეხოვი. „... ვანია“
129. „შენ ... ვენახი“
130. მდინარე ქუთაისში
131. ქალაქი დას. საქართ.
132. „ბიჭო, ვისი ხარ ...“
133. ბოსტნის მავნებელი
134. სინათლის სიკაშკაშის ერთეული
135. ხმადაბალი ჟღერადობა მუსიკაში
136. ძვირფასი ლითონი
137. ნუცა ფილმში „ძველი ...“
138. მომღერალი ... კალასი
139. მხატვარი ... ჯაფარიძე
140. სასამართლოში: ... მსაჯული
141. ცეცხლსასროლი იარაღი
142. განთიადი
143. კუნძული ინდონეზიაში
144. თვალის გუგა
145. ხელოვნური ენა
146. ... ფონ ბისმარკი




პასუხები: 1. აღვირი; 2. კათეტი; 3. პეკინი; 4. ოსეინი; 5. იორდანე; 6. რიაზანოვი; 7. ავლიპი; 8. ვაზა; 9. იისფერი; 10. ერევანი; 11. აღმაშენებელი; 12. თოკი; 13. იაბო; 14. ციოლკოვსკი; 15. აზია; 16. რასტრელი; 17. გრადუსი; 18. სიბელიუსი; 19. ლუქსემბურგი; 20. პაბლო; 21. კალე; 22. ფედერაცია; 23. მინარეთი; 24. პიზა; 25. იო; 26. კუინი; 27. კოლი; 28. ფილიპი; 29. ელდა; 30. ქაბული; 31. ჯაფა; 32. ათი; 33. მარლენ; 34. იორი; 35. ესქილე; 36. ცერი; 37. კირკოროვი; 38. ლესლი; 39. ლეონარდო; 40. მოკლედ; 41. ვაქსი; 42. შიიტი; 43. პემზა; 44. ლოგოპედი; 45. ნიკ; 46. ლიკანი; 47. პაუზა; 48. პიროგა; 49. სერიალი; 50. მეგ; 51. პარიიო; 52. ლოზანა; 53. კასტრო; 54. რერიხი; 55. სარკოზი; 56. კამბალა; 57. „ტრავიატა“; 58. კოდი; 59. რონ; 60. კრეატიული; 61. ანა; 62. ფიალა; 63. ჰაბანერა; 64. ბოლი; 65. ნეონი; 66. „ფატიმა“; 67. რაფა; 68. ფოლიანტი; 69. სხივი; 70. რაგუ; 71. ლამანტინი; 72. ვია; 73. ჰაერი; 74. რქაწითელი; 75. ალმა; 76. დებიუტი; 77. კირილიცა; 78. გლოვერი; 79. მჩატე; 80. ჰარისონ; 81. ბროში; 82. ალიო; 83. იანიჩარი; 84. მატარებელი; 85. სარაბანდა; 86. ბელგია; 87. „არგო“; 88. ადის-აბება; 89. ტიტა; 90. სიტი; 91. ფონიჭალა; 92. „აუდი; 93. ამანათი; 94. ილფი; 95. რვაფეხა; 96. მარსი; 97. წილი; 98. ათენი; 99. ანცი; 100. პიტი; 101. ზესტაფონი; 102. კეპი; 103. ვისკოზა; 104. კლიო; 105. ესაძე; 106. ელი; 107. მაია; 108. ლისი; 109. ვარაზი; 110. როენა; 111. არამისი; 112. ალამი; 113. ბოტიჩელი; 114. ომარ; 115. რინიტი; 116. კიოტო; 117. კეკე; 118. ალა; 119. რეფლექსი; 120. ნატო; 121. ამიმია; 122. ნალია; 123. მალაზია; 124. ატამანი; 125. რიზ; 126. კიტელი; 127. ან; 128. ძია; 129. ხარ; 130. რიონი; 131. ფოთი; 132. მალხაზი; 133. მახრა; 134. ნიტი; 135. პიანო; 136. ოქრო; 137. თოფი; 138. მარია; 139. უჩა; 140. ნაფიცი; 141. პისტოლეტი; 142. ალიონი; 143. იავა; 144. ბაია; 145. იდო; 146. ოტო. იკითხება: როდეო.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული გასაქირავებელი ვილები



ჭკვიანი ადამიანი, თუკი, რა თქმა უნდა, ფინანსურადაც ძლიერია, ფულს მხოლოდ გართობაში კი არ მიაფშვნის, უძრავ ქონებასაც შეიძენს, თუნდაც, ერთ სახლს მაინც.

ჰოდა, ვინც ჭკუა იხმარა და საკუთარი ქონება სოლიდური სახლებით შეავსო, ისეთ მოგებას ნახავს, უკეთესს რომ ვერ ინატრებს კაცი.

შვებულებების სეზონის მოახლოებასთან ერთად, ტურისტებისთვის სხვადასხვა კომპანია განსაკუთრებულ წინადადებებს ამზადებს, ზოგი კი იმაზე ზრუნავს, წინასწარ იყოს ცნობილი, სად შეიძლება ყველაზე ძვირად ღირებული ვილის დაქირავება და შვებულების ფუფუნებაში გატარება.



ამ მიზნით ერთგვარი რეიტინგი საერთაშორისო კომპანია „ევანსის" ექსპერტებმა შეადგინეს და გაარკვიეს, რა ფასები აქვთ მსოფლიოს პოპულარულ კურორტებზე ფეშენებელურ ვილებს.

პირველი ადგილი წილად ხვდა ვილას საფრანგეთში, რომლის ქირაობა თვის მანძილზე 360 ათასი ევრო ღირს. ვილა ზღვისპირა ალპებში, კაპ ფერას რაიონში მდებარეობს. მასში გამოყოფილია 2 უძვირფასესი საძინებელი. უზარმაზარი აუზი, ჩოგბურთის კორტები და მოკლედ, რა გინდა სულო და გულო.

მეორე პოზიციაზეა ვილა ფორტ-დეი მარმიში (იტალია), რომლის თვიური ქირა 210 ათასი ევროა. სახლში 6 საძინებელია, 6 სააბაზანო, დიდი სამზარეულო, სასადილო. აქვს აუზი და 0,4 ჰექტარზე გაშენებული ულამაზესი ბაღი.

რეიტინგის მესამე საფეხური საბერძნეთში, კერძოდ კი კუნძულ მიკონოსზე აგებულმა ვილამ დაიკავა თვიური გადასახადით 150 ათასი ევრო. სახლს აქვს 6 საძინებელი, 6 სააბაზანო, აუზი და ასე შემდეგ.

137 ათასი ევროთი მეოთხე ადგილი იბიცას (ესპანეთი) ვილამ დაიკავა, მეხუთეზეა 45-ათასიანი რეზიდენცია ჩერნოგორიაში.

ყველაზე „იაფად" ვილის დაქირავება კვიპროსზე შეიძლება – 16,3 ათასი ევრო.

მოკლედ, ვინც გაქაჩავს, ასეთი თანხები გადაიხადოს დასვენებისთვის, ამ ზაფხულს ისე დაისვენებს, არასოდეს დაავიწყდება... რა მაგარია ცხოვრება, როცა კარგად ცხოვრების საშუალება არსებობს, არა?..

*top.rbc.ru*

## მეცნიერებმა, მარსზე ფეხბურთის თამაში შეიძლებაო



ისეთი უცნაურობები ხდება ფეხბურთის მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე, შეიძლება ვინმემ იფიქროს, აშკარად უცხოპლანეტელების ხელი თუ ურევიაო... ჰო, სწორედ უცხოპლანეტელების, რომელთაც მინიმუმ მხოლოდ მარსზე მაინც ექნებათ ბურთი გაგორებული.

ბრიტანელი მეცნიერების მტკიცებით, მარსზე ყველანაირი პირობა არსებობს იმისთვის, რომ იქ საფეხბურთო მატჩი პრობლემების გარეშე წარიმართოს.

ერთი კია, ლესტერის უნივერსიტეტის თანამშრომლები აკონკრეტებენ, რომ მარსზე ბურთის გაგორებისთვის წესების შეცვლა იქნება აუცილებელი.

ასე მაგალითად, წითელ პლანეტაზე ბურთი ოთხჯერ შორს გაფრინდება, ვიდრე დედამიწაზე, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია. ასევე, არ გამოვა ჩახვეული ბურთის დარტყმა.

მოკლედ, ჯერ მარსზე ფეხი არ დაუდგამთ ადამიანებს და იქ უკვე წესებშეცვლილი ფეხბურთის დამკვიდრებაზე ფიქრობენ.

ისე, სადაც ფეხბურთი, იქაც წრეში ბურთი. მით უმეტეს, რომ ბურთი უფრო შორს გაფრინდებაო...

*ura-inform.com*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**27 იანვარი:** ნებისმიერი რამის ძიება თქვენთვის დიდ სიამოვნებად გადაიქცევა. ეს არ ნიშნავს, რომ ყველა მცდელობა წარმატებით დასრულდება, თუმცა, გაერთობით.

**კურო 22.04-21.05**
**27 იანვარი:** შეიძლება, გაიცნოთ ადამიანები, რომლებიც შთამბეჭდავ პერსპექტივას შემოგთავაზებენ. ყურადღებით იყავით, თაღლითების მსხვერპლი არ გახდეთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**27 იანვარი:** თქვენი კეთილდღეობის საქმეში საუკეთესო ინვესტიცია, კეთილი საქმის კეთება იქნება. სამაგიერო უცებ არა, მაგრამ აუცილებლად დაგიბრუნდებათ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**27 იანვარი:** რაც უფრო ენერგიულად დაიწყებთ ამ დღეს, მით მეტ სიამოვნებას მოგიტანთ იგი. პასიური დასვენება კარგს არაფერს მოგიტანთ.

**ლომი 23.07-22.08**
**27 იანვარი:** რაღაც საფრთხე გემუქრებათ და ადვილად მოიშორებთ, თუკი დაუყოვნებლივ იმოქმედებთ. სახლში გამოკეტვით არაფერი შეიცვლება.

**ქალწული 23.08-22.09**
**27 იანვარი:** ნაკლები ყურადღება მიაქციეთ, რას ამბობენ გარშემომყოფნი, უფრო მეტი – რას აკეთებენ. ნებით თუ უნებლიეთ, შეიძლება შეცდომაში შეგიყვანონ.

**სასწორი 23.09-22.10**
**27 იანვარი:** საკმაო ხანს იმუშავეთ საიმისოდ, რომ დღესაც ქანცის გაწყვეტამდე არ იშრომოთ. თუ მოდუნებას ვერ ახერხებთ, ტემპი შეანელეთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**27 იანვარი:** ყველაფერ უცნობს ერიდეთ, განსაკუთრებით, უცნობ ადამიანებს. დიდია ალბათობა, რომ ვიღაცამ არაფრის გამო გაწყენინოთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**27 იანვარი:** დღეს საკმაოდ გონებაგახსნილი იქნებით, მაგრამ ყველაფრის გამარტივება მოგინდებათ. ამის ახსნაზე დროის დაკარგვა არ ღირს, გაგიჭირდებათ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**27 იანვარი:** არ დანებდეთ. საკმარისია, ხელები ჩამოუშვათ, გამოჩნდება რაღაც გარემოება, რომელიც სიტუაციიდან გამოგიყვანდათ, მაგრამ გვიანი იქნება.

**მერწყული 20.01-18.02**
**27 იანვარი:** კარგია, როცა სხვათა შეხედულებებს პატივს სცემთ, მაგრამ ახლა სწორედ ის დღეა, როცა საკუთარი პოზიციები უნდა დაიცვათ და უკან არ დაიხიოთ.

**თევზები 19.02-20.03**
**27 იანვარი:** ყველაფერი კარგად გამოგივათ, თუკი სიმშვიდეს შეინარჩუნებთ. თუ გაბრაზებული იქნებით, არაფერი არ გამოგივათ. ასე რომ, აირჩიეთ.

**გაზეთები „ალია" და „კვირის ქრონიკა" სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

**577 74 99 89**

„ალიას" რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი

(15 საათიდან)




**ნისან ელ გრანდის მძღოლს! დამიკავშირდით 599 20 34 14**






კოტე ტარაკნებმა შეაწუხეს. ვერაფერი მოახერხა და ბოლოს მეგობრის რჩევა გაითვალისწინა:

– ძილის წინ ოთახების ყველა კუთხესთან მიდი და ხმამაღლა იძახე: „საჭმელი არაფერია, საჭმელი არაფერია"...

ასეც მოიქცა...

შუაღამისას ვიღაცამ შეანჯღრია, გაახილა თვალები და საწოლზე ჩამწკრივებული ტარაკნები დაინახა. ყველაზე დიდმა ტარაკანამ კი:

– ადექი, შე უბედურო, საჭმელი მოგიტანეთ!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია" და „კვირის ქრონიკა"

»211359457

გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში" გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.30